„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუღუნებ.“ – *ვაჟა*

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2013 წ. ოქტომბერი* №38 * ფასი 1 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან

მზოვრეთის მამათა მონასტერი, XVII ს.

ბატონო ბიძინა, ყველაფერს აქვს საზღვარი! გვ. 3

პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილის პოლიტიკური რენომე გვ. 5

ბიძინა ივანიშვილმა, საქართველო, საკუთარ ბიზნეს–ობიექტად დაიგულა

ლეილა ცომაია

ერთადერთი, რაც დამალული არ ყოფილა, პოლიტიკაში მეტეორივით შემოჭრილი ბანკირის ბიძინა ივანიშვილის მხრიდან და მის მიერვე იმთავითვე გაცხადებული იყო, ეს გახლდათ ხელისუფლებაში მოღვაწეობის პერიოდი, რომელიც მან თავდაპირველად სამწლიანი ვადით განსაზღვრა, თუმცა ისედაც არასაკმარისი დრო, მანვე, აწ უკვე სულაც ერთ წლამდე შეამცირა.

პოლიტიკა და სახელისუფლო მმართველობა, მოგეხსენებათ, საცირკო კლოუნადა არ არის, რომ ხალხი ილუზიური ეფექტებით აცხოვრო; ერთ წელიწადში მნიშვნელოვანი ბერკეტების შექმნა და ყველა სფეროში რეალური სასიკეთო ცვლილებების გახორციელება, უბრალოდ შეუძლებელია, სამ წელიწადში კი სავსებით შესაძლებლი იყო! უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში, შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმებით, ტოტალური უბედურების გადამტანი ხალხი, შვების მოლოდინით, სამი წლის თმენის ვალდებულებით აღიჭურვა. თუმცა ჩვენ, იმთავითვე ეჭვი შევიტანეთ და უნდობლად მოვეკიდეთ „ქართული ოცნების“ სახელწოდებით მოსულ ივანიშვილს (იხ.გაზ. №31-„ქართული ოცნება”... ვითარმედ არა რა სად(ა)მე...” №33 - „ პილატეობა პოლიტიკაში“ და სხვ.).

ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, ცინიკოსი, თუ უთვალავი სიმდიდრით გაყეყეჩებული პოზიორი, რომელიც შემოხტა პოლიტიკაში, რათა

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

საკუთარი თავისთვის ამის შემძლეობაც დაემტკიცებინა?!

ბიძინა ივანიშვილს მეცნიერებაშიც შეუდგამს ფეხი და რაღაც სუბიექტურ-ორიგინალური „ჩახვდომებით“ სამეცნიერო ხარისხიც კი მოუპოვებია! ამჯერად კი, პოლიტიკიდან „სამოქალაქო სექტორის“ მიზანსცენაზე აპირებს ასვლას. ეს სფეროც, ჩვენს თანამედროვეობაში ერთობ პრესტიჟულ-პოპულარულია, მაგრამ, არა იმდენად გავლენიანი, რომ ივანიშვილმა, აწ უკვე ამ მიზანსცენიდან შესძლოს „ხელისუფლების მკაცრი კონტროლი“, როგორც თავად იქადნის ამას!

ივანიშვილს, როგორც პრემიერ-მინისტრს არავითარი სამართლებრივი ვალდებულება არა გააჩნია ხალხის წინაშე, ივანიშვილს პოლიტიკური თანამდებობიდან გადადგომის უფლება კონსტიტუციის ჩასწორებული ვარიანტით ამგვარად აქვს მინიჭებული:

საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 79

[1. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი

[7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას...

[მუხლი 80 (1)

1. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი 7 დღის ვადაში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს საპარლამენტო უმრავლესობის... მიერ წარდგენილ კანდიდატურას...

[მუხლი 81

5. ...ახალი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის წევრთა დანიშვნა ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით (და ეს წესი ასეა განსაზღვრული: მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი ასევე 2 დღის ვადაში – მთავრობის სხვა წევრებს...)

როგორც ხედავთ, პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს, კონსტიტუციით არა აქვს მინიჭებული თანამდებობრივი მემკვიდრეობითობის უფლებაც, ანუ თავისი შემცვლელის დასახელების (წარდგენის) უფლება-ვალდებულებაც. მიუხედავად ამისა მის ყოველ გამოსვლაში იგი აპელირებს შემცვლელზე, რაც აჟიტირებულია ჟურნალისტების მხრიდან.

რატომ უნდა წარადგინოს ბიძინა ივანიშვილმა ახალი პრემიერის კანდიდატურა, რომელსაც პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში უეჭველად დაამტკიცებს გიორგი მარგველაშვილი და რომლის პრეზიდენტობას ისე დაბეჯითებით წინასწარმეტყველებს ივანიშვილი, თითქოს წინ, უჩვეულოდ რთული (დარეგისტრირებულია 23 კანდიდატი) არჩევნები არ ელის?! დღეს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად შეცვლილია ხალხის დამოკიდებულება „კოალიცია ქართული ოცნებისა“ და თვით ბიძინა ივანიშვილის პერრსონის მიმართ, რასაც ამძიმებს მისი ფავორიტი კანდიდატის მარგველაშვილის უნიათობის ფაქტორი. ხალხი გულგატეხილი და იმედგაცრუებულია ივანიშვილისა და მისი მთავრობის მიმართ, ხალხი კატეგორიულად ვერ ეგუება „რესპუბლიკელების“ პრიმატს პარლამენტსა თუ საკრებულოებში.

სწორედ ამგვარმა მყიფე რეალ-ვითარებამ წარმოშვა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა ცენტრალური საარჩევნო კომისიაში. იხილეთ ოფიციალური დოკუმენტი:

მედიისათვის პრეს-რელიზები
30 სექტემბრის სხდომის შედეგები
30 სექტემბერი 2013 წელი

30 სექტემბერს გამართულ სხდომაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხის ფორმულირება დააზუსტა. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა (შემადგენლობით: იაგო წიკლაური და გელა მესტიაშვილი) 25 სექტემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოადგინა სარეფერენდუმო საკითხი „თანახმა ხართ, თუ არა, რომ საქართველოში ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები?”. აღნიშნული საკითხის ფორმულირება საინიციატივო ჯგუფმა დააზუსტა და შემდეგი სახით წარმოადგინა - „თანახმა ხართ თუ არა, რომ 2014 წელს საქართველოში ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები?”.

ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში (გაიმარჯვებს, თუ არა მარგველაშვილი) საპრეზიდენტო არჩევნებისა და ბიძინა ივანიშვილის პრემიერობიდან გადადგომის შემდგომ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდება, რადგან ხალხს ცალსახად არ მოსწონს არსებული პარლამენტი, რომელიც ხალხის იძულებითი არჩევანი იყო. ანალოგიური იძულების მეთოდით (ანუ, ივანიშვილის ქარიზმით), ვეჭვობ, რომ ხალხმა ახლა მარგველაშვილსაც მისცეს ხმა. ხალხი უკვე ივანიშვილითაც განხიბლულია! თუმცა, ეს სულაც არ აჩენს პერსპექტივას, რომ ხმების გადადინება დავით ბაქრაძის სასარგებლოდ მოხდება. ივანიშვილის ყოფილი ამომრჩეველი „ნაციონალურ მოძრაობაზე“ შემომწყრალი და საბოლოოდ ზურგშექცეული ელექტორატია!

ნინო ბურჯანაძეს სტაბილური პოლიტიკური ორიენტაციისა და სტაბილური რაოდენობის მხარდამჭერები ჰყავს, მაგრამ ეს საკმარისი რაოდენობა მაინც არ არის, რაც არ უნდა დიდი ფული ჩადოს რუსეთმა თავისი ფავორიტი კანდიდატის გაპრეზიდენტებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ 27 ოქტომბრის არჩევნებში საპრეზიდენტო კანდიდატად 54 მსურველმა შეიტანა განაცხადი და მათგან მხოლოდ 23 კანდიდატი დაარეგისტრირა ცესკო-მ, ეს დღემდე ოპრეცენდენტოდ მაღალი ციფრი ხმების სოლიდური რაოდენობის განბნევას გამოიწვევს და სერიოზულ საარჩევნო კრიზისს შექმნის. რაც დამატებით ფაქტორად იქცევა არჩევნების მეორე ტურის უცილობელი ჩატარებისათვის. ობიექტური და სამართლიანი არჩევნების გამართვის შემთხვევაში, პირველ ტურში, მარგველაშვილის გამარჯვება ნაკლებ მოსალოდნელია. ივანიშვილის ხელისუფლება იძულებული შეიქმნება ხელი წაუცდეს შედეგების 5-10% გაყალბებაზე,

რისი სახელისუფლო რესურსიც მათ, დამკვირვებელთა რაოდენობის პირობებშიც ნამდვილად გააჩნიათ!

ივანიშვილმა, იმისათვის რომ გავლენა შეინარჩუნოს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტზე, ხელისუფლების უმაღლეს „ეშელონებში“ უნდა დატოვოს მისთვის მისაღები პრემიერი და პრეზიდენტი. საკუთარი „ჯიბის პარლამენტი“, მაღალანაზღაურებადი საპარლამენტო უმრავლესობა, როგორც ასეთი, მას უკვე ჰყავს, თუმცა ამ პარლამენტის გადარჩევა უახლოესი ერთი წლის საკითხია. ხალხი მათ, უბრალოდ, ვერ მოითმენს!

ივანიშვილი ქვეტექსტებით მოსაუბრე პერსონაა. ამ ნიშნით იგი ხშირად პასუხობს ოპონენტებს, რომ იგი არსად არ გარბის, რომ მისი გადადგომა არ ნიშნავს წასვლას, არამედ იგი რჩება უფრო ძლიერ ხელისუფლად. ივანიშვილის გათვლით, სააკაშვილის ლეგიტიმურად ჩამოცილებისა და მით „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტებით, ხელთ იგდებს ყველა სახელისუფლო ბერკეტს საკუთარი ბიზნეს თუ კომერციული საქმიანობის შეუზღუდავად წარმართვისათვის. ივანიშვილი გეგმავს შექმნას ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტის ტიპის მოქნილი ორგანიზაცია. „სამოქალაქო სექტორში“ ჩაბუდება კი მას სჭირდება სრულ და ყოვლიმომცველ საგარანტიო ბერკეტად; ახალ სამოქალაქო სექტორს ივანიშვილი უხვად დააფინანსებს, რათა სწრაფად იქცეს იგი ყველაზე მძლავრ და კონკურენტუნარიან არასამთავრობო ორგანიზაციად.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, საჭიროა დაფიქსირდეს სრული სამოქალაქო აქტივობა, რათა ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების, რაც შეიძლება ნაკლები შესაძლებლობა მიეცეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ჯერ კიდევ შორს ვდგავართ დემოკრატიისაგან. უკანასკნელმა წელმა ქვეყანაში ნამდვილად გააჩინა იმის პერსპექტივა, რომ შესაძლებელი გახდეს არასასურველი პრეზიდენტისა და პარლამენტის ერთი საარჩევნო ვადით მოცილება.

ბანკირი ივანიშვილი კი ამაოდ ფიქრობს, რომ მან ყველაფერი გათვალა; საქართველო და ქართველი ერი ასე მარტივად გასათვლელი ფენომენი არ არის!

მადლობას ვუხდი ადამიანთა იმ მცირე ჯგუფს, რომლებმაც გაზეთის ფინანსური კოლაფსის მდგომარეობაში, ჯანსაღი ეროვნულ–პატრიოტული თვითშეგნება გამოავლინეს და საჭირო შემოწირულობები გაიღეს ამ ნომრის გამოსაცემად (რედ.).

ბატონო ბიძინა, ყველაფერს აქვს საზღვარი!

დიდხანს ვიკავებდი თავს (მე თავად დიდი ცოდვილი) ვცდილობდი არ ამომეღო ხმა, მაგრამ გულმა არ მომასვენა, რომელიც მკარნახობდა, რომ დუმილი სილაჩრე და უსინდისობა იქნებოდა ჩემი მხრიდან და თუ რაიმე მცირე ადამიანობა და კაცობა მაინც შემრჩენია, უნდა მეთქვა ის, რასაც ღვთის წინაშე ვთლი საჭიროდ.

ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები დაგვისვა პარლამენტსა და მთავრობაში, იმდენი იკადრა, რომ ზვიად გამსახურდიას ძაგება დაიწყო. ეს რომ ჩემს მიმართ გაეკეთებინა (თუმცა არაფერს წარმოვადგენ), ნამდვილად არ ამოვიღებდი ხმას და მივუტევებდი კიდეც, მაგრამ ზვიად გამსახურდიას შეურაცხჰყოფის პატიება არ შემიძლია. ადამიანი რომ გააკრიტიკო, სულ ცოტათი მაინც უნდა იყო მასზე უკეთესი. ბატონი ბიძინას ზვიადთან შედარებაც კი იმდენად უაზრო და მკრეხელურ საქციელად მეჩვენება, რომ ფიქრიც კი არ მინდა ამაზე! პრემიერ- მინისტრს, რომელსაც იმდენი პოლიტიკური გონებაც კი არა გააჩნია, რომ არ იცის, რა უნდა თქვას თავისი ქვეყნის პირველ პრეზიდენტზე, და ისიც გარდაცვლილზე, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ მამულიშვილზე, მაპატიეთ და ვერ აღვიქვამ ქვეყნისათვის სასიკეთო მოღვაწედ. ძალიან გთხოვთ ყველას, ნუ დააბრალებთ ამას მისი გარემოცვის გავლენას. ბიძინა ივანიშვილი არ არის ის კაცი ვიღაც–ვიღაცეების გავლენის ქვეშ მოექცეს და ასეთი განცხადებები აკეთოს.

სააკაშვილი ორივეზე უარესი იყოვო რომ ბრძანებს, იმ „უარესს“ არ აფინანსებდა წლების განმავლობაში, ამდენი უბედურება რომ მოუტანა ჩვენს ქვეყანას? რაღაც არ მახსოვს, ერთი სინანული მაინც გამოეხატოს ამის გამო, ერთი მცირე ბოდიში მაინც მოეხადოს არა მარტო ქართველი ერის, არამდე იმ ჭირისუფალთა წინაშე, ვისი შვილებიც, დები თუ ძმებიც მიწაში ჩააწვინა ივანიშვილის დაფინანსებულმა და მხარდაჭერილმა სააკაშვილის რეჟიმმა, რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ გაუბედურებულ ადამიანზე. უდაოდ დასაფასებელია ბატონი ბიძინა ქველმოქმედური საქმიანობის გამო, მაგრამ იგი დღეს ისეთ ხიბლსა და ამპარტავნებაშია ჩავარდნილი, რომ სიბრალულს იმსახურებს; მას თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონია ამ ქვეყანაზე და აძლევს თავს უფლებას ზვიად გამსახურდიასაც კი გადაამეტოს, რაც (დამეთანხმებით) მეტის-მეტია! აღარაფერს ვამბობ ქრისტიანულ მორალზე.

სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში არ გამოჩნდა კაცი, რომელიც ხმამაღლა ეტყოდა ბატონ ბიძინას, რომ არ აინტერესებს მისი ფული, არამედ ჭეშმარიტება ურჩევნია მის წინაშე ლაქუცსა და ცუნდრუკს. ამაზრზენია, როგორ არიგებს ეს კაცი ჭკუას ყველას და პატარა ბავშვივით ტუქსავს, თუ მისი საწინააღმდეგო აზრი გააჩნია. ჩვენი პოლიტიკოსები კი ლაქიებივით შესციცინებენ თვალებში მამა–მარჩენალს და ცდილობენ აამონ

„ — ბიძინა ივანიშვილმა ლატვიურ გამოცემასთან ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა — საქართველოს პრეზიდენტები ერთიმეორეზე უარესები იყვნენ, ერთის დროს სამოქალაქო ომი იყო, მეორე რევოლუციით ჩამოაგდეს, მესამე კი ერთად აღებული ორივეზე უარესიაო. “

ასავალ-დასავალი

“დიდ ბატონს”.

ზვიად გამსახურდიას ძაგებას, პოსტზვიადისტური პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, მისი ყოფილი დაუძინებელი მტრებიც კი ერიდებიან დღეს. ბატონი ბიძინასთვის კი, როგორც სჩანს, არც მორალი არსებობს, არც ეთიკური ნორმები და არც სამშობლოს ტარიგთა მიმართ პატივისცემის გრძნობა. ივანიშვილს კი სამშობლო მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც სააკაშვილის მთავრობა მის ღირსებას შეეხო და მასაც ხელი აუქნია.

გავიხსენოთ მისი შეხვედრები ხალხთან. როგორ პირდებოდა, რომ ყველაფერს მხოლოდ ხალხის ნების გათვალისწინებით გადაწყვეტდა. მას ენდნენ, მხარი დაუჭირეს და თვით საძულველი პარტიების პარლამენტში შეთრევაზეც დაუხუჭეს თვალი.“ბიძინამ უკეთ იცის და ალბათ მსოფლიოს დასანახად ასეა საჭიროვო“–ამბობდა ბევრი. თუმცა მცირე დრო გავიდა და თურმე, არათუ ეს, მრავალი სხვა „სიურპრიზიც“ გველოდა წინ. მერაბიშვილის, ადეიშვილის, კუბლაშვილის ქებამ და ყბადაღებულმა „კოჰაბიტაციამ“ ხომ საერთოდ ტაკიმასხრული გვირგვინი დაადგა მის მმართველობას. აღარაფერს ვამბობ თურქი მესხების ჩამოყვანის და ბათუმში მეჩეთის აღმართვის, ხოლო ამჯერად კი ჰუდონჰესის მშენებლობის განზრახვაზე. ერთი შემთხვევა მაინც გამახსენეთ ვინმემ, როდესაც ბატონმა ბიძინამ ხალხს ჰკითხა აზრი და ერთპიროვნულად არ გადაწყვიტა ესა თუ ის საკითხი. ეხლა კი თურმე მარგველაშვილზე შესაფერისი საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყოლია ქვეყანას და ამას ისეთი მიუღებელი და ამაზრზენი ფორმით გვახვევს თავს, როგორც მკაცრი მასწავლებელი – საშინაო დავალებას. რა გასაკვირია,როცა ეხლახანს ისიც კი განაცხადა, რომ ქართველების უბედურება მათი დაბალი პოლიტიკური კულტურააო. „საქართველოს პრობლემა მისსავე სოციუმშია, რადგან ხალხს, არც არჩევანის გაკეთება შეუძლია, არც არჩეულთა გაკონტროლება, ამიტომაც ჩვენი ქვეყანა უკვე 20 წელია ვერ გამოდის მოჯადოებული წრიდან“– ნაწყვეტი ლატვიურ „ტელეგრაფთან“ მიცემული ინტერვიუდან. ივანიშვილი ამას ამბობს ერზე, რომელმაც ამდენ სისხლსა და ტკივილს გაუძლო, ამდენი ქარტეხილი გადაიტანა, თუნდაც ბოლო ოცი წლის მანძილზე და სასოწარკვეთილებას არ მისცემია, არ გაგიჟებულა და არ გაველურებულა, როგორც ზოგიერთებს სურთ, რომ წარმოგვაჩინონ. არამედ, მთელი თავის იმედი, განცდა და უკეთესი მომავლის რწმენა ბატონ ბიძინას ჩააბარა, სწორედ იმას, ვინც ასე უდიერად ახსენებს ქართველ ერს...და ამავ დროს საკუთარ საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით კვლავაც მოუწოდებს: „გავკადნიერდები და გეტყვით – მომავალშიც მენდეთ!“.

ბიძინა ივანიშვილის უბედურება იმაშია, რომ თავი თავად ჰგონია მესია! ვატყობ, როგორ გაუჯდა მას ამპარტავნება მთელ სულსა და გონებაში და მხოლოდ საკუთარი სურვილებით წყვეტს მთელი ერის ბედს. მას მიაჩნია, რომ ყველა სფეროში ყველაზე მეტი იცის და საქართველოში არავის თვლის მასზე კომპენტენტურად; იგი ნიშნავს პარლამენტს, მინისტრებს, ოპოზიციას, საკუთარ შემცვლელ პრემიერ-მინისტრსა და თვით პრეზიდენტსაც კი და ნელ-ნელა ემსგავსება თავის წინამორბედ ე.წ. პრეზიდენტებს.

ყველამ კარგად გავახილოთ თვალები, ნუ შევიქმნებით ყრუ და ბრმა მიმდევრებად, იქცევა და ილევა ჩვენი ბედკრული სამშობლო, მცირდება და მცირდება რიცხოვნებით, ტერიტორიულად. მხოლოდ მართლმადიდებელ ხელისუფალს ექნება ნება იზრუნოს ჩვენს ერსა და ქვეყანაზე, მხოლოდ ჭეშმარიტ მოყვარულს ღვთისა და ერისა, რასაც ბატონ ბიძინას ვერაფრით “დავაბრალებთ”, თუნდაც

დასასრული მე-4 გვ.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში რეგისტრირებული საპრეზიდენტო კანდიდატები

	პრეზიდენტობის კანდიდატი	წარმდგენი
1	მიხეილ სალუაშვილი	საინიციატივო ჯგუფი
2	შალვა ნათელაშვილი	„საქართველოს ლეიბორისტული პარტია”
3	გიორგი მარგველაშვილი	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
4	ნესტან კირთაძე	საინიციატივო ჯგუფი
5	გიორგი ლილუაშვილი	საინიციატივო ჯგუფი
6	სერგო ჯავახიძე	„სამართლიანი საქართველოსთვის“
7	ნინო ბურჯანაძე	„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“
8	ლევან ჩაჩუა	საინიციატივო ჯგუფი
9	ავთანდილ მარგიანი	საინიციატივო ჯგუფი
10	დავით ბაქრაძე	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
11	გიორგი თარგამაძე	„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“
12	კობა დავითაშვილი	„ხალხის პარტია“
13	ნუგზარ ავალიანი	საინიციატივო ჯგუფი
14	ზურაბ ხარატიშვილი	„საქართველოს ევროპელი დემოკრატები“
15	თეიმურაზ მჟავია	„ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“
16	გიორგი ჩიხლაძე	საინიციატივო ჯგუფი
17	აკაკი ასათიანი	„ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“
18	თეიმურაზ ბობოხიძე	საინიციატივო ჯგუფი
19	ნინო ჭანიშვილი	საინიციატივო ჯგუფი
20	ქართლოს ღარიბაშვილი	საინიციატივო ჯგუფი
21	მამუკა ჭოხონელიძე	საინიციატივო ჯგუფი
22	თამაზ ბიბილური	საინიციატივო ჯგუფი
23	მამუკა მელიქიშვილი	საინიციატივო ჯგუფი

დასაწყისი მე-3 გვ.

17 მაისს ეშმაკის ნაშიერ ე.წ. ლგბტ-თა მიმართ ლოიალობის გამოჩენისა გამოც, მიუხედავად პატრიარქის თხოვნისა, ჩვენი სათაყვანებელი მამების არაერთი მიმართვისა.

აღარაფერს ვამბობ იმ ყბადაღებულ სამართლიანობის აღგდენაზე, რომელსაც მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში არასოდეს დაადგება საშველი და ჯობს გავთავისუფლდეთ ყალბი ილუზიებისაგან. მაინტერესებს, რას იზამდა ბატონი ბიძინა გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძის... კრიალაშვილის ან შარაძის ნაცვლად მისი შვილი რომ ყოფილიყო. ალბათ არ გაგიჭირდებათ წარმოდგენა, როგორ "მიუტევებდა" დამნაშავეებს და მათ ნამუსგარეცხილ ამფსონებს. მიტევება და პატიება კარგია, ღვთიური სათნოებით და სიყვარულით არის გაჟღენთილი, მაგრამ ამისთვის მონანიებაა ჯერ საჭირო. სინანული და ვედრება რომლისგან ვიხილეთ? ვისაც სხვისი შვილი არ სტკივა, მას არც სამშობლო სტკივა. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა. თუ ვინმეს ხმა მიუწვდება ბატონ ბიძინასთან, გადაეცით, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც შეიძლება დიდი ქონება არ გააჩნიათ, მაგრამ მასზე ბევრად მდიდრები არიან. მდიდრები სულიერად, რომელთაც არ გაურბით თვალები მის სიმდიდრეზე და კარგად ხედავენ ყველა იმ უბედურებას, რაც ამ ბატონმა ჩვენს ქვეყანას უკვე მოუტანა და რასაც კიდევ მოუტანს მომავალში იმ უგუნური ქმედებებით, რომლებიც ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმთან მჭიდრო ურთიერთობიდან იღებს სათავეს. ის სისულელეები, რაც ამ ბატონმა ბრძანა ბოლო ერთი წლის მანძილზე (ერთ-ერთი ბოლო შედევრის ჩათვლით ადეიშვილის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰუდონჰესზე და სხვა ათას უბედურებაზე) სხვა ვინმეს რომ ეთქვა, წარმომიდგენია რა ქარბორბალას დაატეხდნენ თავს. სამწუხაროდ, დღეს ნათქვამი მხოლოდ იმით ფასობს, თუ ვის მიერაა წარმოთქმული და არა იმისდა მიხედვით, თუ რა ჭეშმარიტება დევს ამ ნათქვამში.

არ დაგღალათ, მეგობრებო ამდენმა სიცრუემ, სიყალბემ და თვალთმაქცობამ? მინდა ყველამ კარგად იცოდეს, ვინც მართლმადიდებლობას ებრძვის და მასონთა სურვილებს და ახირებებს ემორჩილება, ის ღვთისმშობლის წინააღმდეგ იბრძვის და ვერასოდეს გაიმარჯვებს! სამწუხაროა, რომ ისტორიამ ბევრს ვერაფერი ასწავლა. საქართველო არასოდეს გახდება, არც დასავლეთის და არც ევროპის მონა–სახელმწიფო და თუ ვინმეს ჰგონია, რომ თავისი ცბიერებით, სიონისტი და მასონი ბატონების მონური მორჩილებით მაინც შეათრევს ჩვენს ქვეყანას ანტიქრისტეს მოციქულთა საკონტროლო სივრცეში, ძალიან შემცდარა. ვინც ნატოს და ევროკავშირს ქადაგებს, ის სატანას ემსახურება და არა ჭეშმარიტ ღმერთს. გასაგებია, რომ ბევრი ადამიანი დავალებული ხართ მისგან და ხმას ვერ იღებთ (უფრო პირიქით, აქებთ და ადიდებთ, რამაც მიიყვანა იგი ამგვარ ამპარტავნობამდე. ქება და ლაქუცი, დათვური სამსახურია და ქრისტიანულად სათნო საქციელი არ არის. ამიტომაც შეგვაგონებს მგოსანი - „.მოყვარეს პირში უძრახეო"), მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ადამიანი პირველ რიგში ღვთის წინაშეა ვალდებული, სამშობლოს და ერის წინაშე და არა ერთი ნებისმიერი ადამიანის წინაშე. ხოლო ყოველივე სიკეთე, რაც ადამიანის ხელიდან მოდის, ის ღვთისგანაა მოცემული და მისი მადლით და წყალობით ხდება.

ბოლოს, ერთ პერიფრაზს გავაკეთებდი ბატონი ბიძინას მიმართ „დათა თუთაშხიადან" : „მაპატიეთ, მაგრამ მოგზავნილი მგონიხართ, მაინც!"

ამ წერილს არ დავწერდი, ბატონ ბიძინასთან გასაუბრების საშუალება რომ მქონოდა, არამედ პირდაპირ ვეტყოდი ჩემს ტკივილიან აზრს, როგორც ქრისტიან ადამიანს შეეფერება. ალბათ, არც კი მომისმენდა ჩემი, მასთან შედარებით ძალიან დაბალი სოციალური მდგომარეობის გამო, მაგრამ ჩემს ვალს მოვიხდიდი. ვინაიდან ეს შეუძლებელია და ბატონმა ბიძინამაც თავისი განცხადებები უკვე ხმამაღლა გააკეთა, ამიტომ გავკადნიერდი და ვეცადე ამ წერილით მეპასუხა მისთვის. თუ ვინმეს უნებურად შეურაცხჰყოფა მოგაყენეთ, უმორჩილესად გთხოვთ შემინდოთ.

ღმერთი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს შემწე !!!

P.S. ძალიან გთხოვთ ყველას, „ნაციონალების" მომხრედ ნუ ჩამთვლით. მაგ ნაძირლებზე საერთოდ ლაპარაკიც არ მსურს!

მონა ღვთისა გიორგი(გელა) ფაჩუაშვილი

ლიდერები

1989 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცკ მდივანმა გივი გუმბარიძემ, უშიშროების მინისტრ ალექსი ინაურის და მისი მოადგილის ვარლამ შადურის ბოროტმოქმედული გეგმით ქუთაისიდან თბილისისკენ მომავალ თამარ ჩხეიძის ავტომანქანას, ბორითთან, გაურკვეველი საგნით ავტოავარია მოუწყვეს. ავტომანქანას თამარ ჩხეიძე მართავდა, ავტომანქანაში მასთან ერთად ისხდნენ მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე. თამარ ჩხეიძის თქმით სასწრაფო დახმარების მანქანა სოფელ ბორითთან უჩვეულოდ მალე მოვიდა. მერაბი ცოცხალი იყო, გრძნობდა თავის მდგომარეობას, ექიმებმა მას რაღაც ნემსი გაუკეთეს, რის გაკეთებასაც ეწინააღმდეგებოდა მერაბი. იგი ადგილზევე გარდაიცვალა, რაც ბადებს ეჭვს, რომ მერაბს ორგანიზმში სასიკვდილო შხამი შეუშვეს. მძიმედ დაშავებული თამარ ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს. რამდენიმე თვის მერე, თითქმის გამოკეთების მდგომარეობაში მყოფი ზურაბ ჭავჭავაძე საავადმყოფოში „ბოტკინით?!" გარდაიცვალა...

1994 წლის შემოდგომაზე ნაცნობებისგან შევიტყე: „მერაბ კოსტავას დედა ცუდ დღეშია, ავადმყოფობს, მას კი, არა თუ სამკურნალო, საკვების შესაძენი ფულიც კი არა აქვსო." გამოვართვი წამლების სია, რომელიც თან ქონდათ.

შევიძინე წამლები, ნაცნობ–მეგობრებში ფული შევაგროვე, სახლიდან რამდენიმე ქილა ხილფაფა, მურაბა, კომპოტი წავიღე და კოსტავას სახლს მივაშურე. კარი ახალგაზრდა, სანდომიანმა გოგონამ გამიღო, რომელიც თავიდან ერთგვარი უნდობლობით შემხვდა. იგრძნობოდა, რომ არასასიამოვნო ვიზიტები მისთვის უცხო არ იყო. თავი რომ გავაცანი და ჩემი ვიზიტის მიზეზი ვამცნე, მომიბოდიშა, სასტუმრო ოთახში შემიძღვა და ქალბატონ ოლიკოსთან წარმადგინა. დედა–შვილურად ჩამიკრა გულში. ისე მომესიყვარულა, თითქოს მის ხელში გაზრდილი ბიჭი ვიყავი. – ჯერ ექსპონანტები დაათვალიერეთ და შემდეგ, თუ არ ჩქარობთ, ვისაუბროთ – მითხრა მან. ექსკურსიამძღოლობა იმავე გოგონამ გამიწია. კონსტანტინე, ზვიადი, მერაბი, არალეგალური გამოცემები, გადასახლება, შემდეგ მიტინგები, დროშები, დროშები... ზვიადი და მერაბი ერთად, სულ ერთად! რა დრო იყო, რა ბედნიერები ვიყავით! თვალცრემლიანი მივბრუნდი მასპინძელთან. ამდენი ჭირ-ვარამის, თუ ტრაგედიის გადამტანს, თავი მაინც მხნედ ეჭირა. „-რამდენჯერ მომეჭრენ, შვილო, უსინდისო ადამიანები: „ზვიადისტები" იკრიბებიან აქ, უნდა დავხუროთ სახლ-მუზეუმიო. საძინებელში რომ დიდი სურათია ზვიადის, იმის ჩამოხსნა მომთხოვეს. - ეგ სურათი მერაბმა თავისი ხელით მოათავსა მისი საწოლის თავზე და თუ გეყოფათ ვაჟკაცობა, თქვენ თავად ჩამოხსენით-მეთქი. გაბრუნდნენ ბუზღუნ-ბუზღუნით. მას შემდეგ კიდევ მესტუმრენ ორ-სამჯერ. ბოლო დროს მგონი დამანებეს თავი, თუმცა ხანდახან კი რეკავენ უცნობები ტელეფონზე და იმუქრებიან". მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილმა ეროვნული გმირის დედამ გაიხსენა მერაბის და ზვიადის ბავშვობა: „–დიდი კონსტანტინეს ფრთებქვეშ დაიზარდნენ. ადრევე შეისისხლხორცეს უფლისა და სამშობლოს სიყვარული. ფეხდაფეხ ქონდათ შემოვლილი მთელი საქართველო. ტაძარი, სალოცავი, თუ ციხესიმაგრე არ დარჩენილა, მათი ხელი რომ არ შეხებოდა მოწიწებით. კამათობდნენ აღსარების ჩაბარებასთან დაკავშირებით: მოგეხსენებათ, მაშინდელ სამღვდელოებაში უშიშროების სამსახურთან კავშირში მყოფი მღვდლებიც ერევენ, ბიჭები კი არალეგალურ საქმიანობაში იყვნენ ჩაბმული. ზვიადი ამბობდა, რომ ამ თემაზე სჯობს საერთოდ არ ისაუბრონ მოძღვართან, მერაბი კი ამტკიცებდა, რომ ყველაფერი უფლის ხელთაა და მას უნდა მიენდონ. მერაბი პატიმრობიდან რომ დაბრუნდა, ჩვენს სახლში ლხინის სუფრა გაიშალა. ერთმა სუფრის წევრმა დიდი სასმისი შეავსო და სადღეგრძელოდ წარმოთქვა: „ გაუმარჯოს მერაბ კოსტავას, ეროვნულ–გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ–ერთ ლიდერს!" მერაბმა წამსვე შემართა მარჯვენა ხელი და შესძახა: „–შეჩერდით, მეგობრებო! დაიმახსოვრეთ და ყველას გადაეცით: ეროვნულ მოძრაობას ყავს ერთადერთი ლიდერი და ეს არის ზვიად გამსახურდია! ჩვენ, ყველანი, მისი ჯარისკაცები ვართ!" ეს ამბავი, პირველ რიგში, ბატონი მერაბის თავმდაბლობასა და დიდ-



ნოდარ კიკნაძე

ბუნებოვნებაზე მეტყველებს. აქვე აღსანიშნავია და ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ მერაბ კოსტავას კარგად ესმოდა: საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობას ლიდერთა სიმრავლე მხოლოდ ზიანს მოუტანდა. ეს კარგად უწყოდა მტერმაც. შექმნეს რა ახალგაზრდა, ამბიციური „ლიდერები", ისინი დაუპირისპირეს ბატონ ზვიადს (განსაკუთრებით, კოსტავას დაღუპვის შემდეგ), რითაც საფუძველი ჩაუყარეს იმ დამანგრეველ, დანაშაულებრივ ქმედებებს, რის შედეგებსაც დღემდე ვიმკით ქართველი ერი!

ნოდარ კიკნაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი–ეროვნული აღორძინებ"–ის თავმჯდომარე

პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილის პოლიტიკური რენომე



საქართველოს პრეზიდენტი

ბ-ნო ვაჟა!

გადაეცით ჩემი გულწრფელი მოკითხვა და დიდი მადლობა ბ-ნ ბერეზოვსკის მისი კეთილი ინიციატივისათვის. მჯერა, რომ იგი მომავალი საუკუნის პოლიტიკაში ერთ-ერთი დიდი ფიგურა იქნება.

რაც შეეხება ბათუმის, გალისა და კოდორის საკითხებს განვიხილოთ უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც ავტონომიებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ჩვენ იძულებული ვიქნებით ფორმალურად უარყოფითი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე. სინამდვილეში კი იგი გარდაუვალია ჩვენი მომავალი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის. ასეთია ჩვენი პოზიცია. გამომდინარე „გერმანული" ვარიანტიდან. ამასთან უნდა დარწმუნდნენ ჩვენი მეგობრები, რომ საკავშირეო (ხელშეკრულებაზე) ურთიერთობებზე უარს ვერ ვიტყვით. მაგრამ ხალხის შემზადებას დრო სჭირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩეჩნეთის ფაქტორსაც. დადებითი საერთაშორისო რეზონანსის (ამ ვარიანტით) უზრუნველსაყოფად იგი რომ კარგა ხანია მუშაობენ: დასავლეთთან სიონისტური მიმართულებით ნ. ლეკიშვილი და ე. რჩეულიშვილი, გრიგორიანული მიმართულებით ზ. ჟვანია, ი. სარიშვილი და ქურცია, კავკასიელებთან ი. ბათიაშვილი, შ. ნათელაშვილი და მ. არუშიძე. საჭიროა მათი დაკავშირება ბერეზოვსკისთან.

ბ-ნ სერგეისა და ლუდვიგს თქვენთან ერთად გაეცანით ჩემი პოზიცია. სასურველია მასპინძელმა მხარემ ნაკლებად იცოდნენ ამ შეთანხმებათა შესახებ. მ. შ. განსაკუთრებით ჩვენმა „მხატვარმა".

[illegible]

ამ საიდუმლო წერილის დაწერის თარიღად წყაროში მითითებულია 1996 წელი, ხოლო ადრესატი გახლავთ შევარდნაძის ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე, აწგარდაცვლილი ბერეზოვსკი კი, 1996 წელს გახლდათ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე და კურირებდა აფხაზეთის საკითხს. ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს შევარდნაძის რეალური პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლთან (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიასთან) მიმართებაში. ყოველივე ამაში შევარდნაძის მიერ განსაკუთრებული ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული „შევარდნაძის ოპოზიციონერებად" გარდაქმნილ ირინა სარიშვილს, ირაკლი ბათიაშვილს, შალვა ნათელაშვილს...

ამა წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო კანდიდატი შალვა ნათელაშვილი (იგი 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებშიც იყრიდა კენჭს) 1995-96 წლებში ბათუმში ასლან აბაშიძის სახელისუფლო ფრთას წარმოადგენდა და როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა იგი „ჩანერგილი" იყო, სწორედ „ბათუმური საკითხის" შემდგომი გააქტიურებისათვის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიების მსგავსად, საქართველოს სახელმწიფოსაგან აწ უკვე აჭარის რელიგიური ნიშნით გამოყოფისა და უმალ იქაც საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მიზნით, რისთვისაც ასლან აბაშიძეს წინასწარ შემუშავებული ჰქონდა აჭარის რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი.

წერილის ბოლოში ნახსენები სერგეისა (ბაღაბში) და ლუდვიგთან (ჩიბიროვი) საიდუმლო შეხვედრები მოსკოვში გადაბარგებულ „მხატვარ" ზურაბ წერეთელთან იმართებოდა, რომლის სრულ ინფორმირებას, რატომღაც საჭიროდ არ მიიჩნევს შევარდნაძე (ზემომოცემული დოკუმენტის გამოქვეყნების წყარო: გაზ. „ახალი ერა", 31 მარტი,2000. რედ. ელიზბარ ჯაველიძე. დოკუმენტზე თანდართული წერილის ავტორი: გუბაზ მეგრელიძე).

1996 წლის 6 მაისს, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით, 21.30 სთ-ზე ასლან აბაშიძემ, სააგენტო „იბერიის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომ „ თუ უახლოეს ხანში არ იქნება განსაზღვრული აჭარის სტატუსი, როგორც სუვერენული საპრეზიდენტო რესპუბლიკისა საქართველოს შემადგენლობაში, იგი არ შეუწყობს ხელს კასპიის ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების გეგმას" - ბრძანა, რომ ეგ ჩემი მიზანი არ გახლავთ, არამედ „ეს საკითხი, 1994 წელს ჩემთან შეხვედრისას, მაშინდელმა სახელმწიფო მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დასვა განხილვის წესით: ხომ არ აჯობებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა აჭარის რესპუბლიკად", რაზეც მე კატეგორიული უარით ვუპასუხეო. ამ ვერაგული ჩანაფიქრის ნაწილი გახლდათ ის ვითარებაც, რომ აჭარის მეთაური აბაშიძე, შევარდნაძის ხელისუფლების, არც ერთ სხდომას თბილისში აღარ ესწრებოდა და თავად შევარდნაძე ჩადიოდა ბათუმში მასთან ღია თუ საიდუმლო მოლაპარაკებებზე, რითაც დე-ფაქტოდ ხდებოდა აჭარის მეთაურის ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ვალდებულების გაწყვეტა და ამ ვითარების ისტორიულ რეალობად გარდაქმნის ხავერდოვნი პროცესი, რაც უდაოდ შეაჩერა და აღკვეთა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამ. ასლან აბაშიძე კი მოსკოვში გაიქცა, სადაც დღემდე სასათფურო პირობებში ცხოვრობს.

ნათელაშვილი 1992 და 1995 წლებში გახლდათ ხუნტის პარლამენტის დეპუტატი და ამ პერიოდის საქართველოს ახალ კონსტიტუციაზე მომუშავე ჯგუფის წევრი. ამ საკონსტიტუციო ჯგუფმა კი ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მოქმედი კონსტიტუციიდან ამოიღო საქართველოს სახელმწიფოს სტატუს-ქვო „რესპუბლიკა" და სახელმწიფოს სახელწოდებად დატოვა მხოლოდ გეოგრაფიული სახელი „საქართველო".

2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტის რეალური განხორციელების მიზნით, ზვიად განმათავისუფლებლის პარტიამ ორგანიზება გაუკეთა არასაპარლამენტო ოპოზიციის კონსოლიდაციას (შალვა ნათელაშვილი, ბესო ჯუღელი, ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე, თამარ ჩხეიძე, გურამ გოგბაიძე, გია გაჩეჩილაძე, ლუიზა შაკიაშვილი...). შევიმუშავეთ ერთიანი სამოქმედო გეგმა, არალეგალურად დავბეჭდეთ ასიათასობით პროკლამაცია აქტიური ბოიკოტის მოწოდებით და შეძლებისდაგვარად გავავრცელეთ მთელი საქართველოს მასშტაბით.

უნდა ითქვას, რომ „ლეიბორისტები" და ბესო ჯუღელის პარტიელები, ყველა ამ საჭირო საქმიანობაში შესამჩნევად ითრევდნენ ფეხს, მაგრამ კონსოლიდირებული პოლიტიკური ძალები, თითქმის საკმარისი ვიყავით და პოლიტიკურ ამოცანას შთამბეჭდავი წარმატებით გავართვით თავი, რის შედეგადაც 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტი რეალურად განხორციელდა, რასაც ცხადჰყოფდა საარჩევნო უბნების შესამჩნევი სიცარიელე არჩევნების დღეს, მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ, ჩვეული მეთოდებით ტოტალურად გააყალბა არჩევნები და „მიღებული ხმების" 82% (?!) დაიწერა, რაზეც ზოგიერთმა უცხოელმა დამკვირვებლებმა შესაბამის ოქმს ხელი არ მოაწერეს.

ჩვენ ხელთ გვქონდა სურათი და სრული პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველიც საერთაშორისო პროტესტის „აგორებისათვის", მაგრამ შალვა ნათელაშვილმა და ბესო ჯუღელმა მხარი არ დაგვიჭირეს და არც ხელი მოგვიწერეს სათანადო დოკუმენტზე. თუმცა, გვეძლეოდა სრული შესაძლებლობა (როცა შევარდნაძე უკვე მოყირჭებული ჰყავდა თვით რუსეთსაც და მისი ფიზიკური განადგურების მიზნით ორჯერ ტერაქტიც კი მოუწყვეს) შევარდნაძის მმართველობა 2000 წელსვე დაგვესრულებინა, რაც უდაოდ რადიკალურად შეცვლიდა პოლიტიკურ კლიმატს სახელმწიფოში და სახელისუფლო სპექტრსაც, ყოველივე კი მნიშვნელოვან გარდამტეხ ასახვას ჰპოვებდა დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზეც.

„ლეიბორისტულმა პარტიამ" 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში სრული გამარჯვება მოიპოვა, სადაც ნათელაშვილის პარტიამ თბილისის საქალაქო საკრებულოში ადგილების უმრავლესობა მიიღო. თუმცა ნათელაშვილმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა და კულისებსმიღმა მიღწეული გარიგებით საკრებულოს თავმჯდომარეობა მიხეილ სააკაშვილს დაუთმო.

2007 წლის სექტემბერში ნათელაშვილის პარტია კოალიციაში შევიდა ცხრა სხვა ოპოზიციურ ჯგუფთან ერთად, რომელიც ანსტისამთავრობო დემონსტრაციებს ატარებდა. ამავე წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ ნათელაშვილს შპიონაჟისა და მთავრობის დამხობის მოწყობის მცდელობის ბრალდებები წაუყენეს. თუმცა გადადგომამდე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა 10 ნოემბერს, რომ

ნათელაშვილი დაპატიმრებული არ იქნებოდა და ის შეძლებდა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი საარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარებას. მომდევნო დღესვე გენერალურმა პროკურორმა შეარბილა ნათელაშვილისთვის წაყენებული ბრალდებები და განაცხადა, რომ ნათელაშვილი მხოლოდ დაკითხვისთვის იყო დაბარებული შპიონაჟის საქმეზე მოწმის სახით. მოგვიანებით ნათელაშვილმა განაცხადა კოალიციიდან გასვლის შესახებ" (ბიოგრაფიული წყარო - ვიკიპედია)

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, თუ როგორ უმიზნა გულში დაშნა შალვა ნათელაშვილმა ზვიად გამსახურდიას. კერძოდ: 1993 წლის 24 სექტემბერს რესპუბლიკის დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქვეყანაში დაბრუნდა და კონსტიტუციური კანონიერების აღდგენა დაიწყო. ამ კრიტიკულ მომენტში, შალვა ნათელაშვილმა, რომელიც 1992 წლის 11 ოქტომბრის ხუნტის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე იყო, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკას"(იხ. №235(763), 29 ოქტომბერი, 1993 წელი) განუცხადა: "რესპუბლიკა დღეისათვის ცხოვრობს და მუშაობს 1992 წლის ნოემბერში მიღებული ძირითადი კანონით "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", აქედან გამომდინარე, სამართლებრივად ძალადაკარგულია საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია, შემდგომი ცვლილებებითურთ და მასთან ერთად პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ინსტიტუტიც ბათილია".

ასე "გააუქმა" შალვა ნათელაშვილმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ინსტიტუტი 1993 წელს.

შალვა ნათელაშვილის აღნიშნული "ვერდიქტი"გამოიცა იმ დღეებში, როდესაც ედუარდ შევარდნაძის უზურპატორული რეჟიმის დასაცავად საქართველოში შემოჭრილი იყო რუსეთის სამხედრო ძალები ადმირალ ბალტინის სარდლობით.ეს კი, სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა, სამართლებრივი საფარის შექმნა, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების განადგურების სამხედრო ოპერაციისათვის („განმათავისუფლებელი", №37, 2013).

შალვა ნათელაშვილმა 1994 წლის 1 მარტს ხმა მისცა საქართველოს სნგ-ში შესვლას ხუნტის პარლამენტში. სწორედ ამგვარი ანტისახელმწიფოებრივი "დამსახურებების" ჯილდოდ მიხეილ სააკაშვილმა მოახდინა რეიტინგულად მკვდარი „ლეიბორისტების" პოლიტიკური რეინკარნაცია და 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, საიდუმლო გარიგებით, „ბოიკოტგამოცხადებული" ლეიბორისტები შეიყვანა პარლამენტში და მუქთად უხდიდნენ მათ მაღალ ხელფასებს, სადაც ერთი დღეც კი არ უმუშავიათ! ანუ, საქართველოში, „ლეიბორისტების" სახით არსებობდნენ „დეპუტატები" მუშაობის ვალდებულების გარეშე, ანუ - პარაზიტი პარლამენტარები!

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში „მედასავლეთე" იმიჯის წარმოსაჩენად შალვა ნათელაშვილმა ამერიკული ტურნეები გამართა კონგრესმენებთან, თუმცა მათთან „შეხვედრების" ვიდეო-კადრები, ხან დერეფნებში და ხანაც დოინჯშემოყრილ, გაურკვეველ ვითარებაში ვრცელდებოდა.

შალვა ნათელაშვილი სოციალისტური მიმართულების პოლიტიკური ლიდერია და რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს სატელიტურ ძალას წარმოადგენს საქართველოში.

ლეილა ცომაია

რას ვფიქრობ მერაბ მამარდაშვილზე?

გოჩა გვასალია

დიდი ხანია განზრახული მქონდა მერაბ მამარდაშვილზე (დაიბ. 15 სექტ. 1930, გარდ. 25 ნოემბ. 1990) წერილის გამოქვეყნება. ქართულ პრესაში ძალზე ბევრი დაიწერა და დღემდე იწერება მის გამონათქვამზე „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“.

.მამარდაშვილი რუსეთიდან მოვიდა ეროვნულ მოძრაობაში და თავისი სიტყვის თქმას ფილოსოფიურად ლამობდა. ყოველთვის მაკვირვებდა ქართველ ფილოსოფოსთა, მწერალთა, ლექტორთა დამოკიდებულება მის მიმართ. იყო ოპოზიციონერთა ყასიდი აღტაცება მამარდაშვილის ნააზრევით 1990-94 წლებში და მისი ნათქვამის ხშირი გამეორება, რომ ზვიადი დაღუპავსო საქართველოს. ეს რიოშული აღტაცება ზვიად გამსახურდიას ჯიბრით გამოითქმოდა. მამარდაშვილის უცაბედი სიკვდილის შემდეგ ბევრმა გაიმეორა და უფრო ბევრმა კი დაიჯერა, რომ „ზვიადმა მერაბს გული გაუხეთქა“. სამოქალაქო ომის დასრულებისა და საქართველოს გაძარცვის შემდეგ იყო და არის სრულიად ინდიფერენტული დამოკიდებულება მამარდაშვილის მიმართ. ზვიადის მომტერე ინტელიგენტები მამარდაშვილის სახელს იყენებდნენ იმ მოჩვენებითობის შესაქმნელად, ვითომ ბევრი ეყურებოდათ ფილოსოფიაში, ვითომ ლიბერალური ჰუმანიზმის მედროშენი იყვნენ და მარქსისტული ათეიზმით გაბეზრებულნი მეტაფიზიკის საძებნიერში ეძებდნენ ღმერთს.

ცრუ მამულიშვილობას შეყენებული უცოდინარი ჟურნალისტები სხვადასხვა გაზეთებში დღემდე კილავენ მამარდაშვილს და ბევრ სისულელეს წერენ მასზე. მაგალითებრ, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი გიორგი გიგაური წერდა, რომ „აკაკი ბაქრაძეც და მერაბ მამარდაშვილიც უნდა განვიხილოთ როგორც სუსლოვის იდეოლოგიის ადეპტები...“. ისვე ამბობს: „ათწლეულების განმავლობაში „კაგებეში“ გაწვრთნილი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი“. ისვე ამბობს: „უკიდეგანოდ იდიოტური დევიზი - ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას!“, „კრემლმა ფსონი აკაკი ბაქრაძეზე დადო“(„ასავალ-დასავალი“, 2013 წ., 21 მაისი-2 ივნისი, 21). იგივე გაიმეორა გ. გიგაურმა ამავე გაზეთის 2013 წლის 9 – 15 სექტემბრის ნომერში (36). აკაკი ბაქრაძე ფილოსოფიის გაგებაში არ იყო და მას გიგაურმა მამარდაშვილის დუბლიორი უწოდა. ყოველივე ეს სიტყვების რახარუხია, რომელსაც ბევრი მისდევს.

ეს გამონათქვამები ტიპური მაგალითია საკითხის არა მხოლოდ ვერგაგებისა, არამედ მკითხველთა შეგნებული მოტყუებისა სამშობლოს სახელით. თუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში (КГБ) ათწლეულობით წვრთნიდნენ მამარდაშვილს, მაშინ პირველი ფილოსოფოსები უშიშროების გენერლები ყოფილან. არც აკაკი ბაქრაძე და არც მერაბ მამარდაშვილი არ ყოფილან რუსეთის უშიშროების ფარული აგენტები. მამარდაშვილი რომ აგენტი ყოფილიყო, ამას ჯერ კიდევ რუსეთში შეუტყობდნენ და მის ლექციებზე ამდენი ხალხი არ ივლიდა. ის ვერ მოიპოვებდა ასეთ ავტორიტეტს 80-90-იანი წლების რუს დისიდენტთა და საბჭოთა სისტემასთან მოპაექრე მოსკოველ ჰუმანიტართა შორის.

ყოველკვირეულ გაზეთში „ახალი საქართველო“(1999 წ., 11-17 მარტი, 10, გვ. 4) კოტე მელაშვილი ზვიად გამსახურდიას გამოჩინებული მტრის, კიტა ბუაჩიძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში ამბობს: „...მერაბ მამარდაშვილი... ანტიეროვნული, გადაგვარებული, გადაჯიშებული ადამიანი გახლდათ, რომელიც ბევრ სხვა სისულელეებთან ერთად ქადაგებდა, ფილოსოფიას ეროვნება არა აქვსო, არ შეიძლება ეროვნული ფილოსოფია არსებობდესო...“.

კოტე მელაშვილი რასაც ამბობს ზვიადის დიდი მოძულის და წლობით მისი დამცინავის, კიტა ბუაჩიძის წინააღმდეგ, სრულიად მართალია, მაგრამ მამარდაშვილის შეფასებაში მას ვერ დავეთანხმები. რასაც კოტე მელაშვილი მამარდაშვილზე წერს, არის ფილოსოფიის არსის ვერგაგება. მხოლოდ კოტე მელაშვილი არაა, ვისაც არ ესმის ფილოსოფიური დისკურსის თავისებურება. მოვიყვან თვით ნოდარ ნათაძის აზრს მისივე წიგნიდან „რაც ვიცი“ (თბ., 2002). ეს არის მოგონებები იმისა, რაც ხდებოდა 90-იან წლებში. აი რას წერს ეროვნული მოძრაობის დასამარებაში დიდი წილის დამდები ნოდარ ნათაძე მამარდაშვილის ნათქვამზე „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“. ნათაძე ამბობს, რომ მამარდაშვილის ამ გამოთქმაზე „არ ვირეაგირე, რადგან ამ სიტყვებში აზრი არ დევს“ (გვ. 303). ამას მოსდევს ნათაძის მსჯელობა: „მერაბ მამარდაშვილის გამონათქვამი დებულებად ჩაითვლებოდა - ანუ მის სიტყვებს აზრი მიეცემოდა - მხოლოდ იმ შემთხვევაში, მას რომ, ჯერ ერთი, ემსჯელა არა იმაზე, რა „უფრო მაღლა დგას“, არამედ მხოლოდ იმაზე, „რა უფრო მაღლა დგას ადამიანის თვალში“ ან „ადამიანთა თვალში“... მეორეც, მ. მამარდაშვილის ციტირებულ ფრაზას აზრი მიეცემოდა იმ შემთხვევაში, მას რომ ერთმანეთისათვის შეედარებინა არა „სამშობლო“ და „ჭეშმარიტება“, არამედ „ჭეშმარიტების თქმის მოვალეობა“ და „სამშობლოს დაცვის მოვალეობა“... (გვ.304), (იხილე ასევე გვ. 305-9, სადაც ეს “წიაღსვლა” გრძელდება).

ყოველი წიგნიერი კაცი ნათაძის ამ ნამსჯელის წაკითხვით დარწმუნდება დამწერის არაფილოსოფიურობაში, დავთარარეულობაში. არა, არ ვარგა კაცი არც ფილოსოფოსად, არც პოლიტიკოსად, სულ სხვებისთვის კი იმოძღვრება. ნათაძის არტისტული ოპოზიციონერობა 1991 წლის შემოდგომაზე და სამიტინგო ცანცარი, მისი ხუნტრუცი პარლამენტში, მისი სიარული თბილისის ზღვაზე, მისი ჭკუის კოლოფობა შევარდნაძის პარლამენტში ქვეყანას ჭირად ექცა. ჰეგელის „გონის ფილოსოფიის“ ქართულად გადმომღებ ნათაძეს (1984 წელს 8 ათასიანი ტირაჟით გამოვიდა ეს წიგნი) თუ ეს ვერ გაუგია, რომ მამარდაშვილმა მხოლოდ გაიმეორა ძველისძველი ფილოსოფემა ჭეშმარიტების აღმატებულებაზე, მაშინ ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მას ფილოსოფიისა არა გაეგება რა.

შევარდნაძის მოდასე ისტორიკოსმა ლევან სანიკიძემ მამარდაშვილს უსამშობლო კონდოტიერი უწოდა. ეს, რამდენადაც მახსოვს, იყო გაზეთში „შანსი“ . სანიკიძე ამ გაზეთის მუდმივი ავტორი გახლდათ.

სანიკიძის ეს ნათქვამი აიტაცა ბევრმა ცუდმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა, რომელნიც საქართველოში ათასობით არიან. მათ წლობით ხითხითი და ქილიკი ედგათ მამარდაშვილზე. თავად ამ სანიკიძეს ასე უნდა ჰკითხო: ანტიკურობის ისტორიაში მუშაობ, ალექსანდრე მაკედონელზე, რომის იმპერიაზე წიგნები დაგიწერია და მაინც არ გესმის ფილოსოფიური განსჯის თავისებურება. ვითომ არსად შეგხვედრია ანტიკური დროის ფილოსოფოსთა იგივე ნათქვამი, რაც მამარდაშვილმა თქვა. არ გესმის მამარდაშვილის ნათქვამის აზრი. ისტორიკოსი ხარ და კონდოტიერი ვინ იყო, ესეც არ იცი. როგორც ნათაძე ატყუებდა ქვეყანას თავისი ფილოსოფოსობით, ასევე ლევან სანიკიძე ატყუებდა ქვეყანას თავისი ისტორიკოსობით. მან 90-იან წლებში შევარდნაძის დახმარებით შეატანინა თავისი „დედა ისტორია“ საშუალო სკოლის პროგრამაში სავალდებულო საგნად. სხვისი ჯიბრით დაწერილი წიგნია ეს მისი „დედა ისტორია“. ქვეყნის მოძღვრობას იჩემებდა სანიკიძე და ერთმა არავინ უთხრა მას, რომ წადი, ჯერ შვილი გაზარდე, ეს შენი გუბაზ სანიკიძე და მერე იერისკაცე. მამარდაშვილი თუ უსამშობლო კონდოტიერი იყო, პოლიტიკის კონდოტიერი და რენეგატი გუბაზ სანიკიძე ხომ არის მამულიშვილი? გუბაზ სანიკიძე თავისი ოპოზიციურობით ატყუებდა ქართველებს. თუ მამარდაშვილი კონდოტიერი იყო, მაშინ ასევე კონდოტიერები იყვნენ იოანე პეტრიწი, გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე ათონელი. განა პეტრიწი უცხოეთიდან არ მოვიდა საქართველოში? ან კიდევ სხვები, ვინც ძველ დროში საქართველოს კულტურა შექმნა?

სიტყვა „კონდოტიერმა“ უარყოფითი აზრი შეიძინა განმანათლებლობის დროის ევროპაში, როდესაც ფეოდალიზმის ამოგდება ფილოსოფიურ დონეზე მიმდინარეობდა მასონ განმანათლებელთა მიერ. მანამდეც, პროტესტანტული ომების დროს კონდოტიერი უარყოფითად მოიხსენიებოდა. დაქირავებული მეომრის აღმნიშვნელი ეს იტალიური სიტყვა ერთ-ერთი მათგანია, რომელიც პოლიტიკურ პოლემიკაში ნეგატიური აზრით გამოიყენებოდა. ასევეა სიტყვები - იეზუიტი, ავანტურისტი, დემაგოგოსი, დესპოტი, ტირანი. კონდოტიერი იყო სამხედრო საქმის დაქირავებული მმართველი შუა საუკუნეების იტალიაში. ის იყო იტალიური ქალაქის დესპოტი (მეფე). კონდოტიერებს მმართველობა უნევდათ მეტად ამორალურ გარემოში. მრავალი იტალიური ქალაქი კონდოტიერებისგან ბევრით იყო დავალებული. მათი ძეგლები დგას იტალიაში. მათ გარდა არავის შეეძლო დაეშოშმინებინა ერთმანეთთან მოქიშპე იტალიური ქალაქები. კონდოტიერი იყო კარგიც და ცუდიც. იტალიის ქალაქებში კონდოტიერი მუდამ ავანსცენაზე ჩანდა თავისი სიმამაცითა და პიროვნული თვისებებით. ის მუდამ მახვილის პირზე მყოფი კაცი იყო, რომლისაც ეშინოდათ მის დამქირავებლებს. ასევე კონდოტიერს ეშინოდა თავისი უსინდისო დამქირავებლებისა. არასოდეს დავივიწყოთ, რომ რენესანსი იტალიაში დიდი ზნედაცემულობის გარემოში მიმდინარეობდა. რენესანსის დროს და რენესანსამდე ერთი საუკუნით ადრე იყვნენ კონდოტიერები. ბევრმა მათგანმა ხელი შეუწყო ხელოვნებას. რენესანსის დასრულებასთან ერთად ისინი წავიდნენ ასპარეზიდან.

მკითხველისათვის ასევე საყურადღებო იქნება თენგიზ სიგუას აზრი მამარდაშვილზე. სიგუას ამაზე ვკითხე 2002 წელს. მან მითხრა, მერაბი მეუბნებოდა, რომ ევროპა კარს მიგვიხურავს იმ ულტრანაციონალიზმისათვის, რასაც ზვიად გამსახურდია ამკვიდრებსო. მერაბი ასევე მეუბნებოდა, რომ ეს კაცი დაღუპავსო საქართველოს. სიგუამ თქვა, რომ არ იყო მერაბი ისეთი კაცი, რომ ის აქ კრემლს გამოეგზავნაო. ეს მას მოუგონეს, რადგან მისთვის თავიდანვე მიუღებელი იყო ქართული ნაციონალიზმი და მესიანიზმიო. სიგუამ თქვა, მე ვიზიარებო მერაბის აზრს, რომ ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას. ჯაბა იოსელიანსაც ვკითხე მამარდაშვილზე და როგორც მას სჩვეოდა, ქილიკი დაიწყო. ისეთი ვერაფერი თქვა, რომ აქ მოსატანი იყოს.

მამარდაშვილი პირველდამწყები იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და ის აღემატა მის თანამედროვე ყველა ქართველ ფილოსოფოსს. მამარდაშვილის სიტყვა ისმოდა მოსკოვსა და ლენინგრადში, პარიზსა და რომში. ამას ვერ იტყვი 90-იანი წლების ვერც ერთ ქართველ ფილოსოფოსზე. ბევრი კრიტიკული რამ, რაც მამარდაშვილის მიერ ითქვა, დღეს გაცრეცილია, რადგან უარესი ბოროტება მოვიდა, რაც დაამკვიდრა ლიბერალ-კაპიტალიზმმა. რაც ფილოსოფიაში არც ისე მნიშვნელოვანი იყო, ისიც კი დიდად ჩანდა, რადგან საბჭოთა ცენზურა კრძალავდა ან არ აძლევდა გაშლის შესაძლებლობას (მაგ., აქსიოლოგია). აკრძალვა წარმოაჩენდა დიდ საგნად იმას, რაც ისეთი არაფერი იყო. ამაზე სპეკულირებდნენ ქართველი ფილოსოფოსები, რომელნიც მეტაფიზიკას და რელიგიას საკლისობდნენ.

ქართველ ფილოსოფოსთა მიერ ვერაფერი ითქმის ისეთი, რაც დროს გაუძლებს. მათი ლაპარაკი არის კონფორმისტული სიტყვა და მეტი არაფერი („ჩვენ არ გვინდა პლატონიდან მომდინარე სოციალიზმი“, „ისტორიული მატერიალიზმი და ათეიზმი სატანური მეცნიერებაა“ და მისთანანი). ნასახიც არაა ქართველ ფილოსოფოსთა შორის რაიმე დასისა. მიმართულების, მიმდინარეობის შექმნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. აქამდე თუ არაფერი შეიქმნა თსუ-ს ფილოსოფიის ფაკულტეტზე, არც შეიქმნება. ქართველმა ფილოსოფოსებმა 80-იანი წლების ბოლოდან თავი მოაჩვენეს ბოლშევიკური მატერიალიზმისაგან ტანჯულ იდეალისტებად. მათ შექმნეს მაისტერ ეკჰარტისა და მარტინ ჰაიდეგერისაკენ სწრაფვის ილუზია. ყველაფერი დააბოლოვეს შევარდნაძის აპოლოგიით. ქართველ ფილოსოფოსებს შურდათ მამარდაშვილისა და სძულდათ ის.

რამდენი ფილოსოფოსი იყო ეროვნულ მოძრაობაში (ირაკლი ბათიაშვილი, მიხეილ ნანეიშვილი, ნოდარ ნათაძე, ვახტანგ გოგუაძე და ბევრი სხვა). ბედის დაცინვის გარდა სხვა კი რა იყო, რომ ამდენი ფილოსოფოსის ხელში მყოფ ეროვნულ მოძრაობას ბოლოს ასეთი უბედურება დაეთია თავს. დღეისათვის ბევრი რამ ითარგმნა (ჰაიდეგერი, ფუკო, სარტრი და სხვები), მაგრამ ქართველთა მოდგმა დარჩა უსმი და უგები ფილოსოფიის მიმართ. ახლა რამდენი ფილოსოფოსია პოლიტიკაში (მიხეილ მახარაძე, გიგი თევზაძე, გია ნოდია, სერგო რატიანი და სხვ.) და რა იქმნება? სად დგას ქართველ ფილოსოფოსთა უმეტესობა, თუ არა სახელისუფლო ბანაკში? აქვს აზრი იმას, რომ მათ ლაპარაკი დაუწყო თუნდაც ყველაზე მცირე საკითხზე? ქართული ფილოსოფია სრული პლურალიზმის ვითარებაშიც კი დარჩა პარტიულ ფილოსოფიად, ს ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ო

გაგრძელება გვ. 8

ჰუდონჰესი – ორპირა მახვილი ნაიარევ ჭრილობაზე

ჰუდონის გიგანტური ჰესის მშენებლობის საკითხი ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ხელში კვლავ აქტუალური გახდა, რამაც 1988 წლის მსგავსად, ეროვნული მოძრაობის, ქართველი საზოგადოებისა და სვანეთის მოსახლეობის საერთო მღელვარება გამოიწვია. ხელისუფლება ჯერ-ჯერობით არ აპირებს უკან დახევასა და ჰესის მომგებიან პროექტზე უარის თქმას, არც სტუდენტობა და მოსახლეობა აპირებს დათმობას, შეგუებას და აყრას სვანეთის მიწიდან.

ენერგეტიკისა და საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორ მირონ ფირცხალანის თქმით ჰუდონი და სხვა სადგურებიც წინა, ანუ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ არის გასხვისებული ინდურ კომპანიაზე, რომლის გეგმით უნდა აშენდეს 700 მეგავატიანი სადგური, 200 მეტრი სიმაღლის, რაც ნიშნავს სოფლების ჰაიშის, ჭუბერისა და იდლიანის მოსახლეთაგან დაცლას, ანუ 4 000 ადამიანის გადასახლებას. პატრიოტი ენერგეტიკოსებისა და სვანეთის მოსახლეობის მოთხოვნაა კაშხალი გადავიდეს 5 კილომეტრის ზევით, რაც უზრუნველჰყოფს 500 მეგავატიან (700-ის ნაცვლად) სადგურის აშენებას, რაც აგვაცილებს სოფლებიდან მოსახლეობის გადასახლების მტკივნეულ პროცესს. მირონ ფირცხალანის თქმით, აგრეთვე ჰუდონჰესის აშენებით ხალხი სარგებელს ვერ მიიღებს, რადგან ძვირადღირებული ჰესიდან გამომუშავებული ელექტროენერგია დღევანდელი 13 თეთრის ნაცვლად 18 თეთრი ეღირება და მოგებას მხოლოდ უცხოელი ინვესტორები ნახავენ საქართველოს წინა და დღევანდელი ხელისუფლების ჩინონვიკებთან ერთად. გარდა იმისა, რომ დარღვეულია საქ. კონსტიტუცია, რომელიც კრძალავს სტრატეგიული ობიექტების უცხოელებზე გასხვისებას, დარღვეულია სვანეთის მოსახლეობის უფლებებიც, რომლებსაც არაფერი ჰკითხეს ამ გიგანტური ჰესის (და მომავალში კიდევ 5 ჰესის) აშენებასთან დაკავშირებით. მოსახლეობის მღელვარებას იწვევს, აგრეთვე სოფლების დატბორვა და მიცვალებულთა საფლავების გარდაუვალი წალეკვა. სვანებმა უკვე ხატებზე დაიწყეს დაფიცება, რომ არ შეეგუებიან მთავრობის ამ ვანდალურ გეგმას!

ყოფილი ფეხბურთელის, ივანიშვილის მთავრობის ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის თქმით ჰუდონჰესი და კიდევ 5 ჰესი მაინც აშენდება. კახი კალაძე ჰესების მშენებელი ინდური კომპანიის ერთ-ერთ ქართველ კომპანიონად სახელდება, რაც აძლიერებს, უთუოდ, მის ინტერესსა და გავლენას სვანეთსა და დანარჩენ საქართველოშიც ჰესების მშენებლობაზე.

ამგვარი ვითარება კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, თუ როგორ არ უნდა დავუშვათ ამომრჩევლებმა ბიზნესმენების მოსვლა პოლიტიკაში, რაც პოსტზვიადისტური ხელისუფლების მანკიერ ნორმად იქცა. სხვაგვარად ჩვენ უძლური ვხდებით ლაგამი ამოვდოთ, აწ უკვე ხელისუფლებაში მყოფი ბიზნესმენების აღძრულს ხარბ მადას მეტი და მეტი სიმდიდრის მოხვეჭისათვის.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 30 სექტემბერს მოაწყო გაფართოებული შეხვედრა ე.წ. ინვესტორებთან, რომელშიც ქართველ ბიზნესმენებს გაცილებით ჭარბობდა უცხოელები მსოფლიოდან. ივანიშვილის თქმით ამ შეკრებით მან საფუძველი ჩაუყარა გრანდიოზულ მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებს, რომლებიც გახორციელდება საქართველოში. ეს იქნება საზღვაო პორტების, რკინიგზების, საწარმოებისა და სოფლის-მეურნეობის დარგების მშენებლობა. ინვესტორების ამ თავყრილობასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა აშშ ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა, რომელმაც დიდი უკმაყოფილება გამოთქვა საქართველოში მოქმედ მიწის კანონთან დაკავშირებით, რომელიც ზღუდავს მიწის უცხოელებზე გაყიდვას. ივანიშვილის მთავრობა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით, არჩევნების შემდგომ აპირებს მორატორიუმის მოხსნას და კანონის ლიბერალიზაციასაც, რაც საქართველოს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებასა და პროტესტს იწვევს, რამეთუ 22 წლის განმავლობაში უკიდურესად გაღატაკებულ მეურნე ხალხს მიწის გარეშე დარჩენა ელით! 30 სექტემბრის თავყრილობა უცხოელ ბიზნესმენებთან, უმოკლეს დროში, ასევე დამოკლეს მახვილივით დაეკიდება ისედაც მცირემიწიან საქართველოს თავზე.

მიწების არაქართველებზე გაყიდვის დანაშაულებრივი პროცესი, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს დაიწყო და განახლდა შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე, რასაც კომუნისტების დროიდან ეწინააღმდეგებოდნენ და ამხელდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა თავიანთ არალეგარულ ჟურნალ-გაზეთებში. ხოლო, ზვიად გამსახურდიამ გაპრეზიდენტებისთანავე დაიწყო კომუნისტების დროის მიწის გამყიდველთა გამოძიება სამშობლოს მოღალატისა კვალიფიციური ბრალდებით, რასაც აგენტურული კომუნისტების რევანშისტულმა რევოლუციამ დაუსვა წერტილი.

ქვემოთ გთავაზობთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პოზიციას ჰუდონჰესისა და მსგავსი დიდი ჰესების მშენებლობლობასთან დაკავშირებით **(რედ.).**

მეგობრებო!

როგორც კი სვანეთში ჩამოვედი, მე გავიგე, რომ სადაც ახლა ხუდონჰესი შენდება, იქ ყოფილა წარწერა: „ენგურო, ჩვენ რამდენიმე გზის უნდა დაგიმორჩილოთ შენ!“

რამდენიმე გზის დამორჩილება ნიშნავს რამდენიმე ჰესის აგებას, ანუ ენგურის გვირაბებში გატარებას, ენგურის კალაპოტის დაშრობას გარკვეულ რეგიონებში და ა.შ.

მე ვიტყოდი რომ ეს ენგურის დამორჩილების სურვილი კი არ არის, არამედ ენგურის მოკვდინების სურვილია, მეგობრებო, ე.ი. უნდათ ენგური მოკლან!

ენგურმა თუ ის კალაპოტი არ გაიარა, გესმით, ენგურზე თუ ის ნაწარმოებები არ დაიწერა , როგორიც იყო „მთვარის მოტაცება“, „ალმაცგირ კიბულან“...

ალმაცგირ კიბულანი თავისი შვილის საშველად გაცურავს ენგურს და შევა ზღვაში, როდესაც ქართული ვაჟკაცობის ეს ემოცია გადმოიღვრება ქართულ ქმნილებაში, ამის განმაპირობებელი არის საქართველოს ბუნება და უპირველეს ყოვლისა მდინარე ენგური.

და თუ კი ენგურის მოდინებას ჩვენ ვერ ვნახავთ, თუ კი ჩვენ ვერ ვიგრძნობთ , რაც იგრძნო თარაშ ემხვარმა, როდესაც ადიდებული ენგურის გადალახვა სწადდა, თუკი ჩვენ მთელ ამ სილამაზეს, მშვენიერებას, რაც ჩვენ განგებამ გვიწილადა, ვერ ვიგრძნობთ, მაშინ რასაკვირველია ვერც ერთი ჰესი, ვერც ერთი ენერგეტიკული საშუალება ვერ გაამართლებს იმას, რასაც ჩვენ ვკარგავთ.

ჩვენ უნდა დავაკვირდეთ ბუნების ქმნილებებს და საერთოდ მთელ დედამიწას.

ამერიკის მთელ კონტინენტზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ განლაგებულია ანდები და კორდილიერები, და ასევე ევროპაში და აზიაში მთიანეთი გასდევს ევროპიდან, ალპებიდან ჰიმალაიმდე, ეს ერთი ხაზია, გადმოდის კავკასიონზე, შუა აზიაში-პამირი, ტიანშანი და გადადის სამხრეთისაკენ.

ჩვენ ვხედავთ, რომ რაც უფრო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოდიან ეს მთები, მით უფრო მაღლდებიან. იმიტომ რომ ზემოთ არის ზოლი მარადიული მყინვარებისა და მარადი თოვლისა, რომელიც განგებამ იმისთვის შექმნა, რომ კაცობრიობას ჰქონდეს ისეთი ფენომენი, როგორიც არის მდინარე.

მდინარე -ეს არის ადამიანის ცხოვრების წყარო.

უწინ ყველამ იცოდა, რომ თითოეულ მდინარეს ჰყავდა თავისი ღმერთი. ეს ძველმა ბერძნებმაც, ძველმა ინდოელებმაც იცოდნენ. დიდი კულტურები იქ შეიქმნა, სადაც დიდი მდინარეებია. ეგვიპტელები აღმერთებდნენ ნილოსს, ასევე ინდოელები-თავიანთ ორ მდინარეს, ასევე შუამდინარეთში აღმერთებდნენ მდინარეებს და კულტურაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადადიოდა და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ... მიდიოდა ზღვისაკენ...

ეგვიპტის კულტურა დაიწყო ნილოსის შუა წელში, გადავიდა დელტაში.

ასევე მოხდა ინდოეთში, შუამდინარეთში, ე.ი. მე რატომ ვლაპარაკობ ენგურზე. იგი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა, მთელი ამ რეგიონის მაცოცხლებელი და მასულდგმულებელი და იგი ვერ უნდა დაიმორჩილოს ადამიანმა რამდენიმე გზის კი არა და ერთგზისაც!

და თვით სიტყვა დამორჩილება ბუნებისა, ეს არის ბოროტება, სიმცდარე და მკრეხელობა...

მერაბ კოსტავა

1988 წლის 30 ოქტომბერი, სიტყვა წარმოთქმული მესტიაში გამართულ მიტინგზე.

საუკუნე უახლესი ზვიად გამსახურდია

ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი
ჩვენს ბრგე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს
ეს საუკუნე სპობს უახლესი
მალე გვექნება მინაძე-ჰესი
დაშლის ვარძიას, ზარზმას და ხერთვისს
გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის
აბობოქრებულ ტალღებს შეერთვის...
ამ ხუდონ-ჰესით, ნამოხვანჰესით
სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მეხი
რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში
ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი
ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი
თან გვარწმუნებენ: იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი!

რას ვფიქრობ მერაბ მამარდაშვილზე?

დასაწყისი მე-6 გვ.

მეცნიერებად და კონფორმიზმის დისციპლინად. აბა თქვას რაღაც მამარდაშვილის შრომების რედაქტორმა გია ნოდიამ ისეთი, რომ ყურის საგდებად ღირდეს. ნოდია ერთ-ერთია, ვინც მამარდაშვილის სახელი პოლიტიკური კარიერისათვის გამოიყენა.

მაშინ, მონოპარტიული იდეოლოგიის ჟამს იყო მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი. ყურადსაღები ისაა, რომ ათეისტური ფილოსოფიაც კი ვერვინ განავითარა საქართველოში. ვერვინ წაიკითხა ფრანგი ათეისტები ისე, რომ შეძლებოდა მათი ინტერპრეტაცია. ესეც ხომ მარქსიზმ-ლენინიზმის ბრალი არ იყო? ათეიზმი ფილოსოფიური დისკურსის განუყოფელი ნაწილია. სწორედ იმ ჰაიდეგერმა, რომელსაც ასე მოსაჩვენებლად ესწრაფოდნენ 90-იანი წლების ქართველი ფილოსოფოსები, შექმნა ისეთი ფილოსოფია, რომელიც უშუალო მიმართებაშია ფრანგულ ათეიზმთან. ეს დაინახა ჰაიდეგერის განაკვალში მდგომმა საქართველოში ადრევე კარგად ცნობილმა ჟან პოლ სარტრმა.

მაშინ მონისტური საბჭოთა იდეოლოგია იყო და ის ბევრს კრძალავდა, მაგრამ დღეს, პლურალიზმის ვითარებაში ამთავრებენ ფილოსოფიის ფაკულტეტს და მიდიან ხელისუფლებაში, მიდიან -ებში (არასახელისუფლო ორგანიზაციებში) საკარიერო მიზნით. ეს -ები არის ტრამპლინი მოლიბერალო კარიერისტებისათვის, როგორც ადრე იყო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი კომპარტიის აპარატში მოსახვედრად კომუნისტი მედროვეებისათვის. არასამთავრობოები ხდებიან სამთავრობოები. ეს ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ასეა. გამოიცემა შემეცნებისათვის უფასური წიგნები, სავსე ლიბერალიზმის იმ სტერეოტიპებით, რომელნიც დისკრედიტებულია 90-იანი წლებიდანვე. ევროპა-ამერიკის უნივერსიტეტები დაიარეს, წლობით დასავლეთში იყვნენ და რა? რა ფილოსოფიური იდეები გამოთქვეს? რომელიმე მათგანს ადარდებს საქართველოს უბედურება? რომელიმე მათგანი ამბობს რაიმე ღირებულს დასავლეთის ცივილზაციის კრიზისზე?

ტოტალიტარული ფენომენი, რაზეც მამარდაშვილი წერს თავის „საუბრებში“, სინამდვილეში ევროპამ შვა და არა რუსეთმა. პროტესტანტული რეფორმაცია სწორედ კათოლიკურ-მონარქიულ ტოტალიტარიზმთან ბრძოლა იყო. დასავლეთმა დივერსიის მიზნით მოიგონა, რომ ტოტალიტარიზმი რუსეთმა შვა. ის იყო ევროპული მოვლენა და რახან პროტესტანტების ბრძოლა ვატიკანთან კარგა ხნის გარდასული იყო და დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური აქტუალობა, ამიტომ ტოტალიტარიზმის ნარმოშობა ბოლშევიზმს დაბრალდა.

მამარდაშვილი მოუწოდებდა მსმენელს: „განვწმინდოთ ჩვენი ცნობიერება და აზროვნება სტერეოტიპებისაგან ... დავინახოთ რეალობა...“ („საუბრები ფილოსოფიაზე“. თბ., 1992, გვ. 172). ეს სწორი იყო, მაგრამ ლიბერტარიზმმა დაამკვიდრა უფრო ვერაგი სტერეოტიპები. ისტორიული მატერიალიზმი, რომელსაც მერაბი აუგად ახსენებს, არც მთლად ასე გასააბუჩები დისციპლინაა. შრომისა და კაპიტალის ანტაგონიზმის პრობლემა განა უფრო მეტი სიმწვავით არ დადგა ლიბერტარიანულ ეპოქაში? განა შრომისა და კაპიტალის საკითხზე, რომელიც შორს სცდება მარქსიზმს, არ ლაპარაკობს მრავალი დასავლელი მეცნიერი 2009 წლის ეკონომიკური კოლაფსის შემდეგ აშშ-ში?

ქართველს უჭირს აზრის ავტარკიულობისა და ავტონომიურობის დაცვა. მას არ შეუძლია რაიმე იდეის მიდევნა და მსახურება. მას კარგად ეხერხება ვერბალური იმპროვიზაციები და პოლიტიკური იმიტაცია. ქართველი არასოდეს არაა ნონკონფორმისტი, მაშინაც კი, როცა ამის დიდი აუცილებლობა დგება. ახლა ლიბერალ-კაპიტალიზმის ფორმაციული კრიზისი მწვავდება და მთლიანად ეს წყობილება ბოლოს კენწავიდა. ამაზე თავად დასავლელი ფილოსოფოსნი წერენ. ეს საკითხი ტაბუირებულია ქართულ ჰუმანიტარისტიკაში. ყველგან კონფორმიზმი და მოჩვენებითობაა. საქართველოში შექმნილმა კაცთმოძულებრივმა სისტემამ გააჩუმა ყველანი ათჯერ შეყვედრებული სალექტორო ჯამაგირის პირში ჩაჩრით. უნივერსიტეტის ქირის კაცებად ქცეული ჰუმანიტარები ახლებური ყაიდით ატყუებენ ქვეყანას, რომ თავისუფალ სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან და სტუდენტობას საკუთარი აზრის გამოთქმას ასწავლიან. საქართველოში ვერ იქმნება ინტელექტუალთა ორგანიზებული კლასი. ვერ იქმნება დასი პოლიტიკური ან რელიგიური იდეის გარშემო. ახლა ჰხამს ახალი დისიდენტობის დაწყება. მხოლოდ საგაზეთო რაინდობა, მარქსის დაცინვა და ბრიფინგებზე ბრძნობა არაფერს ნიშნავს. რად არ დაისმის ქართველ ფილოსოფოსთა მიერ კითხვა: რა არის ახლანდელ ჟამს ღმერთი? რას ნიშნავს ამ ავჟამობაში ეს სიტყვა? რა უნივერსული იდეა უნდა ჰქონდეს ისტორიას, როდესაც კაპიტალისტური ფორმაცია სრულდება?

არსად ასე ბოროტად არ მოჰქცევია თავის ქვეყანას წიგნიერ ადამიანთა კლასი, როგორც ეს ქართველმა ინტელიგენციამ გააკეთა. აღმოჩნდა, რომ საქართველოს არა ჰყავს თავისი მიწისა და მოდგმის მოყვარე პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა. რა ამბავია პრესაში და ერთობა კი არსადაა.

მამარდაშვილის დანაშავარი ისაა, რომ იგი არ უნდა დამდგარიყო ოპოზიციური ინტელიგენციის გვერდით. მერაბმა თვალი დაიბრმავა და არ დაინახა, რომ ოპოზიცია ყველა თავის მსჯელობაში იყო ზერელე და ფრაზიორი. მას არც ზნეობრივი პრინციპი გააჩნდა და არც იდეის მიმდევარი იყო. ეს ინტელიგენცია სინამდვილეში არასოდეს ყოფილა ლიბერალი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ეს ინტელიგენცია ვერ შექმნიდა ეპოქას, როგორც ეს შექმნეს თავდადებულმა ევროპელმა პროტესტანტმა ლიბერალებმა XVI-XVIII საუკუნეებში. ეს ინტელიგენცია ვერ გაავლებდა ხნულს პოსტსაბჭოთა დროში. ის ყოველთვის იქნებოდა ის, რაც იგი იყო 1992-96 წლებში. მას არც ჭეშმარიტება ადარდებდა და არც სამშობლო. მერაბმა არ მოისურვა ამის დანახვა, რადგან ის ზვიადს ექიშპებოდა და თავად სურდა ყოფილიყო ერის აზრთამპყრობელი და იდეური ბელადი. შეუძლებელია მერაბის მახვილ თვალს გამოჰპარვოდა რა შვილიც იყო ოპოზიციონერი ინტელიგენცია. მერაბს არასოდეს არაფერი კრიტიკული არ უთქვამს ოპოზიციონერ ინტელიგენციაზე. არადა, ამ ინტელიგენციას აშკარად ეტყობოდა, რომ თავს აჩვენებდა, სისხლი სწყუროდა, ქვეყნის არევას და გაძარცვას ელამოდა. მამარდაშვილს უნდა სცოდნოდა, რომ ქართველნი არასოდეს ყოფილან იმდენად ზნეკეთილნი და კულტუროსანნი, რომ მათ შეძლებოდათ ევროპულ ლიბერალიზმზე თავისი ცხოვრების დაფუძნება. მერაბს სურდა წარმოედგინა, რომ ზვიადის მომტერე ქართველი ინტელიგენცია რაიმე საშვილიშვილო საქმის შემძლე იყო. აი ესაა მამარდაშვილის დანაშაული. მას უხამდა ეთქვა, რომ ინტელიგენცია ცუდად ავარდნილი იყო და ქვეყანას თავზე დაიმხობდა. მას უნდა დაენახა, რომ მის სახელს და მის ფილოსოფიას ამოეფარებოდნენ პოლიტიკური კინტოები და ქვეყანას მოაღორებდნენ. ის იყო ინტელიგენცია, რომელიც ყველა სისაძაგლეს ჩაიდენდა გამსახურდიას მოსაკლავად და ეროვნული მოძრაობის ამოსაძირკვად. მერაბმა თქვა, თუ ქართველი ერი გამსახურდიას აირჩევს პრეზიდენტად, მაშინ მე ჩემი ხალხის წინააღმდეგ წავალო. ეს მას არ უნდა ეთქვა. მისი ეს ნათქვამი ოპოზიციამ პირზე დაიკერა და თავის ბილწობას ამით ამართლებდა. სამესისხლოდ აღრენილი ინტელიგენცია მამარდაშვილის ამ ნათქვამზე მიუთითებდა და მსახიობურად ფილოსოფოსობდა.

ღვთის განგებულება თუ იყო, რომ მერაბი არ მოესწრო ქართველი ინტელიგენციის დაცემას 1991 წლის შემოდგომაზე და 1992 წლის დასაწყისში. მამარდაშვილი აღარ მოესწრო ინტელიგენციის დეკლასანტობისა და გაქრობის პროცესს. მან აღარ იხილა საქართველოს გაძარცვა ქართველთაგანვე და ომების მოღალატურად წაგება, შემდეგ ზვიადის წინააღმდეგ ატეხილი ისტერია და სიცრუე აფხაზეთის დაბრუნებაზე. პოლიტიკის გააზრება არ გასცილებია ლუიზა შაკიაშვილის, შოთა ნადირაშვილის, იზა ორჯონიკიძის, გურანდა გაბუნიას, დიმიტრი ჯაიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის ინტერვიუების დონეს. ოც წელზე მეტი გამოხდა და მაინც ისევ აფრაკები პოლიტიკოსობენ.

ირაკლი ბათიაშვილთან შინ შეკრებილან მამარდაშვილი და სხვები. ისინი ბჭობდნენ პოსტსაბჭოთა საქართველოს მომავალზე და მამარდაშვილის კიდევ ერთი დანაშაული ისაა, რომ მან ვერ განჭვრიტა ნეოკოლონიალიზმისა და დასავლური ამორალური პოლიტიკის საფრთხე. ის ოდნავაც არ შეეჭვდა დასავლური ლიბერტარიანული გზის ჭეშმარიტებაში. გასაგები იყო, რომ არსებობდა საბჭოთა იდეოლოგიის შაბლონები და ყალბი ენა, მაგრამ განა იდეოლოგიური შაბლონები და სიყალბე დასავლეთში არ იყო? მაშ რამ დაბადა დასავლეთის ამდენი კრიტიკოსი თვით დასავლეთში 70-80-იან წლებში და უფრო ადრე? სწორედ ფილოსოფოსს უხამდა ამის გააზრება, ამაზე უბნობა. მიუტევებელი შეცდომა იყო მანიქეველური ყაიდით იმის უკამათო დებულებად დამკვიდრება, რომ საბჭოეთი სატანურია და დასავლეთი კი ბიბლიური სულიერებით აღვსილი. აი ამან დიდად ავნო 90-იანი წლების დამდეგის პოლიტიკურ დისკურსს.

რაც დღეს ხდება დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით, ამაზე რად არას იტყვიან ქართველი ფილოსოფოსები? საუწყებო უსამართლობა, საბანკო ტოტალიტარიზმი და მევახშეობაა საქართველოში. რა შეძლო ქართულმა ჰუმანიტარისტიკამ განვლილ ოც წელიწადში, რომ რაიმე იყოს სათქმელი და ხელმოსაჭიდი? რატომ არას იტყვიან დღემდე მამარდაშვილის სახელს ამოფარებული ლიბერალი მედროვეები იმაზე, რომ საქართველო ილევა? ქვეყნის პარლამენტიდამთავრობა2013წლისშემოდგომისათვის არის ქართველთა მოდგმის კიდევ ერთი კატასტროფა. ეს არის ყველა პრინციპისა და ნორმის უარყოფა, რაც გამართლებულია იმით, რომ ქვეყანა ისწრაფვის ევროკავშირსა და თ-ში. რად ჩაუკმენდია ხმა ყველა იმ ფილოსოფოსს, ვინც გუშინ გაზეთებში ინტერვიუებს ბანქოს ქაღალდივით არიგებდა? რა არის ქართული ფილოსოფია დღეს, თუ არა მიჩუმათება, გაქცევა და დამალვა სინამდვილისაგან? აი ასე მიუზღო ქართველობას განგებამ გულზვაობისა და ცამდე ასული ტუტუცობის გამო.

1902 წელს არჩილ ჯორჯაძემ დაწერა: „სიბოროტითა და სიძულვილით აივსო ჩვენი გული და ქვეყანა. გრძნობებით გატაცებულნი, სიავით და სიაფთრით ღონემიხდილნი უნუგეშოდ, ურწმუნოდ შევყურებთ ბურუსით მოცულ მომავალს...“.

განა ახლაც ასე არაა? თუ სულ ასეა საქართველოს ისტორიაში, მაშინ რა ყოფილა ქართველთა მოდგმა? საქართველოს უახლოესი წარსული ქართველთა ყველაზე დიდი მამხილებელია. აი ამ დარჩენილ,

მცირედქმნილ საქართველოს ვერ პატრონობენ ქართველნი. არჩილ ჯორჯაძემვე თქვა: „... კეთილი და ბედნიერი მომავალი შედეგია კეთილი წარსულისა და თუ ეს წარსული უვარგისია, კარგი მომავლის იმედი მცირეა“.

განა ზვიადმა კი არ უწყოდა, რომ ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა იდგა? ქართველთა გამოღვიძებისათვის იყო საჭირო მისი ნაციონალიზმი და მესიანიზმი. მხოლოდ ლიბერალიზმის პოსტულატების მომხრეობა ცოტას ნიშნავდა. ქართველთა სამერმისო კონსოლიდაციისათვის იყო საჭირო ნაციონალიზმი და ქართული მესიანიზმი იმ დროს, როცა საბჭოთა იმპერიის დაშლა ღალატის გზით დაიწყო თავად ამ იმპერიის პოლიტიკურმა ელიტამ. ზვიადს თავიდანვე სურდა, რომ პოლიტიკა ყოფილიყო ქრისტიანული და ზნეობით აღვსილი, როგორც ამას თავად დასავლეთი ამტკიცებდა 90-იანი წლების დამდეგს. ზვიადს სწამდა დასავლეთის ამ სიტყვისა. მერაბ მამარდაშვილს ეს უნდა დაენახა და უთუოდ აღენიშნა. ერთი საკეთილო სიტყვა არ თქვა მერაბმა ზვიადზე. დასავლელი ლიბერტარი თავად იყო მესიანისტი. ის თავის მესიანიზმს გამოთქვამდა საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალური ფილოსოფიის ცნებებით. განა ამას ვერ ხედავდა ევროპული ფილოსოფიის მცოდნე მამარდაშვილი? თავისი მსჯელობით მან კიდევ უფრო გაახელა პოლიტიკურ პოზიორობას შეყენებული ოპოზიციონერი ინტელიგენცია. მხოლოდ იმის თქმა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ზვიადის ულტრანაციონალიზმი, ცოტას ნიშნავდა. განა ასეთივე ულტრანაციონალიზმი არ იყო ბალტიისპირეთში? იქაური ნაციონალიზმი გაცილებით თანმიმდევრული და კონსოლიდირებული იყო, ვიდრე ქართული ნაციონალიზმი. ქართულ ნაციონალიზმს ძირშივე წამლავდა ოპოზიციური ინტელიგენციის ზერელე მედასავლეთეობა და პოლიტიკანური თეატრალობა. ზვიადის ბრალი არ იყო ის, რაც ქართველთა ეთნიკური თვისებებიდან მომდინარე ზადიერება იყო და იქნება ყველა დროში. შეუვალი ფაქტი ისაა,

დასასრული მე-13 გვ.

საპრეზიდენტო ძრაობები...

ჩვენს წინა წერილში ვისაუბრეთ საქართველოს პრეზიდენტობაზე პრეტენზიების მქონე რამდენიმე პოლიტიკოსის შესახებ.

საარჩევნო კამპანია დაწყებულია და თითოეული კანდიდატი შეძლებისდაგვარად აწარმოებს წინასაარჩევნო შეხვედრებს ამომრჩევლებთან.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საპრეზიდენტო კანდიდატად წარადგინა წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

ურიგო არ იქნება თუ გადავხედავთ პრეზიდენტობის კანდიდატობამდე მის მიერ განვლილ ცხოვრების გზას, გავიგოთ ვინ არის, საიდან მოვიდა იგი.

ერთიანი ნაციონალური მოძრობის წევრობადმის დავით ბაქრაძის ცხოვრებისეულ ბიოგრაფიას ამშვენებს შევარდნაძის ხელისუფლებაში სამსახური სხვადასხვა თანამდებობებზე:

1997-1998 წწ. – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

1998-2000 წწ. – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლის სამმართველოს უფროსი;

2000-2002 წწ. – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2002-2003 წწ. – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის უშიშროების საკითხთა სამსახურის უფროსი;

2003-2004 წწ. – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოებისა და კონფლიქტების პრობლემატიკის დეპარტამენტის დირექტორი;

2004 წლის აპრილამდე - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი;

2004-2007 წწ. – საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

2007-2008 – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში;

2008 წლის 5 მაისამდე. – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

2008 წლის 7 ივნისიდან – საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე.

ინტერნეტსივრცეში არსებული ამ ოფიციალური ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ დ. ბაქრაძე, ჯერ კიდევ სიყმაწვილიდანვე „ზიარებია“ შევარდნაძის სკოლას და მაღალ თანამდებეობებზეც უმოღვაწია, ანუ იგი გამოწრთობილია შევარდნაძის კადრების სამჭედლოში.

დავით ბაქრაძე, როგორც მოქკავშირის სხვა ბევრი ახალგაზრდა პოლიტიკური „მოღვაწე“ გადადის ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში - მოდერნიზებულ მოქკავშირში და აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას. ნინო ბურჯანაძისა და ნაც.მოძრაობის გაყრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი მას სვამს პარლამეტის თავმჯდომარის სავარძელში.

საქართველოზე გაწერილი სცენრის თანახმად ნაც. მოძრაობას ჩაენაცვლა ძველებისაგან შემდგარი ახალი „ქართული ოცნების“ კოალიცია, დ. ბაქრაძე ახლად არჩეულ საქართველოს პარლამენტში მკვიდრდება როგორც საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი .

ბაქრაძე წარმოადგენს იმ ხელისუფლებას, რომელსაც ჩვენში, რატომღაც მოიაზრებენ რუსეთის იმპერიასთან დაპირისირებულ, პროდასავლურ ხელისუფლად, რომელიც მიილტვოდა საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ.

ინტერნეტსივრცეში გავრცელდა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერის გია გაჩეჩილაძის მიერ შეკრებილი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების სია, რომლებიც საკაშვილმა რუსეთს მიჰყიდა :

1) ენგურჰესი — რუსული კომპანია „რაოესი“.

2) ჟინვალჰესი — რუსული კომპანია „რაოესი“.

3) რიონჰესი — რუსული კომპანია „ენერჯ ინვესტი“.

4) გუმბათი 1, გუმბათი 2 — რუსული კომპანია „ენერგო პრო“.

5) ლაჯანურჰესი — რუსული კომპანია „ენერგო პრო“.

6) შაორჰესი — რუსული კომპანია „ენერგო პრო“.

7) აჭარის წყალი — რუსული კომპანია „ენერგო პრო“.

ვარციხე 1 — რუსული კომპანია „ინტერ რაო“.

ვარციხე 2 — რუსული კომპანია „ინტერ რაო“.

ვარციხე 3 — რუსული კომპანია „ინტერ რაო“.

ვარციხე 4 — რუსული კომპანია „ინტერ რაო“.

9) ხრამი 1 — რუსული კომპანია „რაოესი“.

10) ხრამი 2 —რუსული კომპანია „რაოესი“.

11) ხრამი 3

12) ხრამი 4 — აშენების ნებართვებიც „რაოესს“ ევალება ხელშეკრულებით.

13) ხრამი 5

14) ყაზტრანსგაზ თბილისი — რუსული კომპანია „გაზპრომი“.

15) გაზგამანაწილებელი კომპანია „იტერა“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.

16) შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.

17) გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

1 გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

19) მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კილოგრამი ხაზები — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

20) „მადნეული“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

21) „კვარციტი“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

22) საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან —„რუსეთის რკინიგზა“.

23) კომპანია „ბილაინი“ — რუსული კომპანია.

24) „აზოტი“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

25) „გაერთიანებული ქართული ბანკი“ — რუსული კომპანია „ვითიბი“.

26) „ლუკოილი რუსული კომპანია” ლუკოილი.”

27) ზესტაფონის „ფერო“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

28) ელმავალმშენებელი ქარხანა — რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“.

29) არამიანცის, თბილისის 1 საავადმყოფო — რუსული კომპანია „ბატუსი“.

30) თბილისის წყალი — რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ პაუერი“

ამ დოკუმენტიდან ნათლად სჩანს ვითარების ნამდვილი არსი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ნაცმოძრაობის პროდასავლურობას.

ჩვენი პოზოცია და აზრი ასეთია, მოდერნიზებული მოქკავშირი -საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უნდა ჩაბარდეს წარსულს და აღარასოდეს აღარ უნდა მობრუნდეს!

ახლა, რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას და მის მხარდამჭერებსა თუ ელექტორატს.

ნინო ბურჯანაძე - წარმომადგენელი კომუნისტური არისტოკრატიის ოჯახისა, დღეს სამოსგამოცვლილი და შეფუთული ფსევდო-დემოკრატი, ფსევდო-პატრიოტია. შევარდნაძის კლანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომდგენელი ქართულ პოლიტიკაში. სინამდვილეში რუსეთის იმპერიული ზრახვების საიმედო დასაყრდენი ჩვენს ქვეყანაში. გადავხედოთ მისი ცხოვრების მატეანესაც.

იგი ქუთაისში, ანზორ ბურჯანაძის ოჯახშია აღზრდილი, აქედან გამომდინარე მას არ გაუჭირდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესტიჟულ იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვაც. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გაამწესეს მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

როგორც ცნობილია, ბურჯანაძე არის შევარდნაძის ნათლული, რაიც აშკარად ატყვია მის პოლიტიკურ თუ სამეცნიერო კარიერას.

ანზორ ბურჯანაძის, თელავის რაიკომის მდივნის ოჯახი მეტად დაახლოებული იყო შევარდნაძის კარზე. ანზორ ბურჯანაძეს ყოველთვის შემოსავლიანი თანამდებობები ეჭირა, მაგრამ ანზორ ბურჯანაძემ განსაკუთრებით დიდი ფული 1993-96 წლებში იშოვა, როცა ქვეყანა შიმშილის პირას იყო. ანზორი - ქვეყნის პურპროდუქტების მთავარი განმკარგავი გახლდათ, მშიერი ხალხი კი ნაკლებად დაგიდევს პურის ხარისხს. ამით ბურჯანაძემ არაერთგზის იხეირა...

ყველას გვახსოვს მაშინდელი პურის გემო, რომლის მიღებაც, თურმე სპეციალისტების აზრით, პირუტყვისთვისაც კი საშიში და მიუღებელი იყო, რადგამ უამრავი დაავადების გამომწვევს და საწინდარს წარმოადგენდა, მათ შორის ონკოლოგიური დაავადებების, რომელიც ასე გავრცელებულია დღეს საქართველოში და უტოლდება ერის ბიოლოგიურ გენოციდს!

პრესაში, ელექტრონულ მედიაში მრავლად არის ამის შესახებ ცნობები და თავს არ შევაწყენთ მკითხველს. უკანონო, დანაშაულებრივი გარიგებებითა და მაქინაციებით ანზორ ბურჯანაძემ მილიონები მოხვეტა.

დიახ, ტყუილ-უბრალოდ არ დახვედრია იგი, ოჯახითურთ, ე. შევარდნაძეს 1992 წლის 7 მარტს თბილისის აეროპორტში.

სიმამრის მიერ დაწყებული უძირო ორმოს ამოვსება სიძემ გააგრძელა, რომელიც ასევე სარფიან სავარძლებში გაამწესა „მამა-მარჩენალმა“. სავარძლების გარდა ბიწაძე ადვილად დაუფლებია ფულის შოვნის ტექნოლოგიებსაც. ამის შესახებ ვგებულობთ „ვიკილიქსის“ წყაროებიდანც, რომელიც გაზეთმა „24 საათი“ გამოაქვეყნა:

სკანდალური საიტი „ვიკილიქსი” საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის დიპლომატიურ გზავნილს აქვეყნებს (14:19 05.06.2013), რომელშიც პარლამენტის იმჟამინდელი სპიკერის ნინო ბურჯანაძის გეგმებზეა საუბარი.

გამოცემის ინფორმაციით, ტეფტი მტკიცებულებებზე დაყრდნობით წერს, რომ ბურჯანაძის მეუღლე, სასაზღვრო პოლიციის იმჟამინდელი შეფი ბადრი ბიწაძე „დიდი მოცულობის თანხებს რუსეთში დამკვიდრებული ქართველებისგან იღებს, რომელთა ნაწილი შესაძლოა, კრიმინალური სინდიკატის წარმომადგენელი იყოს”.

„საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, ბურჯანაძემ ზაფხულის დიდი ნაწილი უცხოეთში გაატარა. მერაბიშვილის თქმით, არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, რომ ბიწაძემ 500000 დოლარი ტარიელ ონიანისგან მიიღო, რომლის სახელიც მუხროვანის ამბოხის მცდელობას უკავშირდება. მინისტრის ინფორმაციით, ბიწაძესთან მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები მოსკოვში მცხოვრები კანონიერი ქურდებისგან სომხეთის გავლით მოდის. მერაბიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ბურჯანაძე და ბიწაძე ევროპაში ხშირად მოგზაურობდნენ და იქ კანონიერ ქურდებთან შეხვედრებს მართავდნენ” – ნათქვამია, „24 საათის” ინფორმაციით, „ვიკილიქსის” მიერ გამოქვეყნებულ წერილში.

რაც შეეხება ბურჯანაძის გეგმებს, ელჩი თავდაცვის ამჟამინდელ მინისტრ ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის დეტალებზეც წერს.

„დოკუმენტის თანახმად, ალასანიამ (“ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები”) ელჩს უამბო, რომ ბურჯანაძე მუშაობდა ეკა ბესელიასთან

გაგრძელება მე-15 გვ.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

გერმანე ფაცაცია

ლექსები

ამ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ომები არ დაჰკლებია ჩვენს ისედაც მრავალტანჯულ სამშობლოს. დღეს კი, არც ომია და აღარც მშვიდობა. გერმანე ფაცაციას სიტყვებით კი „ავი რაღაცა ხდება ამ საწუთროში დღეს, ისე ცივდება ყოფა, თითქოს შესცივდა მზეს“.

სწორედ ასეთ ყოფაში, უფლისა და სამშობლოს მოყვასი, ტრადიციული ფასეულებების ერთგული გერმანე, გონებისა და მშფოთვარე სულის კონცენტრირების

ნიჭით ახერხებდა მის გარშემო იდუმალი სიმშვიდისა და ოპტიმისტური განწყობის შექმნას. „უფალს ვინც უყვარს, მას ათას განსაცდელს უმზადებს“–ო იტყოდა და სამშობლოს სადღეგრძელოს დააყოლებდა, რაც მისი აღფრთოვანების უშრეტი წყარო იყო.

მომიტევოს მისმა დიდმა და მშფოთვარე სულმა, რომ ვერ შევძელი სიცოცხლეშივე ისე მოვფერებოდი, როგორც ის ახერხებდა ჩვენს მოფერებას.

სამწუხაროდ ძალიან ადრე დატოვა წუთისოფელი, რაც ჩემს თაობას მარადიულ ტკივილად დარჩება.

გერმანე ფაცაციამ მრავალ პუბლიცისტურ და ფილოსოფიურ – სამეცნიერო ნაშრომთან ერთად, სამშობლოსა და საწუთროს სიყვარულითა და ტკივილით გაჟღენთილი ლექსებიც დაგვიტოვა...

ნუგზარ მგალობლიშვილი

ლაზი ლაზარე

(ქართული მისტერია ვაჟა–ფშაველას მოტივებზე)

კრძალვით, საჩუქრად სვეტიცხოველს, სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II–ს, მართლმადიდებელ მრევლს, მარტვილ, გაუცხოებულ ქართულ დიას პორას...

კურთხეულს ურცხვად ვაგინებთ,
ცოდვებით ზეცა ზანზარებს...
მაუწყე, არსთა გამრიგევ,
ლაზი თუ არის ლაზარე?

აქ, ჩვენს თვისტომში, უმეცარს,
სულმოკლესა და ბრაზიანს
ზეშთააგონე, უეცრად,
თუკი ლაზარე, ლაზია...
განგებით, წუთისოფლურით,
ვხმობდი ევროპას, აზიას...
მოვფინე ფიქრი კოლხური –
“ეგებ, ლაზარე ლაზია?!..”
წმინდაო, შენი ნებითა
და ძალით დავივანებით,
კოლხების მოთმინებითა
ითმენს ზისხირი სხვანების!
სხვას არას გვედრებ, უფალო,
არ ვემართლები... ლაზარეთს,
გარშემო ვუვლი ნასუფრალს,
მიწყივ მოველი ლაზარეთს...
...რა გვჭირს, ასეთი ქართველებს,
ფესვებზე როგორ ვბრაზდებით?–
ვიკვირვოთ, რომ ვერ გაგვთელეს
ლაზარეები–ლაზები...

უმალ გვეწვევა საშველი,
გზას თუ ავარჩევთ, აზრიანს,
რომ “ლაზი არის ქართველი,
ქართველი ყველა ლაზია!..”
რად იუცხოოს არმაზმა,
არგონავტები და არგო,
ან, თუ გვეუწყა, რომ ლაზმა
სვეტიცხოველი ააგო?!..
დარდი დაგვტოვებს ვეება,
ყური მივუგდოთ ამ ზარებს,
ხსნის მაცნედ შეგვეგებება
მიწაზე, ლაზი–ლაზარე!
...ნათლისმცემელი თამადობს
აღმსდგარ ლაზარეს ქორწილში,
ქართულად თავისთავადობს
ოდოიათი ოდიში...
ფხიზლობენ აკვნის გამთლელნი,
მტრის როკვას ვუმზერთ, საზარელს,
ქართულად ზეობს ქართველი,
დარაჯობს ლაზი–ლაზარე!

ზეცას მივაკრათ თამასა,
დავოკდეთ შვილნი, უძღებნი,
დღეს ნუ ჩავიდენთ, ხვალ რასაც
მონანიებას ვუძებნით!..
ვწეროთ მერმისი ღვთის კალმით,
შუმერ–ხეთურით, ზედაშით,
ჭეშმარიტ იერუსალიმს
ვეზიარებით მცხეთაში!..
...აცივდა, კვართის ბრალია?!–
ცოდვაა, დღეს, უჩუმრობა,
მალე იქნება, ძალიან...
მაცხოვრის, მცხეთას, სტუმრობა!...

კოდი...

ნუგზარ მგალობლიშვილს – ნაზარს... / 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას წასაკითხად/

შენც, მეც, ვიცით ნაზარეთი...
სახელდება, მესმის ნაზარ! –
ხვალ, ლაზარეს ლაზარეთი,
აღდგინების დაჰკრავს ნაზ ზარს,

აივსება კოდი ღვინით,
გაიხსნება ყველა „კოდი“...
უფლის ნებით, ჩვენი ჟინით,
მოდის მარჯი, მარჯი მოდის!...

...არ გვეგონა, მოვესწარით! –
ზეაღაპყარ, მზერა, ნაზარ...
ზარი,ზარი,ზარი, ზარი!...
ვხედავთ, ზეცის, ნეტარ ზანზარს...

დილას, ღამე მოუპარავს,
სიმშვიდეა, არვინ დაობს,
რაო? – თურმე, მაცხოვარი,
წუხელ, მცხეთას, მობრძანდაო!...

25 სექტემბერი, 2011

P.S. წერტილს ნუ დავსვამთ, ქართველებო! – მრავალწერტილში გვემოძრაოს, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

მერაბ კოსტავა

იგავები

ბულბულის განქიქება



ერთ დაბურულ ტყეში ფრინველთა სამხატვრო საბჭომ ბულბულის შემოქმედების განხილვა მოაწყო. საღამო კრიტიკოსმა ჩხიკვმა გახსნა.

„ვინაიდან კრიტიკული ხედვის თვალსაწიერი ჩვენს დროში ესოდენ გაიზარდა, – დაიწყო მან, – ის ძველი პრიმიტიული დონე გადაილახა და ამიტომ ბულბულის ხელოვნებისადმი ჩვენი პოზიცია დიახაც შეიცვალა. რომელ პროგრესულ ფრინველს მოხიბლავს დღეს ზებუნებრივობა და არარეალურზე მისი გაუთავებელი წუწუნი, მუდამ ვარსკვლავებზე და მთვარეზე მოთქმა და გოდება, როდესაც ქვეყნად ამდენი ჭიაღუა და კენკროვანი მცენარეა. აქედან გამომდინარე მისი შემოქმედება პესიმისტურია და კრიტიკის ცეცხლში უნდა იქნას გატარებული, როგორც ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი და წარსულის ბნელი გადმონაშთი. სჩანს ბულბული მისტიციზმში გადაიჭრა და იდეურად არაჯანსაღ პოზიციას იჭერს“.

„არც მე მომწონს – სთქვა ძერამ – ჩვენი დროის გმირთა ასახვას რომ გაურბის იგი. ძერებისა, ორბებისა და ქორებისთვის როდი აღავლენს ხოტბას, თვალშეუდგამი სიმაღლეებიდან რომ დააცხრებიან ხოლმე ელვის უსწრაფესად თავიანთ ნადავლს და სისხლიანი ნაკრტენით ველ-მინდორს ამტუტებენ“.

„არც მშრომელთა ცხოვრების აღწერაში დასდენია მას ოფლის ღვართქაფი – დაიყრანტალა ყორანმა – თორემ აბა, რითი ავხსნათ გეთაყვა, რომ ჩვენ, ყორნები და სვავები ჯერაც ვერ გავხდით მის ქმნილებებში მოხვედრის ღირსი. ჩვენ რომ ჯაფისაგან წელში არ ვწყდებოდეთ და ამდენ ლეშს არ გეახლებოდეთ, ხომ წაიბილწებოდა ქვეყნიერება? მაშ თუ პატიოსანი კაცია იგი, მობრძანდეს ჩვენთან, ახლოს გაეცნოს ჩვენს ცხოვრებას, გაიზიაროს ჩვენი საამო ტრაპეზი და იმ უცხო შთაბეჭდილებებით გაამდიდროს თავისი შემოქმედება, რითაც ეგზომ ქებულია ახალგზრდა ჭილყვავის ლირიკა“;

„რას ჩერჩეტობს ეგ სამგლე ეგა – გადასძახა მოთმინებიდან გამოსულმა შაშვმა იქვე იფნის ტოტზე შემოსკუპებულ გუგულს. – ამ წყეული ჯილაგის ნაშიერთ, როგორ უტოლებს დიდებულ მგოსანს!“.

„იყუჩე მეგობარო – მშვიდად მიუგო მას გუგულმა – ნუთუ არ იცი, ჩუმად მგოსნობასაც რომ იჩემებს ეს სასიკვდილე. ამადაც სძაგს მას ყველა ნამდვილი ხელოვანი, ხოლო ჭილყვავები, კაჭკაჭები და მიკიოტები ცამდე იმიტომ აჰყავს, რომ მათ ფონზე საკუთარი ყრანტალი ფსალმუნად მოგვაჩვენოს“.

იადონი და ბულბული

ერთხელ გალიაში დამწყვდეული იადონი მოჰყვა ტრაბახს, რომ იგი ბულბულზე დიდი ხელოვანია. „ყველგან და ყველასთან, ტყვეობასა თუ თავისუფლებაში ერთნაირის მომხიბვლელობით ვგალობ. ჯერაც არასოდეს გავუწბილებივარ მუზას. ბულბული კი ხმადაშრეტილი სდუმს გალიაში, მუზათა მადლს მოკლებული“.

„ამაოდ უტოლებ თავს ბუნების დიდ მგოსანს – ააბდღვიალა ბროლის ლარნაკში ფურცლები ვარდის კოკორმა – იმიტომ როდი სდუმს ბულბული გალიაში, რომ მას სიმღერა არ შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ თავისუფლების პირმშოა იგი და მიჯნურობის ცეცხლით ანთებული მგოსანი. ამასთან, ხელოვნების მხოლოდ ჭეშმარიტ დამფასებლებს უგალობს იგი, რომელთაც ძალუძთ შუაღამისას ძილი განიფრთხონ და ბაღში გავიდნენ მის მოსასმენად. შენ კი, მონობას შეჩვეული, შენი გალიის მეთვალყურეებს უგალობ მხოლოდ და იქვე სარკმლის რაფაზე შემოსკუპებულ კატას, რომელსაც შენი სიმღერისა არაფერი გაეგება და მხოლოდ იმას ჰნატრობს, როგორმე ღია დარჩებოდეს გალიის კარი შენს პატრონს, რათა ერთ წამში გადაგსანსლოს“.

კარგი მგოსანი ხელმწიფისა და მისი ვეზირებისათვის იგივეა, რაც მსუყე სადილზე დასაყოლებელი დელიკატესი. ჭეშმარიტი მგოსანი კი მხოლოდ ღვთისა, სიბრძნისა და მშვენიერების მსახური უნდა იყოს.

(თვითგამოცემითი ჟურნალი „ოქროს საწმისი“ №2, 1975)

1989 წლის 18 თებერვალს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიერ გამართულ მიტინგზე, კომკავშირის ლიდერებმა მამუკა კაციტაძემ და მამუკა ხაზარაძემ მერაბ კოსტავაზე აღმართეს ხელი, რასაც მერაბის მხრიდან საპასუხაო დარტყმა მოჰყვა.

არამგადები!!!

ლატავრა ფოჩიანი

იმ საჩუქართა შორის, რომლებითაც ეროვნულმა მოძრაობამ დამასაჩუქრა, ულამაზესია ლატავრა ფოჩიანთან ნაცნობობა.

ერთ დილით, როდესაც მთავრობის სახლის წინ მორიგი მიტინგი უნდა დაწყებულიყო და მე კიბის თავში, იმპროვიზებულ ტრიბუნაზე ვიდექი მიკროფონებთან, მოვიდა სამი ნაცნობი ქალი და მითხრეს, ერთ ადამიანს სურს პირადად გაგიცნოთო.

ჩავედით ათ თუ თხუთმეტ საფეხურზე, მერე მარჯვნივ გავედით და იქ, სადაც კიბის მარჯვენა ფრთა მთავრდებოდა, ერთ–ერთმა მითხრა: აი, ქალბატონ ლატავრა ფოჩიანს სურს თქვენი გაცნობაო!

– ლატავრა ფოჩიანი?!

გავშეშდი.

ეს სახელი და გვარი მაგიურ სიტყვებად იყო აღბეჭდილი ჩემს სულში ჭაბუკობიდან და სინონიმად ქცეულიყო იმ მშვენიერი, ნაზად მთრთოლვარე ქარიშხლისა, რომელსაც ქართული ცეკვა ჰქვია.

მთელი დარჩენილი ცხოვრება სანანებლად მექნება, რომ ჩვენი დროის გაუხეშებულ ურთიერთობათა ინერციისა და რაღაც წვრილმან პირობითობათა გამო იმავ წამს მუხლებზე არ დავეცი და არ ვემთხვიე ქალბატონი ლატავრას კაბის კალთას...

გაშეშებული ვიდექი.

ქალბატონმა ლატავრამ უბრალოდ გამიღიმა და ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად...

მას შემდეგ ყველა ჩვენს მიტინგზე იქ, კიბის იმ ადგილას იდგა ქალბატონი ლატავრა და მე მჯეროდა, რადგან იგი იქ იდგა, ესე იგი ყველაფერს სწორად აკეთებდა და ამბობდა ჩვენი ხელისუფლება...

მერე ყველაფერი აირ–დაირია. ჰაერში ტყვიის სუნი დადგა. მოწინააღმდეგენი გამედიდურდნენ. სულმოკლეებმა თავგადასარჩენად შესაძვრომებს დაუწყეს ძებნა.

ლატავრა ფოჩიანი კი ურყევად იდგა თავის პოსტზე...

ძალიან მძაფრად დამახსომდა ჩვენი ბოლო შეხვედრა.

მიტინგი ათ წუთში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჯერ ცოტა იყო ხალხი.

ქალბატონი ლატავრა მის მიერ ამორჩეულ ადგილას იდგა და ქალებს ელაპარაკებოდა.

რომ დამინახა, ხმამაღლა მომესალმა: გამარჯობა! გამარჯობა, გურამ პეტრიაშვილო!–ო.

წინათ ასე არ მესალმებოდა ხოლმე. ჩუმად გავუღიმებდით და გადავკოცნიდით ერთმანეთს.

ახლაც მივედი, რომ ქართული წესით გადაგვეკოცნა ერთმანეთი ანუ ლოყის ლოყაზე მიდებით.

მივადე ლოყა მის ლოყას და ის იყო უნდა მოვშორებიყავ, მაგრამ ეს ვეღარ მოვახერხე, რადგან მისი ხელი მძლავრად შემომხვეოდა კისერზე და არ მიშვებდა.

მე დავმორჩილდი.

ქალბატონმა ლატავრამ ტუჩები ყურთან მომიტანა და ჩამჩურჩულა:

– თუ შენც უღალატებ, იცოდე, ჩემი ხელით გამოგჭრი ყელს!–ო.

ესე იგი, თუ ზვიადს ანუ საქართველოს უღალატებო.

მერე ხელი უშვა ჩემს კისერს და წყნარად გაჩერდა.

რა მექნა? ფიცილი დამეწყო არა ვარ მოღალატე–მეთქი?

ისღა ვქენი, რომ თავი ჩავღუნე და მწარედ გავიღიმე.

მას შემდეგ წინასწარ დათქმული მიტინგები აღარ ჩაგვიტარებია. რამდენიმე დღის შემდეგ კი პუტჩისტებმა სროლა დაუწყეს მთავრობის სასახლეს.

ქალბატონი ლატავრა აღარ მინახავს.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სამშობლოდან გაძევებულმა ხელთ მოვიგდე იმდენი თანხა, რომ ტელეფონით დავკავშირებოდი თბილისელ ნაცნობ–მეგობრებს, ცხადია, პირველს ლატავრა ფოჩიანს დავურეკე.

დავურეკე და თან გული მითრთოდა შიშისაგან, ვაითუ ქალბატონ ლატავრას მიაჩნია რომ სადმე, როდისმე ისე ვერ მოვიქეცი, როგორც ღირსეულ ადამიანს შეეფერება–მეთქი.

– ალოო? – უპასუხა ჩემს ზარს ქალბატონმა ლატავრამ.

– როგორ ხართ, ქალბატონო ლატავრა? – ვკითხე მე.

– გმადლობთ, რომელი ბრძანდებით?

– გურამი ვარ, პეტრიაშვილი...

– ოჰ, გურამ, ძვირფასო... – მითხრა ქალბატონმა ლატავრამ...

მერე კი მელაპარაკა საქართველოს ამბებზე. არაფერი არ მახსოვს იმ საუბრიდან, ალბათ არც გამიგია, თუ რაზე ვლაპარაკობდით.

ჩემთვის ის იყო მთავარი, რომ ისევ თავისიანად მივაჩნდი ლატავრა ფოჩიანს.

ქართული ცეკვა სრულყოფილი ჰარმონიაა და მასში რომ წლების განმავლობაში ვარსკვლავად ანათებდე მხოლოდ სხვადასხვა მოძრაობების უნაკლო შესრულება საკმარისი არაა, ზნეობის ეტალონიც უნდა იყო და მაშინ გექნება უფლება თქვა, დაარღვია თუ არა ვინმემ ზნეობის რომელიმე კანონი.

და, ვაი იმას, ვისშიც ეჭვი შეგეპარება.

ლატავრა ფოჩიანი დიდ ქართველ ქალთა შუქმოსილი გუნდის წევრი იყო. ეს იცის ყოველმა ქართველმა. მაგრამ შეიძლება ვინმემ არ იცოდეს, რომ ღვთის ნებით, რომელიც სამყაროს კანონზომიერებებში განსხეულდება, ქალბატონი ლატავრა ბავშვთა ექიმიც იყო.

და, თუ ვინმეს ეკუთვნის მარადიულ ნათელში ყოფნა, ეკუთვნის მას – ლატავრა ფოჩიანს!

გურამ
პეტრიაშვილი

რას ვფიქრობ მერაბ მამარდაშვილზე?

დასაწყისი გვ. 6.8

რომ ქართველთა წიგნიერი კლასი არაა თავისი ქვეყნის მოყვარე და თავის განათლებას მხოლოდ ანგარების შესანიღბად იყენებს. მთელი უახლოესი წარსული უწყვეტი უბედურებაა და მაინც ვერ შვა ქართლმა მამულის მოდარაჯე შორსგამხედავი კაცები.

ზვიადის მოძულე ინტელიგენციამ მამარდაშვილის სახელი თავისი უმსგავსობის დასაფარად და თავის მოსაჩვენებლად რომ გამოიყენა, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: 1992 წელს გია ნოდიას რედაქტირებით გამომცემლობაში „მეცნიერება“ 10 ათასიანი ტირაჟით გამოიცა მამარდაშვილის „საუბრები ფილოსოფიაზე“ (ლექციების ციკლი). 1992 წელსვე გამომცემლობაში „ჩელმი“ 5 ათასიანი ტირაჟით გამოვიდა მამარდაშვილის საუბრები ანი ეპელბუენთან. წიგნს ეწოდება „ჩახშული ფიქრი“. საუბრები ფრანგულიდან გადმოთარგმნა ზვიადის მოწინააღმდეგე მზია ბაქრაძემ. ეს საუბრები დაიბეჭდა ჟურნალში Вопросыфилософии.

რამდენჯერაც ეს წიგნები გადავშალე, იმდენჯერ ვიფიქრე: რა მზადდებოდა საქართველოსათვის მისივე ინტელიგენციის სიბრმავისა და შლეგობის გამო და როგორ აჩვენებდნენ თავს ამ წიგნების გამოცემით, რომ შორსგამხედველნი და ცოდნიერნი იყვნენ. მოგვიანოდ.

მივუბრუნდეთ იმ გამონათქვამს, რის გამოც მამარდაშვილი წლების მანძილზე საქვეყნოდ იკილებოდა. გაზეთში Заря востока (25 июня 1989 года, стр. 4) merabma Tqva: «Я истину ставлю выше моей родины и у меня возникает вопрос: многие ли грузины способны поставить истину выше видимого интереса своей родины? А если не могут, то они плохие христиане».

აქვე ცოტა ზემოთ კი მამარდაშვილს სულიერებაზე ნათქვამი აქვს: «...ибо суть её (духовности- Г. Г.) в том, что выше родины и в ней (в духовности- Г. Г.) всегда стоит истина». მამარდაშვილი აქვე მიუთითებს, რომ ეს ქრისტიანული მცნებაა. ეს მისი საუბარი მოგვიანოდ შევიდა წიგნში: М. Мамардашвили. Как я понимаю философию. Изд. «Прогресс», Москва, 1991, стр. 201-11.

რასაც მამარდაშვილი აქ ამბობს, სავსებით სწორია, მაგრამ ამ ნათქვამით იგი ცდილობდა დაპირისპირებოდა გამსახურდიასეულ ქართულ მესიანიზმს. თავისი ეს მსჯელობა მამარდაშვილს გამოჰყავდა დასავლური ლიბერალიზმის ფილოსოფიიდან. რასაც მამარდაშვილი აქ ამბობს, ის სინამდვილეში არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მესიანიზმს. იმ მომენტში გამოვიდა ისე, რომ ამ ნათქვამით მერაბმა ზვიადისეული ქართული მესიანიზმის კონტრარგუმენტი წამოაყენა. ზემოთ ვთქვი და კვლავ ვიტყვი, რომ დასავლური ლიბერალიზმი სინამდვილეში სეკულარული ცნებებით შენიღბული მესიანიზმი იყო. მამარდაშვილს ამაზე არსად ულაპარაკია. მაშინ აქტუალური იყო საბჭოთა ცენზურისაგან აზრის დახსნა და ყოველივე დასავლეთიდან მოწოდებული, რაც ამისთვის გამოდგებოდა, ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა იდეოლოგიასთან ფილოსოფიურ დავაში.

ქართველთა არაფილოსოფიურობა წარმოაჩინა მამარდაშვილის გარშემო ატეხილმა ყიამყრალობამ. კიდევ იმან წარმოაჩინა ეს არაფილოსოფიურობა, რომ ზვიადს წლობით ბრალს სდებდნენ სატანიზმში, რახან ის რუდოლფ შტაინერის მოძღვრებით შეიმსჭვალა. ოპოზიციური ინტელიგენცია და მათ ადევნებული ჩიტირეკია ჟურნალისტები ქვეყანას არწმუნებდნენ, რომ შტაინერიზმი სატანიზმი იყო და თავადაც არ უწყოდნენ, რას ამბობდნენ. ოღონდ ზვიადის სახელი ტალახით მოეთხვარათ და საკუთარი შლეგობა, მესისხლეობა და უიდეობა ლიბერალიზმით გაემართლებინათ. შტაინერიზმი თბილისში რუსეთიდან აღწევდა 70-80-იან წლებში. ჩამოსულან კიდეც რუსი შტაინერიანელები. ოპოზიციონერთა შორის რამდენი იყო ისეთი, ვინც ანთროპოსოფების შეკრებებზე დადიოდა. საბჭოთა იდეოლოგიამ ამოსასუნთქი არსად დატოვა და შტაინერის ანთროპოსოფია იყო თავშესაფარი მეძიებელ კაცთათვის. იყვნენ სნობებიც, რომელნიც თავს იქცევდნენ ასტრალურ სხეულზე და სულთა გარდასახვაზე ლაპარაკით.

საქართველოში მამარდაშვილის ამ ნათქვამის გამო ასეთი ამბავი არ უნდა დაწყებულიყო კიდევ აი რატომ: 1981 წელს გამომცემლობაში „საბჭოთა საქართველო“ 30 ათასიანი ტირაჟით გამოვიდა ქართული ფილოსოფიის დიდი მაშვრალის, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმნილი ბლეზ პასკალის „აზრები“. 1984 წელს მისივე თარგმნილი მარკუს ავრელიუსის „ფიქრები“ 20 ათასიანი ტირაჟით გამოვიდა გამომცემლობაში „მერანი“. მოგვიანოდ 80 ათასიანი ტირაჟით გამოვიდა ლერი ალიმონაკის თარგმნილი ლაო ძის „დაო დე ძინი“. ეს ფილოსოფიური წიგნები ასეთი ტირაჟებით იმიტომ გამოვიდა, რომ განმანათლებლური მესიანიზმის იდეებს კომუნისტები აცხოველებდნენ. ჰოდა, ეს წიგნები ხომ იკითხეს ქართველმა პროზაიკოსებმა, ფილოსოფოსებმა, ისტორიკოსებმა და სხვებმა? თავისი აზრიც გამოთქვეს ამაზე სხვადასხვა გამოცემებში. ამ წიგნებში ხომ ძალუმად სჭვივის ის იდეა, რომ ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას? განა ამის შემდეგ სალანძღავი უნდა ყოფილიყო მამარდაშვილი? ესე იგი მაშინ აჩვენებდნენ თავს, როცა პასკალისა და მარკუს ავრელიუსის წიგნებს აღტაცებულნი კითხულობდნენ. მამარდაშვილის ნათქვამის შემდეგ კი გამოაჩინეს, რომ უსმნი და უგებნი ყოფილან. მათ ვერ გაიგეს ამ წიგნების ფილოსოფია.



აღექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ 1997 წლის დეკემბერში გამართა დისკუსია „ერი და ჭეშმარიტება“. სიტყვით გამოვიდნენ ზურაბ კიკნაძე, გიორგი გაჩეჩილაძე. განიხილებოდა მამარდაშვილის ეს გამონათქვამი. იყო ჩოჩქოლი, გაგულისება, ყვირილი. ამ პოლემიკაზე დაიწერა ნოდარ ნათაძის ზემოთ ნახსენებ გაზეთში. თსუ-ს ფილოსოფიის ფაკულტეტის კათედრებიდან, ფილოსოფიის ინსტიტუტიდან მოსულნი მონაწილეობდნენ კამათში. კამათის საგანიც ვერ დაადგინეს. დანარჩენზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. პოლემიკა დარჩა უნაყოფო და ბოლოს არაფერი დადგენილა.

მამარდაშვილის მოყივნებისას არ დაისვა კითხვა: თუ ლიბერალური დემოკრატია ყველა ხალხისათვის არის ერთადერთი მისაღები და საბოლოო წყობილება, მაშინ რა აზრი აქვს თვითმყოფადობის სახელით სამშობლოების და ხალხების განცალკევებულ არსებობას? მაშინაც კი, თუ დემოკრატიის აპოლოგეტი ხარ და მართლა გმსჭვალავს საბაზრო ლიბერალიზმის პრინციპები, შეუძლებელია ეს კითხვა არ დაგებადოს და არ დაგტანჯოს. ეს კითხვა კი სწორედ მარკუს ავრელიუსის ფილოსოფიიდან იღებს დასაბამს და ლიბერალიზმის ეპოქაში მან სხვა ცნებებში ჰპოვა გამოხატულება, ვიდრე ეს რომაელ სტოიკოსთა დროს იყო.

მარკუს ავრელიუსი სხვას რას ღაღადებს, თუ არა ჭეშმარიტების სამშობლოზე მეტობას? განა მოციქულთა ეპისტოლეებში იგივე აზრი არ ჩანს? განა რასაც ქრისტეს ტრაგედია ეწოდება, ჭეშმარიტების სამშობლოზე აღმატებულებას არ ადასტურებს? განა მაცხოვარმა ის თქვა, რომ ახლა მე მამას შევთხოვ და რომაელთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას დავიწყებ ისრაელის დახსნისათვის?

კანტი რომ შემეცნების შესაძლებლობებს არკვევს და მის საზღვრებს ადგენს, ეს ჭეშმარიტების საკითხს ეხება და არა კანტის სამშობლოს. ოგიუსტ კონტი რომ ფილოსოფიას პირველი მეცნიერებიდან ამცრობს ერთ-ერთ მეცნიერებამდე, ეს არ ეხება იმას, კონტს უყვარს სამშობლო თუ არა. პირობითი გამოთქმებია -გერმანული ფილოსოფია, ფრანგული ფილოსოფია. ფილოსოფიაში არ დგას სამშობლოს საკითხი. ასევეა თეოლოგიაში. წმინდა მამებთან ქრისტეს იმპერიაა მნიშვნელოვანი, სადაც აღსრულდება უფლის განგებულება. საერთო ფილოსოფოსსა და თეოლოგოსს შორის კიდევ ისაა, რომ ჭეშმარიტებაზე უბნობისას ორთავენი მესიანიზმთან არიან მიმართებაში. საქართველოში ეს ვითარება ფილოსოფოსთა შორისაც არაა გააზრებული და სხვებზე რაღაა სათქმელი?

მამარდაშვილი იყო ფრანგული ფილოსოფიით აღზრდილი მოაზროვნე (გერმანულ ფილოსოფიას ის ამრეზით უყურებდა და ეს აღნიშნული აქვს ორ-სამ ადგილას), რუსულენოვანი ქართველი ფილოსოფოსი, რომელსაც აწუხებდა იდეოლოგიური ცენზურა, აბსურდული აკრძალვები და გამოსავალს მხოლოდ დასავლეთზე ორიენტირებაში ხედავდა. მას ეჭვი არ შეუტანია დასავლეთის მტკიცებაში, რომ სწორედ ის შექმნიდა მსოფლიო ლიბერალურ უტოპიას საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ. აი აქ, ამ ვრცელ ინტერვიუში, სადაც ლაპარაკია ჭეშმარიტების აღმატებულებაზე, მამარდაშვილს უხამდა დაეყენებინა საკითხი: მოდის ლიბერალიზმი თავისი ექსტრემისტული ვერსიით - ლიბერტარიზმით, მაგრამ შექმნის კი ის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რაიმე ახალს? თუ ის აქ ისევ გაიმეორებს იმავე ნეოკოლონიალიზმს, რაც მან, XX საუკუნის პირველ ნახევარში დაამკვიდრა აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში? 1989-90 წლებში ყველაზე არსებითი ეს იყო ქართული პოლიტიკისათვის. მამარდაშვილს არსად უხსენებია დასავლეთის თვით დასავლელი კრიტიკოსები. შეუძლებელია მას მათზე არა სცოდნოდა რა. ზვიადი გრძნობდა ამ საფრთხეს დასავლეთის მხრიდან და მას რომ დასცლოდა, საქართველო არ გაიძარცვებოდა, საქართველოში არ დამკვიდრდებოდა კაპიტალიზმი თავისი ყველაზე საძაგელი გამოვლინებებით. არ იქნებოდა აი ეს კომპრადორული ქართული ბურჟუაზია, რომელიც არაა ქვეყნის მოყვარე.

მამარდაშვილის გმობისას ბევრჯერ ითქვა, რომ „ხალხი არავის აპატიებს“. კი მაგრამ ვინ არის ხალხი? სადაა საქართველოში ხალხი, როგორც პოლიტიკის სუბიექტი? რა ხალხია ის, რომელიც ამდენ გამცემს და ავაზაკს წლობით აბოგინებს და პატივში ჰყავს? რა ხალხია ის, რომელიც ამ ცხოვრების სამუდამო ბითურებს ბრძენებად რაცხს და პანთეონებში მარხავს? მამარდაშვილზე მეტი იცის ხალხმა? განა ხალხს ოდესმე შეუძლია ფილოსოფოსის განსჯა? სხვა რაში წარმოაჩინა ქართველმა ხალხმა თავისი ხალხობა, რომ მამარდაშვილის სინჯვა და განსჯა დაიწყოს? სამშობლო კი არ უნდა მოიწონოს ფილოსოფოსმა, არამედ ფილოსოფოსი უნდა მოიწონოს სამშობლომ. ფილოსოფოსს არ ეგების უბირთა წინაშე ლაქუცი და მათგან მოწონების მოლოდინი. სწორი იყო არისტოტელე სტაგირელი, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი იმ მრწამსით აღზარდა, რომ მაკედონია კი არ არის მისი სამშობლო, არამედ მთელი დუნია და ის ელინიზებულ უნდა იქნეს, რადგან ელინობა წუთისოფლის ბნელში შუქის შეტანაა.

რა არის სამშობლო? ის უპირველესად არის გარშემომყოფი ადამიანები და მხოლოდ ამის შემდეგ ის არის კულტურული დანატოვარი, მიწა და ა.შ.. მეძიებელი ადამიანი ანიჭებს სამშობლოს საზრისს და არა სხვა რამ. ქრისტიანობა უპირველესად არის მოყვასობა და ამის შემდეგ მოდის თეოლოგიური დოგმები, საეკლესიო დანაწესი, ეკლესიის მამათა ნათქვამები. ქრისტიანობა არ არის მოციქულთა და მამათა ნათქვამების ნარამარა მოხმობა.

ნეოპლატონელ იამბლიქეს თავის წიგნში „პითაგორას ცხოვრება“ (მე-6 თავის დასაწყისი), აღნიშნული აქვს, რომ გადმოცემის მიხედვით პითაგორა სამოსიდან იტალიაში გაემგზავრა, რადგან მას შესძულდა სამოსი მის მცხოვრებთა უვიცობის გამო. პითაგორა თავის სამშობლოდ მიიჩნევდა იმ ქვეყანას, სადაც არის მრავალი ადამიანი, ადვილად რომ ემორჩილებიანო განსწავლას.

****

ვფიქრობ, რომ ამ წერილში მკითხველისათვის საგულისყუროდ წარმოვაჩინე ჩემი აზრი მერაბ მამარდაშვილზე. მის რუსულ ნაშრომთა განხილვას, რაც მოსკოვში გამოვიდა 90-იანი წლების ბოლოდან, სხვა დროს შევუდგები. იმას კი ვიტყვი აქ, რომ მის განსჯას ბევრგან აკლია სიღრმე, სიმძიმე და მრავალწახნაგოვნება. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იგი ბიძგის მიმცემი, პირველგამკვლევი იყო და მის კრიტიციზმს, მის რეფლექსიას რელიეფურად ატყვია გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების დამდეგის ინტელექტუალური გარემოს დაღი. იყო დიდი მოლოდინი, იყო მათი რწმენა და იდეური ერთგულება განმანათლებლობის კონცეპტებისადმი, ვინც ალალად ცდილობდა შეექმნა ლიბერტინაჟი (თავისუფალი აზროვნება) კრიზისულ საბჭოთა სინამდვილეში. ეს იყო დიდი მორალური ავანსი, რომელიც დასავლეთმა მიიღო გარდასული საუკუნის საბჭოთა ინტელექტუალთა მხრიდან, რომელნიც აღმოჩნდნენ ევროპული განმანათლებლობის ბოლო თაობა. 90-იან წლებში განმანათლებლობა როგორც ასეთი, ლიკვიდირებულ იქნა დასავლელი ლიბერტარების მიერ. მაშინდელი ინტელექტუალების რწმენა გამქრალია ახლანდელ ლიბერალებსა და ვესტერნისტებს შორის და დარჩა მხოლოდ შემგუებლობა, ანგარება და კონფორმიზმი.

წერილს დავასრულებ მამარდა-შვილის სიტყვებით. როდესაც მას ჰკითხეს, რა არის ბედისწერა, მან უპასუხა: «...я знаю, что если быть, то только человеком судьбы, но человеком судьбы быть очень трудно» (М. Мамардашвили. Мой опыт нетипичен. Изд. «Азбука», Спб., 2000. Стр. 278).

გოჩა გვასალია

1-4 ოქტომბერი, 2013 წ.

(სტატია დაიბეჭდა შემოკლებებით - რედ.)

ნუთუ დღესაც ამას მტკიცება სჭირდება?!

„ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში, რამდენიმე პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ერთეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას“

ზვიად გამსახურდია, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

აფხაზეთით სპეკულირება მოდურ საქმედ იქცა დღევანდელ საქართველოში. სოკოებივით მომრავლდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ე.წ. ორგანიზაციები, კავშირები თუ მოძრაობები, რომელთა რაოდენობა ჩვენს მცირერიცხოვან ქვეყანაში, რბილად რომ ვთქვათ, ყოველგვარ ლოგიკას სცილდება. ამის ობიექტური მიზეზები რა თქმა უნდა, არსებობს! სამწუხაროდ მათი მიზნები, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, მის



დეზორიენტირებას ემსახურება, მით უფრო მაშინ, როდესაც საკითხი დევნილ მოსახლეობას ეხება.

„იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიცაა ბეჭდვური სიტყვა, ტყუილებითა და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია“ – როგორც ჩანს დიდი ილიას არც ეს შეგონება ახსოვს დევნილთა კავშირის თავჯდომარეს ბატონ ლონდერ ცაავას, რადგან ა.წ. 10 სექტემბერს „ობიექტივის“ ეკრანიდან განაცხადა, რომ თურმე „აფხაზეთის თემაზე, არც ისტორიული ნარკვევი და წიგნი დაწერილა აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებით. აი ხანდახან პუბლიცისტური გამოსვლებია, მაგრამ სისტემური მსჯელობა ამ თემაზე საქართველოში მე არც პრესის ფურცლებიდან მახსოვს და მითუმეტეს ტელევიზიით და რადიოს მეშვეობით.“

ეს კი ნამდვილად ბატონი ლონდერის პრობლემაა, რადგან 2007 წელს ჯემალ გამახარიას რედაქტორობით გამოცემული სქელტანიანი „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან — აფხაზეთი“, ან თუნდაც 2006 წლის (№ 157) „საქართველოს რესპუბლიკა“ – ში გამოქვეყნებული „ხმამაღლა ნაფიქრალი უტიფრობა“ ამომწურავად სცემს პასუხს იმათ, ვინც დღესაც ცდილობას შავის გათეთრებას და საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალებას.

ბატონი ლონდერი პირდაპირ ეთერში გვიცხადებს, რომ: „მაშინ იყო მიღებული ის კანონი, რომელსაც „აპარტეიდული“ კანონი დაერქვა ხალხში, რომლის საშუალებითაც არძინბამ პრაქტიკულად მოახერხა ყველა რგოლის გაწყვეტა, სწორედ ამ კანონზე დაფუძნებით.” – ეს ციტატები იმიტომ მომყავს სიტყვა–სიტყვითა და სტილის დაცვით, რომ ამ გადაცემის ლიტმოტივის მიხედვით საუბარი „თითო აფხაზის დაბრუნებაზე'' უნდა ყოფილიყო, შედეგად კი მივიღეთ ის, რომ თურმე ომი აფხაზეთში ამ ე.წ. „აპარტეიდული“ კანონის მიღებას გამოუწვევია. ხოლო ქართველი „მხედრიონელები“ უსპეტაკესი გმირები ყოფილან. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამის გაპროტესტებას ცდილობდა გადაცემის ერთ-ერთი მონაწილე ბატონი ვაჟა აბაკელია, მაგრამ სამწუხაროდ, მას ამის საშუალება არ მისცეს.

გასაკვირი კი ის არის, ნეტავი მართლა თუ ჰგონია ბატონ ლონდერს, რომ რომელიმე ჭკუათმყოფელი დაიჯერებს იმას, რაც შესანიშნავად იცის აფხაზმაც და ქართველმაც და არა მხოლოდ მათ.

მახსენდება ახლახან გარდაცვლილი გერამნე ფაცაციას სიტყვები: “ ...ეშმაკი გვასაზრდოებს ღემრთის მოსატყუებლად. აფხაზეთიდან დევნილობაშიც გავიძახით – „აფხაზები უნდა დავიბრუნოთო. როგორღა დავიბრუნოთ საკუთარი თავები უთავოებმა?“

ჩვენც შევეგუოთ? “ეშმაკს შევეკვრათ ზავითა?“ – შევეკვრით და სხვას ნუღარაფერს დავაბრალებთ, განა აფხაზებთან ერთად არ „გავაჩალიჩეთ“ დევნილობა? „საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას“ ერთად არ შევუწყვეთ ხელი? კოჰაბიტაციაც და ორხელისუფლებიანობაც ჩვენვე არ „ვიჩალიჩეთ“? „რამდენიმე ერთეული პრეზიდენტის აღმოცენებაც“ სხვას დავაბრალოთ?!. გონს მოვიდეთ ქართველებო! მხოლოდ სამშობლოს სიყვარულითა და სიმართლით თუ „ვიპოვით გზას აფხაზთა გულებისაკენ“ – ეშმაკის საზრდოს განრიდებულნი.

სიმართლე კი ასეთია: მოცემულ კანონზე მუშაობის დროს (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო 140 დეპუტატისგან შედგებოდა, მათ შორის აფხაზი – 57, ქართველი – 54, სხვა ეროვნების – 29). სეპარატიზმი იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად უკვე ჩამოყალიბებული იყო. ე.წ. „ ლიხნის წერილმა“ ივლისის სისხლიან კონფლიქტამდე მიიყვანა აფხაზეთი, კონფედერანტთა ყრილობები და მათი თარეში რუსეთის რეაქციონერებთან ერთად უკიდურესად ამძიმებდა მდგომარეობას; აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო „აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკლარაცია“ და დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია – მშვიდობა ბეწვზე ეკიდა. ერთმუშტადშეკრული„აიდგილარა“,„სლოვიანსკი დომ“ და „კრუნკი“ მზად იყვნენ ნებისმიერი პროვოკაციისთვის. ასეთ მდგომარეობაში, რომ გადასარჩევი იყო ვადაგასული, საბჭოთა, ასსრ უმაღლესი საბჭო, რაც ახალი საარჩევნო კანონის გარეშე ვერ მოხდებოდა, საკამათო არ უნდა იყოს. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ „აიდგილარა“, „სლოვიანსკი დომ“, „კრუნკი“, „აფხაზეთის დემოკრატიული პარტია“ (ადპ) და „ლდპრ“ (ჟირინოვსკის პარტია) ერთიან საარჩევნო ბლოკად – „სოიუზ“–ად ჩამოყალიბდა და მოიცვა აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ქართველები კი (45,75%) უმცირესობაში აღმოჩნდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიის ფილიალი აფხაზეთშიც არსებობდა და ქართველთა გაერთიანების ნაცვლად დაპირისპირებას უწყობდა ხელს. ყოველივე ამას შესანიშნავად იყენებდა საბჭოთა ხელისუფლება ეთნოკომფლიქტების მოსაწყობად, მით უფრო „ურჩ“ ქართველებში, დღეს მაინც უნდა იყოს გასაგები, რომ სწორედ ასეთ აგრესიულ ფონზე, ეროვნული ხელისუფლების ბრძნულმა და პრაგმატულმა პოლიტიკამ გახადა შესაძლებელი შუამავლების გარეშე გვემუშავა ქართულ – აფხაზურ ჯგუფს თქვენს მიერ დაწუნებულ ე. წ. „აპარტეიდულ“ საარჩევნო კანონზე, რითაც დღემდე ვამაყობ,ხოლო ვისაც არ მოსწონს ეროვნული ხელისუფლების ეს უმნიშვნელოვანესი მიღწევა, ვურჩევ გონს მოვიდეს და მათთვის ჩვეული სიტუაციას დამონებული „ლოგიკა“ ღირებულებათა სფეროს დაუმორჩილოს. ვიმეორებ, რომ ბლოკ „სოიუზის“ უპირატესობა აფხაზეთის ტერიტორიაზე აშკარა იყო და ამას ამომრჩეველთა სრული რაოდენობაც 315034 – ადასტურებს, რომელთაგან ქართველი მხოლოდ 143921 – ს შეადგენდა და ამ რაოდენობის ორი მესამედი, მხოლოდ გალისა და გულრიფშის რაიონში იყო განსახლებული.

სწორედ ასეთ, ქვეყნისთვის უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში, მაინც მოხერხდა კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება ორ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ცვლილებასთან ერთად. კერძოდ:

1. კონსტიტუციის 98–ე მუხლს დაემატა: „კანონები და სხვა აქტები აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე მიიღება უმაღლესი საბჭოს რაოდენობის ორი მესამედი ხმებით“.

2. „აფხაზეთის ასსრ საყოველთაო სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილად დაემატა: „გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია აფხაზეთის კონსტიტუციის ცვლილებებთან, შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი ხმებით“.

აღსანიშნავია, რომ კანონი ქვოტური წარმომადგენლობითი ფორმულით 26-28-11 ერთი შეხედვით კი არის კომპრომისული, მაგრამ მეორეს მხრივ პრაგმატულიცაა და ზემოთ მოტანილ ცვლილებებთან ერთად საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის გარანტიც და ამავდროულად ნდობის ფაქტორის აღდგენას დღესაც უწყობს ხელს.

ახლა კი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ყველა იურიდიული და სამართლებრივი პირობა შექმნა, რათა ქვეყნის მთლიანობას საფრთხე არ გაჩენოდა და მშვიდობა შენარჩუნებულიყო აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე, არც ერთი ამდენად მნიშვნელოვანი დოკუმენტი არ მიღებულა კანონის სახით, რომელიც ნდობის აღდგენის თვალსაზრისითაც უპრეცედენტოა და რაც ყოველგვარ ეჭვს უნდა უქარწყლებდეს მეტნაკლებად პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსს. მხოლოდ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა საქართველოში, აფხაზეთში კი, ომის წინაპირობას ჩაუყარა საფუძველი და მტრის მზაკვრული გეგმები რეალობად აქცია. სახელმწიფო გადატრიალება რომ არა, აფხაზეთის ტრაგედიაც არ მოხდებოდა, ამისთვის, კი პასუხისმგებლობა იმ ხელისუფლებას ეკისრება, რომლის „დაკრულს“, ასე გულმოდგინედ აჟღერებთ თქვენც და სხვა „მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობნი“...

ისტორია, კი რომლის გაყალბებას ასე მონდომებულად ცდილობთ, ყველას მიუჩენს საკადრის ადგილს.

ნუგზარ მგალობლიშვილი

დასაწყისი გვ.9

("ერთიანი საქართველო") და სალომე ზურაბიშვილთან ("საქართველოს გზა") შემოდგომაზე პროტესტის ახალი ტალღის წამოსაწყებად. აქციების შედეგი პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომა უნდა ყოფილიყო. ალასანიამ განაცხადა, რომ ბურჯანაძე საპროტესტო აქციებზე შემოერთებას გიორგი გაჩეჩილაძეს ("უცნობს"), სთხოვდა. ალასანიამ აღნიშნა, რომ მისი ალიანსი ("ახალი მემარჯვენეები" და "რესპუბლიკელები") ამაში მონაწილეობას არ მიიღებს და დასძინა, რომ დარწმუნებულია, ლევან გაჩეჩილაძეც უარს იტყვის. ალასანიას სიტყვებით, ბურჯანაძემ იცის, რომ ხალხში ნაკლებად პოპულარულია და "უცნობი" ქუჩის აქციების მაღალი შედეგისათვის სჭირდება. "უცნობი" კეთილგანწყობის მოპოვებას რადიკალიზმით ცდილობდა და 6 მაისს პოლიციის შენობასთან გამართულ შტურმს ხელმძღვანელობდა. ბურჯანაძის "უცნობით" დაინტერესება კი მოვლენათა არაპოზიტიური კუთხით განვითარებისკენ მიანიშნებს" – ნათქვამი იყო, „24 საათის" ინფორმაციით, ტეფტის გზავნილში.

"ვიკილიქსის" მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ბურჯანაძის წყნეთის აგარაკის სკანდალიც მოხვდა. როგორც საიტზე გამოქვეყნებულ დოკუმენტშია აღნიშნული, ბურჯანაძე ადასტურებდა, რომ აგარაკის მისაღებად გადასახადები უნდა გადაეხადა. მან წარმოადგინა 2008 წლით დათარიღებული დოკუმენტები, სადაც ბურჯანაძის ქონება 2,769,325 ლარად არის შეფასებული.

შემაძრწუნებლია „იუთუბეს" სივრცეში არსებული ნინო ბურჯანაძისა და მისი ვაჟის ანზორიკო ბიწაძის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, საიდანც ნათლად სჩანს, რომ ეს ოჯახი, მისი უფროსი და უმრწემესი თაობები, საკუთარი კეთილდღეობისა და სარგებლობისთვის ყოველგვარ სიბინძურესა და დანაშაულზე წამსვლელები არიან.

ვნახოთ სატელეფონო საუბრის ტექტი:

ანზორ ბიწაძე — ნინო ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე გუშინ, გთავაზობ ასეთ რაღაცას, რომ ერთი კვირის მანძილზე შეგიძლია მიიღო გადაწყვეტილება - ქართული პარტია და ესენი გადავაგოროთ, მაინც შეიძლება გამოვიდეს. თუ პასუხისმგებლობას იღებ, მაშინ სამოქალაქო ომზე წასვლაც ღირს. ღირს 100 კაცის სიკვდილადაც და 500-საც.

ნინო ბურჯანაძე — ხო, ეგრეა კი.

ა.ბ. — ყველა ერმა ვინც რაღაცას მიაღწია, სისხლით არის მისი მიწა მორწყული, სუყველასი

ნ.ბ. — ამასაც არ აკლია...

ა.ბ. — არ აკლია ეგრეც არ არის, თუ ძმა ხარ, 200 წელია სისხლი არ დაღვრილა . მერე იცოდე პროცესს თუ დაიწყებ, იქ უკვე ერთ კაცს ფეხი მოტყდა და ორს თავი მოეჭრებაა უკვე ვსიო, მორჩა დამთავრდა. იქ უკვე უკან სვლა აღარ უნდა დაიწყო რა.

და 40 პროცენტი მხარს რო უჭერს სააკაშვილს მე მაგაში ცუდს ვერაფერს ვერ ვხედავ. განათებული რო ქონდეთ ტვინი ამათ მაშინ რევოლუციაც არ იქნებოდა საჭირო რა. რის საფუძველზე ამბობენ 40 პროცენტს? 40 პროცენტს ამბობს, რომ სააკაშვილს მისცემს ხმასო

ნ.ბ. — ნუ ეხლა ესე დეტალურად არ ვიცი, მაგრამ მითხრეს ესე.

ა.ბ. — რეალურად მიგაჩნია შეენ?

ნ.ბ. — არ ვიცი ანზორიკო რა, ჩვენ მაინც ჩვენ წრეში ვტრიალებთ რა.

ა.ბ. — ჩვენ რამდენი გვიჭერს ?

ნ.ბ. — ჩვენ ვის?

ა.ბ. — რევოლუციონერებს

ნ.ბ. — 35 არის უკმაყოფილო და 15 პირდაპირი მხარდამჭერია რა...

ა.ბ. — რა გინდა მაშინ? პიდისიატ ნა პიდისიატ

ნ.ბ. — ხო რეალურად ეგრე არის. არა, საზოგადოება ძალიან გაყოფილია, რუსეთთან დაკავშირებითც -50/50 -ზეა

ა.ბ. — ხოდა გეუბნები კავკასიური ცარცის წრეა-მეთქი რა. 2 წლის ნაომარ ქვეყანაში 50 პროცენტი ცოტაა?

ნ.ბ. — არა, ცოტა კი არა ძალიან ბევრია.მტრის განცდა 50 პროცენტში ვაბშე არ არის

ა.ბ. — მხარს რამდენი უჭერს რუსეთთან დაახლოებას?

ნ.ბ. — არა, დაახლოებას ყველა უჭერს მხარს

ა.ბ. — და პრორუსულია 50 პროცენტი ხო?

ნ.ბ. — იცი რა ეხლა, ისიც არ მინდა რომ მოგატყუო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პოლარიზებულიაო საზოგადოებაო. ეხლა მე მითხრა, რომ თქვენო ნაწილობრივ დაგაზარალათო რუსეთთან ურთიერთობამო, მაგრამ მეორეს მხრივ პრაქტიკულად შუაზეა გაყოფილიო.

ა.ბ. — 30 000 კაცი გამოვა

ნ.ბ. — მე მეტი მგონია,

ა.ბ. — თავისუფლების მოედნას გაავსებს ეგა? ხოდა მივიდეს ეხლა და მითვალოს იქა ოცდაათია თუ სამოცდაათი

ნ.ბ. — აუ როგორ გვჭირდება ისაა...

ა.ბ. — იქნებ მოვასწროთ, იმათ არაფერი არ უნდათ ნინო. გადარიცხვის მეორე დღესვე ჩათვალე ვსიო. ესენიც როგორ გაყუჩებული არიან

ნ.ბ. — ვინ, ნაცები? ელოდებიან ჩვენ რას ვიზამთ. მაგენი ეხლა არიან რთულ ვითარებაში ანზორიკო. პაბალშომუ ისე მივყვებით ფუ-ფუ-ფუ, რომ რეალურად ვერაფერში ვერ გედავებიან რა.

ა.ბ. — ვიდეოები და რაღაცეები ექნებათ და გამოგვიჭერენ. აი აქაც თუ გვისნენენ და...

... ეგვიპტის ვარიანტი იქნება, დროებითი მთავრობა უნდა იყოს ყველა ვარაიანტში, ეს კრება რაღად გინდა მაშინ?... კომიტეტამ კომენდანდსკი ჩას კომენდანტის საათი და საგანგებო მდგომარეობა. მარა ეგვიპტეში 3 თვეში დაალაგეს და ტურისტები ჩავიდნენ, მაგრამ იქ ჯარია ძლიერი

ნ.ბ. — ხო ჯარია ძლიერი

ა.ბ. — ჩვენი ჯარი კი დაგიდგება გვერდზე, მაგრამ მთხლეა რად გინდა. ჯარში ისეთი სიტუაციაა უფ!

ნ.ბ. — ხო?

ა.ბ. — არა რას ლაპარაკობ! ჯარი დაივიწყე ვაფშე.

ნ.ბ. — აბა პოლიცია ვერ მოგვერევა. კოჯრის ბატალიონი გვესვრის ვითომ?

ა.ბ. — არა კაცო რა სისულელეა. შეიძლება კოჯრის ბატალიონმა გადაგიხერგოს გზა. ჩაგიყენოს ტანკი, ბეტეერი, მაგრამ არ გვესვრის.

ნ.ბ. — რატო ხარ ეგეთი დარწმუნებული?

ა.ბ. — იცი რა — კოჯრის ბატალიონი თუ მესვრის პირველ იერიშს ავიცილებ და დადგეს და გრუ-ს სპეცნაზთან გაარკვიოს ურთიერთობა".

დასკვნა მკითხველმა გამოიტანოს...

უკვე ნათელი და აშკარაა, რომ რუსეთი ფსონს ნინო ბურჯანაძესა და მის გარემოცვაზე დებს, ამას მოწმობს ნინო ბურჯანაძის სტუმრობები რუსეთში და მისი შეხვედრები პუტინთან, მედვედევთან და სხვა მაღალჩინოსნებთან.

ნინო ბურჯანაძე ცდილობს მოისხას ეროვნულობის მანტია და თავს ასაღებს საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრედ და ქომაგად. მისი ელექტორტი მას უძღვნის დითირამბებს, მკრეხელობს და ადარებს წმინდა ნინოს. მას უძღვნიან საბჭოურ ლექსებსა და სიმღერებს, აქებენ და ადიდებენ იმისათვის, რომ ბურჯანაძე რუსეთისაკენ შემოაბრუნებს საქართველოს. ერთი სიტყვით, ამომრჩევლების მხრიდან ხდება ნინო ბურჯანაძისა და პარტიად წოდებული, მისი გარემოცვის „ტექნიკური" ჩაშვება, რამაც მრავალჯერ ჩააყენა ქალბატონი ბურჯანაძე უხერხულ მდგომარეობაში.

უბედურება კი ისაა, რომ მის წინასაარჩევნო პიკნიკებზე ჩნდება ეროვნული სამფეროვანი დროშები, რომლის აღდგენისთვისაც ნინო ბურჯანაძეს და მის ოჯახს თითი თითზე არ დაუდევს.

გადავიდეთ მის ყოფილ ქვეშევრდომზე, აწ „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გამონათებამდე ბურჯანაძის გუნდის წევრი იყო და ნინოს მთავრობაში განათლების მინისტრად მოიაზრებოდა.

როგორც ჩანს, მთავარმმართებელს მარგველაშვილიც ამ ეტაპისთვის ჰყავდა შემონახული.

მისი პოლიტიკური წრთობა, ჯერ კიდევ „თავისუფლების ინსტიტუტიდან" დაწყებულა. ის ამ ინსტიტუტის შექმნის სათავეებთან მდგარა. ერთ დროს ვარდოსნებთანაც ჰქონია მჭიდრო ურთიერთობა, შემდეგ ბურჯანაძის კლანშიც გარეულა და ბოლოს ივანიშვილის ფავორიტი გახდა. ამ კაცს განათლებული და მოაზროვნე ადამიანის სახელი აქვს დაგდებული და ივანიშვილს ხომ ასეთი „კადრები" იზიდავს და ახალ მთავრობაში შესაფერისი პორთფელიც ჩააბარა.

მის ფსევდო-პროდასავლურობას ნიღაბს ხდის მისი ჯერ კიდევ 2010 წელს რადიო „თავისუფლებისათვის" მიცემული ინტერვიუ, რომელშიც ის აცხადებს: "საქართველო შეიძლება დაბრუნდეს რუსეთის ორბიტაზე".

მოგეხსენებათ, დღეს შემთხვევით არაფერი ხდება, მთავარმართებელმა სცენარის მიხედვით მარგველაშვილს ეს ფრაზა, ჯერ კიდევ წლების წინ გააჟღერებინა და დღეს ავანსცენაზეც შემოაგდო. ყველა ვხედავთ, თუ რა მტკივნეული პროცესია „რუსულ ორბიტაზე დაბრუნება", ეს შეიძლება საბედისწეროც კი აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისთვის ქვეყნისათვის.

მარგველაშვილის „მყარ ეროვნულ თვითშეგნებასა და ცნობიერებაზე" მეტყველებს მისი ნააზრევი: „ქართული კულტურა იყო ორენოვანი... ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა თაობამ შეძლოს რუსული ენის შენარჩუნება. რანაირად მოხდება ეს, ჯერ არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ერთი, რომ ეს არ მოხდება იძულებითი ფორმით. დღეს რუსულენოვანი სკოლები ძალიან მცირეა. ადამიანებს, რომლებსაც სურთ ამ ენაზე მიიღონ განათლება ან ადამიანები, რომლებისთვისაც რუსული ენა არის მშობლიური, უნდა დავეხმაროთ. არც ის ვიცი, ჯერ რამდენად არსებობს ამის კვალიფიციური რესურსი, ანუ პროფესიონალი რუსულენოვანი მასწავლებლები. ეს არ ნიშნავს ორენოვან განათლებაზე გადასვლას. ჩემი აზრით, ამ თემის არასწორად აღქმა არის უფრო გამრუდებული აზროვნების ბრალი." http://primetimenews.ge/?page=14&news_id=14734

ცნობისთვის: დასავლეთის განვითარებულ ქვეყ-

ნებში, სადაც ცხოვრობენ არააბორიგენი მოსახლეობა, განათლებას იღებენ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, სადაც მათ უწევთ ცხოვრება. ასე რომ , მის ფრაზებში, რომელიც რუსულ სკოლას და ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს შეეხება, კიდევ ერთი მზაკვრობაა ჩადებული.

აქ ერთ საჩოთირო ამბავსაც უნდა შევეხოთ; მიუხედავად მრავალგზისი მტკიცებისა, რომ გ. მარგველაშვილი პროგრესულად მოაზროვნე ჰუმანოიდთა ჯგუფს განეკუთვნება, მაინც ვერ აღწევს თავს ტოტალიტარულ ჩვევებსა და აზროვნებას, ამომრჩევლებთან შეხვედრებზე მას ახვედრებდნენ „ოცნების" მაისურებში გამოწყობილ ბავშვებს „გიორგის" შეძახილებით.

საარჩევნო შეხვედრებზე მასების მოკრების ძველი მეთოდი რჩება ძალაში, სამუშაო საათებში საჯარო დაწესებულებებიდან, სკოლებიდან, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაციებიდან გამოჰყავთ ხალხი, ერთ-ერთი შეხვედრის დროს ორგანიზატორს გამოცხადების სიაც კი ეჭირა ხელში და აღნუსხავდა შეხვედრაზე გამოცხადებულთ.

ქვეყნის ხელმძღვანელი პირი პრინციპული უნდა იყოს, ურყევი ნებისა და მტკიცე ხასიათის, მარგველაშვილთან მიმართებაში კი ეს ნამდვილად არ გვაქვს, ამას ადასტურებს თვით მისი გამონათქვამი: "პლასტელინივით ადამიანი ვარ: სადაც მიაგდებ, იმ ფორმას ვიღებ" მითუმეტეს, როცა დღევანდელი კონსტიტუციით პრეზიდენტს თითქმის აღარაფერს ეკითხებიან... მიუხედავად წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატთა მრავალრიცხოვნობისა და მრავალფეროვნებისა, ერთი რამ ნათელია, მათ ერთი მთავარმართებელი ჰყავთ, ერთი რეჟისორი და დრამატურგი. ედუარდ შევარდნაძემაც დაადასტურა ეს, როცა ამბობდა, რომ კანდიდატთა უმეტესობა მისი გუნდიდან არიან.

მეგობრებო, აქ ჩვენ ერთი უმთავრესი რამ გვრჩება ყურადღების მიღმა. ამ კანდიდატებს სურთ გახდნენ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს მეთაურები, უპრიანი ხომ არ იქნებოდა გვეკითხა მათთვის, თუ რა გააკეთეს მათ დამოუკიდებლობის მოპოვების პროცეში, სად იყვნენ, რომელ მხარეს, რას იქმოდნენ და უბნობდნენ?

თუ ასეთი კრიტიკული და მახვილგონივრულები ვიქნებით ყოველი კანდიდატის მიმართ, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას, ნამდვილად არაფერი ექნება თავმოსაწონი...

ამომრჩევლეთა მთავარი საარჩევნო კრიტერიუმი კი სწორედ ეს უნდა გახდეს!

ალექსანდრე სანდუხაძე

რუსეთის მტრული გეგმები საქართველოს მიმართ კვლავ უცვლელია!

"კრემლის რუპორად" ცნობილმა რუსმა ანალიტიკოსმა, ალექსანდრ დუგინმა ინტერნეტ-პორტალთან საქართველოს შესახებ ისაუბრა.

„Front News",-ი დუგინის იმ განცხადებას გთავაზობთ, რომელიც „კვირის პალიტრამ" გამოაქვეყნა.

"საქართველო – ეს შეუმდგარი სახელმწიფოა, და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო დამოუკიდებლობის პროცესი იმაზე მეტყველებს, რომ საქმე ამით არ გათავდება. როდესაც ჩვენი ჯარები ზუგდიდის რაიონს "ასუფთავებდნენ", მათ ძალიან ბევრ სოფელში ყვავილებითა და სიხარულით ხვდებოდნენ, რადგანაც მეგრელებმა იციან, რომ უკვე ისინი აღმოჩნდნენ პოტენციური გენოციდის საფრთხის ქვეშ საქართველოს მხრიდან. გენოციდის თუ არა, შევიწროების საფრთხის ქვეშ მაინც. სწორედ ასეთივე მდგომარეობაა აჭარაში, ჯავახეთში, პანკისში. საქართველო, თავისი არსით, არა სახელმწიფო, არამედ მულტიეთნიკური სტრუქტურაა და ამ სტრუქტურისათვის ერთი ნაციის იდეის თავსმოხვევა, როგორც ამას სააკაშვილი აპირებდა, გარდაუვალ ეთნიკურ წმენდას მოასწავებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, რუსებმა დავიცავით ორი ერი, ახლა ჩვენს დახმარებას საჭიროებენ დანარჩენი ერებიც, რომელთაც თავს ახვევენ ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას. სიტუაცია ანალოგიური სცენარით განმეორდება – ამ გზას დაადგება ზუგდიდი, ანაც ჯავახეთი, ანაც აჭარა. ეს იმის მაუწყებელია, რომ საქმე გვაქვს კონფლიქტთან, რომელიც თავისით ვერ გადაწყდება, ამიტომ ჩვენ უნდა ჩავერიოთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, შეგვეძლოს ამ პრობლემური ერებისთვის ხელის მოხვევა და სხვებისთვის გადაცემა. ოღონდ ამერიკას არა, მაგალითად ირანს ან თურქეთს, რომლებიც სწორ რეგიონალურ პოლიტიკას ატარებენ",–აცხადებს დუგინი გამოცემასთან ინტერვიუში.

- See more at: http://frontnews.ge/ge/news/8256#sthash.AY1YfF1H.9vkT6E2U.dpuf

მართლა გაღლეტილ-ღატაკია თუ არა ზურაბ ადეიშვილი?

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტებთან შეხვედრისას ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის მიმართ (რომელიც დაპატიმრების შიშით ივანიშვილის ხელისუფლების არჩევისთანავე სამშობლოდან გაიქცა) თავისი მაღალი სიმპატიები ვერ დამალა და განაცხადა, რომ ,,წინა ხელისუფლებიდან ზურაბ ადეიშვილი ჩემთვის ყველაზე საინტერესო და ნიჭიერი კაცია... სასამართლო, პროკურატურაც ამის დალაგებულია და მგონია სააკაშვილს, როგორც უნდოდა, პოლიცია ისე დაულაგა და აშკარად ჩანს ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. საუბედუროდ იგივე ადეიშვილზე კარგად მახსოვს მერაბიშვილი რომ მეუბნებოდა, შედი ერთი მაგის სახლში როგორ პარკეტში ცხოვრობს და ძველი, პირველი თაობის მობილურ-ტელეფონს ხმარობსო და არაფრის გაგონება და გაკარება არ უნდა".

უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია:

„ადეიშვილს ძალიან კარგად ვიცნობ და ეს ყველაფერი არის ტყუილი. ადეიშვილს ჰქონდა მოჩვენებითი ცხოვრების სტილი, ის გარეგნულ აქსექსუარებს ყურადღებას არ აქცევდა, არც ძვირფას ტელეფონებს ყიდულობდა, მაგრამ ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია საქართველოში. თუ ის მართლა ასეთი პატიოსანი კაცია, დღეს რით ცხოვრობს ევროპაში? „

რუსეთის მეხუთე კოლონის პოლიტ-ლიდერები საქართველოში და მათი ჭანჭიკები:

1. ნინო ბურჯანაძე
2. ზურაბ ნოღაიდელი
3. ირინა სარიშვილი
4. გია ჟორჟოლიანი
5. თემურ ჟორჟოლიანი
6. ნესტან კირთაძე
7. გიორგი მარგველაშვილი
8. ირაკლი ბათიაშვილი
9. ნონა გაფრინდაშვილი
10. შალვა ობგაიძე
11. ელიზბარ ჯაველიძე
12. აკაკი ასათიანი
13. ვალერი გელბახიანი
14. ირაკლი ოქრუაშვილი
15. მალხაზ გულაშვილი
16. კახა კუკავა
17.ალექსანდრე შალამბერეიძე
18. კობა დავითაშვილი
19. პეტრე მამრაძე
20. გია თორთლაძე
21. ლევან გაჩეჩილაძე
22.კოკა გუნცაძე
23. გიორგი კობახიძე
24. სოსო ჯაჭვლიანი
25. ნანა დევდარიანი
26. ჯონდი ბაღათურია
27. გიორგი თარგამაძე
28. ლევან ვეფხვაძე
29. ნიკა ლილუაშვილი
30. ბაჩუკი ქარდავა
31. პაატა დავითაია
32. დიმიტრი ლორთქიფანიძე
33. შალვა ნათელაშვილი
34. ვალერი კვარაცხელია
35. თეიმურაზ შაშიაშვილი
36. გიორგი ხაინდრავა
37. ბორის კაკუბავა
38. ზვიად ძიძიგური
39. ზაზა აბაშიძე
40. ბიძინა გუჯაბიძე
41. გულბაათ რცხილაზე
42. ვაჟა ლორთქიფანიძე
43. დემურ გიორხელიძე
44. ნანა კაკაბაძე
45. ირმა ინაშვილი
46. დავით თარხან-მოურავი
47. მერაბ ბლადაძე
48. ანზორ აბრალავა
49. სერგო ჯავახაძე
50. მელორ ვაჩნაძე
51. კობა ნარჩემაშვილი
52. ვასილ მაღლაფერიძე
53. გიორგი შენგელაია
54. ივლიანე ხაინდრავა

ჭანჭიკები:

1. სოსო მანჯავიძე
2. ავთანდილ დავითაია
3. გიორგი უძილაური
4. ზაზა დავითაია
5. ირაკლი ყიფიანი
6. ჯაბა ჯიშკარიანი
7. კონსტანტინე ჩიკვილაძე
8. გია ყრუაშვილი
9. ლალი აფციაური
10. შოთა აფხაიძე
11. ვახტანგ-ლოთი ქობალია
12. ვახუშტი ფარცვანია

(არასრული სია)

ჯანჯღილოვანს პირველს, თუ ბლეფს დაპირებულებენ?!

„პერსპექტიული გავხადოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (ეს რა უბედურებაა, თუ ის სამხრეთ ოსეთია, ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია რატომ, როგორ უნდა აღსდგეს იქ?) ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს უირისდიქციის აღდგენა“... მადლობა უფალს, როგორც იქნა დაფიქსირდა საუკუნის უბედურებად ქცეული საკითხი, მაგრამ შხამგარეული, ქართველის მეათასე ნერვს რომ სპობს და აჩანაგებს. მთავრობის ხელმძღვანელი „სამხრეთ ოსეთს“ უწოდებს უძველეს ქართულ მიწა–წყალს, სამაჩაბლოს. მაშინ, ოსს რაღას ვედავებით? იქნებ მე შემეშალა რამე, მაგრამ გაზეთი „ქართული ოცნება“, №21 9–15, სექტემბერი, 2013 წ. საუბედუროდ ზუსტად ასე წერს. იქნება არ უნდა მეთქვა, თვალი დამეხუჭა, მაგრამ არარსებული ცნება, „სამხრეთ ოსეთი“ ყოველგვარ მოთმინებას მაკარგვინებს. „... მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გულწრფელად ვემსახურებოდი სამშობლოს. მგონი პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ქვეყნის წინაშე“... (გაზ. „ქ. ო,“ №21, 2013 წ. ბძინა ივანიშვილი) ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ ჩვენი სამშობლოს განუყოფელი ნაწილი არ არის?!

ძალიან მოკლედ, ორიოდ სიტყვით იმ საოცარ, ჯერ არ ნახულ, საგიჟეთად ქცეულ საარჩევნო მარათონზე, რომლის მსგავსი არსად დაფიქსირებულა. მარტო 54 მსურველი ამ ერთ ბენო ქვეყანაში, რომელიც დღეისთვის სანახევროდ დაცარიელებულია და საზღვარგარეთ ბედის საძიებლადაა გადახვეწილი ომის გამო, რომ ოცი წელია ქვეყანას პატრონი არა ჰყავს. დღეს გაჩანაგებული, ტერიტორიებდაკარგულ, გაღატაკებულ ქვეყანას ისევ ეძლევა შანსი დიდი დაფიქრებით, გონივრული რჩევით, და რაც მთავარია, ათეული წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომების, ავ–კარგიანობის გათვალისწინებით ამოირჩიოს თავის წიაღში, თავის ერში, ღირსეული წინამძღვარი, მამულიშვილი, უანგარო, ხალხის ბედზე მოფიქრალი, გონიერი და მეურნე ადამიანი, ამ დროს კი ქვეყანა ცირკის არენად გადაიქცა. არენად, რომელსაც მთელი მსოფლიო უყურებს. ვაი, სირცხვილო... ათიოდე დღის წინ გვქონდა ბედნიერება ტელეკრანზე გვეხილა სამი „საუკეთესო“ კანდიდატი ქალაქგარე რეგიონებიდან. არც დამმახსოვრებია და არც იყო საჭირო მათი ვინაობა. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მათ არ გააჩნიათ მეტი აზროვნება, მიხვდნენ, თუ რა მდგომარეობაში იგდებენ თავს.

რაც შეეხება „ელიტარულ“ კანდიდატებს ე. წ. ცნობად სახეებს, ყველას ყველა კარგად იცნობს და მათ დახასიათებას არ შეუდგები. თუმცა ზოგიერთების დაჟინებული, უხერხულობამდეც კი მისული კატეგორიული მოთხოვნა, გინდათ თუ არა გამატარეთ რეგისტრაციაშიო, ღმერთო შემინდე და, ცუდ აზრებსაც კი მახვევს თავს. მაფიქრებინებს რომ, როგორც წინახელისუფალთ, მათაც ალბათ პირადი ინტერესები ამოძრავებთ უპირველეს ყოვლისა–თქო. ნუ განვსჯით, ამ ვერაგმა ცხოვრებამ მთელი ეს ოცი წელი უბედურების მეტი კარგი ვერაფერი მანახა... ჩემი უბედური ქვეყანა მტკივა და დღეს, როცა მისი ყოფნა–არყოფნის უმწვავესი დრო დამდგარა, ყველაფერი შიშს, ეჭვებს, განცდებს ბადებს და არც თუ უსაფუძვლოდ. საქართველოს დღეს მხოლოდ უსაზღვრო სიყვარული და თავდადება გადაარჩენს... ამიტომ მომავალ პრეზიდენტს პირველ ყოვლისა ეს თვისებები უნდა გააჩნდეს.

„...პოლიტიკაში დამალული თამაშები ჩემი ხელწერა არ არის. პირიქით, რასაც გუნდთან შიგნით ვლაპარაკობ, შემდეგ ამას საზოგადოებისთვისაც ვასაჯაროებ. კოალიციამ გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა, ჩემი აზრით, გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგით გაიმარჯვებს. მერწმუნეთ, გიორგი მარგველაშვილის სახით საოცარი (საოცარი?...) პრეზიდენტი გვეყოლება. აბსოლიტურად დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს. მთავრობა და პარლამენტი უკვე არჩეულია და მათ მალე გიორგი მარგველაშვილიც მიემატება“. (გაზ. „ქ. ო. “ №21, 2013 წ.).

ყველა დროის ყველა საარჩევნო პერიოდში ყველას ჰყავდა საკუთარი ფავორიტი, მაგრამ ასე გაუგონრად, თავდადებით გამორჩეული? ნებისმიერ ადამიანს აქვს არჩევის უფლება, მაგრამ თავის რჩეულის სხვაზე თავსმოხვევის უფლება, – არავის. „... მთავარია, რომ ყველაფერი იყო სამართლიანად, არ იყო ანგაჟირებული და შერჩევითი. მთავარია, რომ ყველაფერი იყო გასაგები“... არა, ბ–ნო ბიძინა, ჩემთვის არ არის „ყველაფერი გასაგები“. არც ის, „რომ ყველაფერი იყო სამართლიანად“... სამართლიანია ადამიანებს უკიჟინებდეთ, – ჩემი ხედვით ხედავდეთ თქვენცო ასე დაუსრულებლად, დაჟინებით მოთხოვნა, გინდათ თუ არა გიორგი მარგველაშვილი უნდა გახდეს პრეზიდენტი, რადგან ის შეუცვლელი, – სწორედ შეუცვლელი კანდიდატურააო, ცოტა ღიმილის მომგვრელადაც კი მეჩვენება. მწარე ღიმილის. „... ჩვენ არ ვაპირებთ ექსპერიმენტების ჩატარებას“. ჩემთვის, როგორც ერთ–ერთი რიგითი მოქალაქისთვის, და დარწმუნებული ვარ, ასობით ათასი ადამიანისთვის, გიორგი მარგველაშვილი სწორედ მორიგი, საუბედურო ექსპერიმენტია.

„...პარტიაში საკმაოდ საინტერესო და ძლიერი გუნდია შეკრებილი, რომელსაც სხვებთან სამართლიან კონკურენციაში მოუწევს წარმატების მიღწევა მომავალ არჩევნებში, ცხადია, ჩემი ერთი ხმის გათვალისწინებით“... (გაზ. „ქ. ო. “ №21) ესეც ხომ პროპაგანდაა ბ–ნო ბიძინა, რადგან ძალიან კარგად მოგეხსენებათ, თქვენი ერთი ხმა ერთი კი არა, ასობით ათასი ხმაა ისევე, როგორც ოქტომბრის გამარჯვებაში ერთადერთი ლელოს გამტანი ივანიშვილი იყო, და არა კოალიცია „ქართული ოცნების“ მრავალათასიანი ლაშქარი. იცით ეს კარგად და იმიტომაც ასე მოკრძალებით გვთავაზობთ თქვენს „ერთ“ ხმას, რომელსაც პარტნიორობას ვერაფრით ვერ გაუწევს გაყიდული, დაქცეული, იავარქმნილი აფხაზეთის ერთ–ერთი უბედური დევნილი...

„...გავკადნიერდები და შეგახსენებთ – პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღიდან თითქმის შეცდომების გარეშე გავაკეთე ყველაფერი, პროგნოზებიც კი“... (გაზ. „ქ. ო.“ №21) ღმერთმა ქნას ბ–ნო ბიძინა, თქვენი პროგნოზი გამართლდეს და თქვენი დაჟინებული მოთხოვნით მოფრენილმა მერცხალმა, ისტორიას თავი დაამახსოვროს, როგორც „საოცარმა“ პრეზიდენტმა, რომელმაც ბოლო–ბოლო საშველი დააყენა დანგრეულ ქვეყანას და მის გატანჯულ ერს – ღმერთმა ქნას. განა კრიტიკის გუნებაზე ვარ, ან ჩასაფრებულის როლში. მაშინ მე არ მოვესწრო ჩემი ქვეყნის ბედნიერებას. მე შიში მალაპარაკებს. შიში იმისა, – უფსკრულის პირას დგას ქვეყანა და არ გადაიჩეხოს. ამომყვანი არავინ იქნება... ესაა ჩემი ტკივილი...

„..რაც შეეხება წასვლის დროს, ამასაც წინასწარ ვაცნობებთ საზოგადოებას მას შემდეგ, რაც დავრწმუნდები, რომ წარმატებით ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მჯერა, რომ ამ არჩევნებში პირველივე ტურში გაიმარჯვებს კოალიციის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. მე წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ ჩვენს არჩეულ კურსს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, როდესაც ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი მწყობრად იმუშავებს და როდესაც დავრწმუნდები, რომ ქვეყანა სტაბილურად ვითარდება“... და თუ ყოველივე ამის მისაღწევად ქვეყანას მხოლოდ ერთადერთი პიროვნება ჰყავს, ამოდენა გონიერ ერში, ზემოთქმულის მიღწევადობაც საეჭვოა. მოდით ნუ ატკენთ უამრავ ადამიანებს გულს, ნუ ცდილობთ დაუმტკიცოთ მათ, რომ „ისაა“ და სხვა არავინ. თქვენი პროგნოზირების ადამიანს (როგორც თქვენ ბრძანებთ) ეს ბევრს ვერაფერს მატებს. მაგრამ თუ ღმერთმა ინება და გაიმარჯვა „მან“, შემდგომ კი „საოცარი“ პრეზიდენტიც გახდა, და ჩემი ქვეყანაც გადაარჩინა, – გეფიცებით, როგორმე მოვაღწევ თქვენამდე და მუხლმოყრილი მოგიხდით ბოდიშს... ღმერთმა ქნას, ქართველს ქართული ოცნება აუსრულდეს. ჩემი ოცნებაც ეგაა. ფარავდეს სრულიად საქართველოს მაღალი ღმერთი და წმინდა მარიამ ღვთისმშობელი. ამინ!

მარეხ ბაღიშვილი

P.S. საქართველოს ჯერ ინტელიგენტი პრეზიდენტი არ ჰყოლიაო, ბრძანეთ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ინტელიგენტი, გონიერი, განათლებული პრეზიდენტი ჰყავდა ბატონი ზვიად გამსახურდიას სახით, რომელსაც პრეზიდენტობის თქვენმიერი „საოცარი“ კანდიდატი, – გარწმუნებთ, ვერ შეედრება. რა თქმა უნდა ვერც სხვები, საუბედუროდ... ნურც იმას დაივიწყებთ, ბატონი ზვიადი პირველი და მარადი პრეზიდენტია საქართველოსი.

Россия...

რუსები, როგორც ცნობილია, ევროპის ხალხთა დიდი ჯგუფის სლავთა შემადგენლობაში შედიან (სლავური ენა ენათა ინდოევროპული ოჯახის წევრია). სლავები საერთო წარმომავლობითა და ენათა ნათესაობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ჯგუფში შედიან აღმოსავლეთის სლავები (რუსები, უკრაინელები, ბელორუსები), დასავლეთის სლავები (პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ლუჟიჩები, კაშუბები),

სამხრეთის სლავები (ბულგარელები, სერბები, ხორვატები, სლოვენები, მაკედონიელები, ბოსნიელები). სლავთა ასეთ ჯგუფებად დაყოფა გამოიწვია ჩვენი წელთაღრიცხვით III საუკუნესა და მომდევნო ეპოქებში ხალხთა გადასახლებამ, რისი მიზეზიც გახლდათ არა მარტო მტრის თავდასხმები, არამედ ახალი მიწების ათვისებაც. სლავთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 277 მლ კაცია, მათ შორის რუსებისა 137 მლნ. კაცს აღემატება (1979 წ.). არქეოლოგიური, ლინგვისტური, წერილობითი და სხვა მონაცემები გვიდასტურებენ, რომ სლავთა აკვანი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა. მათი უძველესი წინაპრები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-III — მე-II ათასწლეულში ცხოვრობდნენ დაწყებული ელბიდან და ოდერიდან (ოდრა) ვიდრე ვისლამდე, დნესტრის ზემო დინებასა და დნეპრის შუა წელამდე. ჩრდილოეთიდან სლავებს ემეზობლებოდნენ გერმანული და ბალტური ტომები, აღმოსავლეთიდან – დასავლურ–ირანული ტომები (სკვითები, სარმატები...), სამხრეთიდან – თრაკიელები, ილირიელები... ხოლო დასავლეთიდან – კელტები. მოგვიანებით სლავებმა სხვადასხვა მიზეზებით აღმოსავლეთით და ჩრდილო–აღმოსავლეთით წაიწიეს და დასახლდნენ იმ ტერიტორიებზეც, სადაც უკვე სახლობდნენ ფინურ–უგორული (უნგრული) და ბალტიკური ჯგუფის ხალხები, თურქული მოდგმის ტომები და სხვა. მათი დიდი ნაწილი გარუსდა, მაგ. მერია, მურომა, მეშჩერა და სხვა.



Russia. Asiatic territories of the Union of Socialist Soviet Republics. The Union consists of seven Republics, that termed Russia being much the largest and including nearly all Asiatic Russia. Attached to Russia are several small republics. Bashkir, Daghestan. Karelia, Kirghiz, etc.

ჩვენი, წელთაღრიცხვის დასაწყისში ჩამოყალიბდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სლავთა ჯგუფები. ამ დროს პირველად იხსენიებიან სლავები ანტიკური მწერლების მიერ (პლინიუს უფროსი, ტაციტუსი, პტოლემე, იორდანისი, პროკოპი კესარიელი და სხვა). ჩვენი წელთაღრიცხვის VI-VIIს.ს. სლავები შეიჭრნენ ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებში და დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც. ნათესაობის მიუხედავად ყველას კარგად მოეხსენება, რაც დამართეს რუსებმა თავისსავე მონათესავე სლავ და ევროპელ ხალხებს – საუკუნეების მანძილზე ევროპის ჟანდარმის ტიტული ამკობდა რუსეთის იმპერიას.

I-II საუკუნეებში რომაელი ავტორები სლავებს იხსენიებენ ვენედების (ვენეტების) სახელით. ეს სლავთა გერმანული სახელწოდებაა (mr. r. Wenden an Winden), რაც შემორჩენილია ესტონურში Venelane, Vene „რუსი“, Venemaa „რუსეთი“ ფოლკლორში ზოგჯერ: Venedemaa), ფინურში Venäläinen „რუსი“ და ა. შ. ეთნიკური სახელწოდება სლავები კი უკვე VI ს–ში იხსენიება სხვადასხვა წყაროებში უმნიშვნელო ფონეტიკური ვარიაციებით (Sclaveni, Sclavini, Stlavini, Sclavi, Stlavi), რომლებიც სრულიად კანონზომიერად შეეფარდება თვით სახელწოდება სლოვენს. სკლავი (საკლავნი) იხსენიება ქართულ წყაროებშიც. VII ს–ში არაბი ავტორები მათ საკალიბას სახელით იცნობენ. VI ს–ში ჩნდება სლავთა კიდევ ერთი სახელწოდება – ანტები. ეს ტომთა კავშირია. ტერმინს სლავი – სლოვენი მეცნიერები აკავშირებენ სიტყვებთან слово, слава და სხვა. მაგრამ დამაჯერებელ მტკიცებულებათა გარეშე.

VII-XI სს–ში შეიქმნა ბულგარეთის, სერბეთის, კიევის რუსეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოები, მოგვიანებით – დიდი მორავიის სამთავრო, სამოს სახელმწიფო, შემდეგ ჩეხეთი, პოლონეთი.

აღმოსავლეთის სლავები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ დნეპრის, მისი შენაკადებისა და ილმენის ტბის მიდამოებში. ისინი მრავალ ტომად იყოფოდნენ – დნეპრის შუა წელზე კიევის მახლობლად ცხოვრობდნენ პოლიანები, დნეპრის მარცხენა სანაპიროზე მდ. დესნის გასწვრივ ესახლნენ სევერიანები, მათ მეზობლად დნეპრის გაყოლებაზე – რადიმიჩები, მდ. პრიპიატის ნაპირებზე, ტყეებში – დრევლიანები, პრიპიატის ჩრდილოეთით მისი სანაპიროების გასწვრივ – დრეგოვიჩები, დნეპრის სათავეებთან – კრივიჩები, დნეპრსა და პრუტს შორის სახლობდნენ (თითქმის შავის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებამდე) – ულიჩები და ტივერცები. მდინარე ოკის სანაპიროებზე ცხოვრობდნენ; ვიატიჩები, ილმენის ტბის გარშემო – ილმენის სლოვენები და ა. შ. (ეს სახელწოდებები ზოგი „გეოგრაფიული“ ხასიათის წარმოშობისაა (პოლიანები – поле, მინდვრებში ცხოვრობდნენ, დრევლიანები – дерево, ტყეებში ცხოვრობდნენ... პოლოჩანები ცხოვრობდნენ მდინარე პოლოტის სანაპიროებზე), ზოგი პატრონომულია (წინაპრის სახელისაგან ნაწარმოები: რადიმიჩებისა და ვიატიჩების წინაპარი (ტომის ბელადი) რადიმი და ვიატკო ყოფილა).

სახელწოდებამ Русь სხვადასხვა დროს მრავალი განსხვავებული აზრი, განმარტება, კამათი გამოიწვია მისი წარმოშობის, პირვანდელი ენობრივი კუთვნილებისა და როგორც თვით სიტყვის, ისე მასთან დაკავშირებული ტერიტორიის, ხალხისა და სახელმწიფოს ისტორიული წარსულის ადრეული ეტაპების საკითხვებზე.

ჯერჯერობით ითვლება, რომ Русь ტერმინის ეთნიკური განსაზღვრულობა უძველეს დროს არასრულყოფილია. მსგავსი არასრული, ზოგჯერ კი სრული განუსაზღვრელობა ახლავს ასევე მრავალი სხვა მსგავსი ხასიათის აღმნიშვნელ ეთნიკურ მახასიათებლებს (გერმანელები, ვარიაგები და ა. შ.) მათში სოციალური და სხვა სახის ნიშნების ასახვის შედეგად. ეთნიკური სახელწოდების სოციალურის აღმნიშვნელად ქცევასთან დაკავშირებით (და პირიქითაც) შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა არცთუ იშვიათია. ასეთია მაგალითად ესტონური SAKS – „ბატონი“, რომელიც ბალტიისპირეთში გერმანელთა ფეოდალური ბატონობის შედეგად გაჩნდა. საპირისპირო მაგალითია რუსების სახელწოდებად კაზაკის გამოყენება. ქართულ სინამდვილეში ეთნიკური სახელის სოციალურად ქცევის მაგალითია, თბილისელი გამდიდრებული სომხები ქართველებად რომ იწოდებოდნენ, ხოლო გაღატაკებული ქართველები – სომხებად. როგორც ჩანს, გელების (გელხი) ტომისაგანაა მიღებული გლეხი, ჩაჩის ტომისგან – ჩაჩანი (შე, ჩაჩანო!), კიმერიელებისგან – გმირი და სხვა მრავალი. მონას აღნიშნავს ოსურში გურზიაკ (გურძიაგისგან „ქართველი“), კოსოგ („ყაბარდოელი“, ქართულად ქაშაგი) და ხაზაირაგ (ქართული ხაზარი). აფხაზურში (აფსარულში) მონის, ტყვის და ყმა–გლეხის მნიშვნელობით იხმარება აგრუა („მეგრული“ ეგრისელი) და ა. შ.

შუასაუკუნეთა აღმოსავლეთის მწერალთა ნაწარმოებებში რუსები არცთუ იშვიათად გამოყვანილი არიან აღმოსავლეთის სლავების როგორც ზედა ფენა, ვიდრე როგორც საკუთრივ ეთნიკური ერთეული. ეს ზედაფენა, როგორც სჩანს, შედგებოდა სლავური, ჩუდური (ბალტიკურ–ფინური) და ვარიაგული (ჩრდილო გერმანულ – სკანდინავიური) ელემენტებისაგან. უცილობლად ვარიაგული წარმოშობის რიურიკოვიჩების დინასტია რამდენიმე თაობის განმავლობაში სრულად გასლავდა. რა თქმა უნდა, ამავე რიგშია განსახილველი „რუსთა მოდგმის“ ელჩებისა და ვაჭართა აშკარად სკანდინავიური სახელები, ბერძნებთან წარმოებულ მოლაპარაკებაში რომ იღებდნენ მონაწილეობას. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის აშკარად სლავური სახელებიცაა: სინკო, ბორიჩი.

სახელწოდება Русь IX საუკუნიდანაა ცნობილი. როგორია მისი ეტიმოლოგია? რომელი ენის კუთვნილებაა? უმეტეს შემთხვევაში ასეთი საკითხები მეცნიერულ გადაჭრა–გადაწყვეტას არ ექვემდებარება. უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი მეცნიერი იკვლევდა ამ სიტყვის წარმოშობას. ამ მცდელობათაგან განსაკუთრებით საინტერესოა ტერმინის დაკავშირება ფინურ Ruotsi, რომელიც თითქოსდა წარმოიშვა შვედურიდან (roodskarla) „მენიჩბე“, „მეხოფე“ (კუნიკი). ამას თითქოსდა ზურგს უმაგრებს ანალოგიური რიგის ფაქტები: ბიზანტიელები რუსებს ხშირად დრომიდებს უწოდებენ, ვინაიდან ისინი იყენებდნენ მსუბუქსა და სწრაფ ხომალდებს – დრომონებს; ადამ ბრემენელი სკანდინავიელ ვიკინგებს უწოდებს ასკომანებს (Ascomannos, ძველჩრდილოური ASKR „ვერხვი“, კოპიტი (იფანი)“ და „ნავი“. აბსოლუტურად მსგავსადვე XIV საუკუნეში ნოვგოროდელი მეზღვაურები იწერებოდნენ „უშკუინიკებად“ („უშკუი“ დიდი ნავი, კარელური წარმოშობის სიტყვაა). საყურადღებოა აღინიშნოს კიდევ ის ვითარება, რომ ესტონური ენის კილოებში ლიტერატურულ vene-lane – სთან ერთად იხმარება ასევე vene, venemees „რუსი“ (vene „ნავი“).

როგორც ტერიტორიული ერთეული, სრულიად გარკვეულ–განსაზღვრული IX-XIIსს. ისტორიული წყაროებით, Русь თავდაპირველად წარმოადგენდა არცთუ დიდ მონაკვეთს დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე ცენტრით კიევით. მაგრამ უკვე XI-XIIსს. მატიანეებში, იგორის ლაშქრობის „ამბავში“ და სხვა წყაროებში „რუსული მიწა–წყლის“ ვიწრო გაგების გვერდით გაჩნდა შედარებით უფრო გამაერთიანებელი წარმოდგენა, რომელმაც უკანა პლანზე გადაწია თავდაპირველი აზრი, შემდეგ კი მას დაუტოვა მხოლოდ გადმონაშთური მოვლენის როლი. საჭიროა აღინიშნოს, რომ მაგალითად ნოვგოროდული ჟამთააღმწერლების თვალთახედვით „пойти в Русь“ ნიშნავდა, რა თქმა უნდა, არა წასვლას დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე, არამედ საერთოდ სამხრეთში – იქნებოდა ეს კიევი, ჩერნიგოვი თუ პერეიასლავლი („რუსული“). როგორც შინაგანი ტერიტორიული ტერმინი „Русь“ უძველეს დროს დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე რომ არსებობდა, მატიანეთა ცნობებისა და ნოვგოროდის მიწა–წყალზე არსებული მსგავსი სახის უმდიდრესი უძველესი ტოპონიმიკის მიხედვით (რუსა, პორუსიე, ოკოლორუსიე და ა. შ.), როგორც ჩანს ჩრდილოეთიდან „ვარიაგებიდან–ბერძნებში“ მიმავალი გზით მოვიდა. ამ ძველრუსული ტოპონიმიკური მონაცემების რიცხვშია მდინარე სამბატოვის უნიკალური სახელწოდება. იქვეა ამავე სახელწოდების სოფელი. X საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი კიევს სამბატასსაც უწოდებს. სამხრეთში „Русь“ ფუძიანი ტოპონიმები არ გვხვდება. სხვაგან, რაც კი მსგავსი სახელწოდებები არსებობს, ყველა გვიანდელია.

→

რაც შეეხება სახელწოდების

„Русь“, როგორც ტერიტორიულ, შემდგომ კი სახელმწიფოებრივ და ნაციონალურ აღმნიშვნელს, მისი გაფართოება სწორედ იმ დნეპრის მარჯვენა სანაპიროდან დაიწყო. აქ მოხდა იგივე, რაც საფრანგეთში. იქ დამპყრობელი გერმანული ტომის ფრანკთაგან ჯერ მომცრო ოლქმა მიიღო სახელწოდება ილ–დე–ფრანსი („ფრანკა კუნძული“), შემდეგ კი გაიფართოვა მნიშვნელობა და მთელ კელტურ ანუ გალურ ქვეყანას ეწოდა საფრანგეთი. რუსულ საფუძველზეც ანალოგიურ პროცესს უნდა ჰქონოდა ადგილი.

პირველი რიურიკოვიჩები თავის თავს რუსებს მიაკუთვნებდნენ, რაც მტკიცდება ბერძნებთან დადებული ხელშეკრულებებით, მემატიანეთა ცნობებით. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დამახასიათებელია ვლადიმერ მონომახის „დარიგება“ და მატიანის ზოგიერთი ადგილი, რომელშიც ლაპარაკია ამ მთავრული გვარის ოჯახებში დამკვიდრებულ ტრადიციაზე – თავიანთი ბავშვებისათვის ქრისტიანულ (საეკლესიო) სახელებთან ერთად მიეცათ. ამასთანავე საერო – ეგრეთ წოდებული რუსული ანუ სამთავრო სახელები. რიურიკოვიჩებმა პოლიტიკური ვითარებაზე მორგებით, მოხერხებით, ძალის გამოყენებით გაიმარჯვეს სხვა მაშინდელ სამთავრო საგვარეულოებსა და გარეშე მტრებზე და შექმნეს ძველი რუსული სახელმწიფო, რისთვისაც უკვე არსებობდა შინაგანი ორგანული მიზეზები – ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობები.

რაც შეეხება ტერმინი Рось-Россия, რუსი მეცნიერების მტკიცებით (მ. ია. სიუზიუმოვი, ა. ვ. სოლოვიოვი, ა. ი. პოპოვი), შეუძლებელია რუსულ ნიადაგზე გაჩენილიყო სახელწოდება Русь-თან კავშირში. XV საუკუნემდე ეს ფორმა უცნობია რუსეთში, ხოლო ამის შემდეგ ნელა–ნელა იცვლება ფორმა Рус – Рос-ით, თავიდან უპირატესად საეკლესიო და დიპლომატიურ წრეებში, ე. ი. ოფიციალურ სარგებლობაში (ამის საფუძველზე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ Рось ტიპის მდინარეთა სახელწოდებებს სრულიად სხვა წარმოშობა აქვს), რაც შეეხება ბიზანტიურ ტერმინს Рось – ჯერ კიდევ V საუკუნის 20–იან წლებში ერთ–ერთი ჰუნთა ბელადის – როილის უცაბედად გარდაცვალების გამო, რომელიც ბიზანტიის დასალაშქრავად ემზადებოდა, კონსტანტინეპოლში აღვლენილ იქნა სამადლობელო ლოცვა–პარაკლისი და პატრაირქმა პროკლემ იქადაგა, რის დროსაც ჰუნები შეადარა მოციქულ ეზეკიელის Рос-ებს და გოსოქებს. ბიბლიაში ეზეკიელი წინასწარმეტყველებს და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი: ძეო, კაცისავ! მიმართე შენი პირი გოგისკენ მაგოგის ქვეყანაში როშის, მეშექის და თუბალის უმაღლესი მთავრისაკენ და იწინასწარმეტყველე მასზე და უთხარი: ასე თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა, შენ წინააღმდეგა ვარ, გოგ, როშის, მეშექის და თუბალის უმაღლესო მთავარო!“ ეზეკიელი ამ ტომებზე ლაპარაკობს, როგორც ჩრდილოეთის საზღვრების ხალხზე და ა. შ. ზუსტად ისევე, როგორც ადრე ლაპარაკობდა მოციქული ერემია თავის წიგნში – „ჩრდილოეთის ქვეყნის ხალხი“, „დიდი, ძლიერი ხალხი“, თანაც იგულისხმება კიმერიელებისა და სკვითების შემოსევა წინა აზიაში (ჩვ. წელთაღრიცხვამდე VII ს.). სამოცდაათი განმმარტებლის (სეპტუაგინტა) ბიბლიის ბერძნულ თარგმანში (ჩვ. წ. 130 წ.) როსი გაჩნდა სემიტური როშის („მეთაური“) ადგილზე. ეს სიტყვა საკუთარ (ეთნიკურ) სახელად მიიჩნიეს, ხოლო Ш ბერძნულში გადაიტანეს სიგმათი. მას შემდეგ ეს სახელი (როსი) მრავალგზის გამოჩნდება ბიზანტიურ წყაროებში დიდი შემოსევების აღწერისისას, როგორც მრისხანე ჩრდილოელი თავდამსხმელების ეპითეტი, რა ეთნიკური კუთვნილებისაც უნდა იყვნენ ისინი.

როცა 838 წ. რუსები პირველად გამოჩნდნენ ბიზანტიაში და შემდგომაც რუსი გაუთანაბრეს როსს, ხოლო მათ ქვეყნას ეწოდა Россия. ქართულში, ისევე, როგორც მრავალი სხვა ხალხის ენაში, რომელთაც ძველთაგანვე ჰქონდათ კავშირ–ურთიერთობანი, დღესაც მხოლოდ და მხოლოდ ძველი რუსული ფორმა რუსი და რუსეთი გამოიყენება.

ბედის ირონიით ქართველთა ტომების მეთაურთა თანამდებობა არამეულ ენაზე (როშ) იმ ქვეყნის სახელად იქცა (Россия), რომელმაც ერთმორწმუნე საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხო ზვიად გამსახურდიას მთავრობის სახით და სამი პრეზიდენტი დაგვისვა გასამებულ საქართველოში „აფხაზების“ (აფსუების) და ოსების დაცვის დროშით. აღარაფერს ვიტყვი, რა დღეში ჰყავს დაპყრობილი ხალხები და... თვით საკუთარი რუსი ხალხიც.

ოთარ კორაშვილი

ირაკლი ალასანიამ ქართველი ჯარისკაცები მეჩეთში დააჩოქა

“ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა...” (კანონი პირველი 1. ფსალმუნი პირველი, ალილუია).

ბიძინა ივანიშვილის მთავრობის თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, ავღანეთში გამგზავრების წინ, ქართველი მეომრები თბილისის „ჯუმა მეჩეთში“ დააჩოქა. საქართველოს ისტორიაში დღემდე არარსებულმა ამგვარმა სამარცხვინო და მკრეხელურმა აქტმა აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა და ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიაც.

საქართველოს სრულიად მუსლიმთა კავშირის შეიხმა ვაგიფ აქსპეროვმა საჯაროდ განაცხადა: „მსგავსი შეხვედრა უპრეცენდენტოა, როდესაც ნატოს ფარგლებში ისლამის წარმომადგენლები, უშუალოდ საქართველოს მუსლიმი თემის წარმომადგენლები, ჯარისკაცებს დალოცავენ და გაესაუბრებიან“.

ეს სამარცხვინო, ანტიქრისტიანული აქტი ურწმუნო ალასანიას მხრიდან გამართლებულ და შეფუთულ იქნა ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში არსებულ შეზღუდვებსა და ავღანელი ხალხის ადათ-წესების, მუსლიმური კულტურის ტრადიციების გაცნობისა და ისლამის შესახებ ლექციების მოსმენის აუცილებლობით.

ირაკლი ალასანიასა განცხადებით მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება, ავღანეთის საერთაშორისო მისიაში ქართველი ჯარისკაცების გამგზავრებამდე, ამგვარი ღონისძიების წესად დამკვიდრების შესახებ.

ირაკლი ალასანიას ეს გახმაურებული ფაქტი კიდევ უფრო ცხადჰყოფს, თუ როგორი ქვაბავაზაკი და ანტისახელმწიფოებრივი ძალები აღაზევა რუსეთის ემისარმა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების სათავეში „რესპუბლიკელების“ ჩათვლით.

საშურია, ქართველი ერი მალე გამოვიდეს „უჩინმაჩინი ქველმოქმედი მილიარდერის“ ხიბლიდან, რათა მან ვერ მოასწროს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნგრევის 22 წლიანი პერიოდის დასრულება!

საჭირო რჩევები მღვდელმოწამე მამა გიორგი ბასილაძისაგან

მოწამეთას მონასტრის მღვდელმსახური მამა გიორგი (ბასილაძე) ამა წლის აგვისტოში 80 წლის ასაკში გარდაიცვალა.

კითხვა: ***რატომ ხდება, მამაო, როცა სრულიად უცნობი ადამიანი ჩაგივლის გვერდით ქუჩაში და ისეთი კრთომა და შიში შემოდის გულში, რომ დიდხანს ვერ მშვიდდები. რა მოვლენაა ეს და როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?***

პასუხი: უცნობი, ვინც შიშსადაშფოთს აღგიძრავს გულში, არარის ჩვეულებრივი ადამიანი. ის ან შეპყრობილია, ან თვითონ ეშმაკი ხორციელი სახით. უბრალო ადამიანს არ აქვს მეორე ადამიანის შეშინების, არც ძალა და არც სურვილი. რომ არა ღმერთისგან მფარველობა, ასეთებს შეუძლიათ, დააზიანონ ადამიანი, როგორც სულიერად, ისე ხორციელად. არ ისვენებს ბოროტი, განსაკუთრებით, ბოლო ჟამს. მთელი ჯოჯოხეთი გამოსულია ადამიანთა მისატაცებლად, მაგრამ ნუ გეშინიათ, აქვე არიან წმიდანებიც. როცა ასეთი ადამიანი შეგხვდება ქუჩაში, ტრანსპორტში, ეკლესიაში, ან საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში – უნდა ილოცო. ლოცვა და მარხვა – ეს ორი იარაღი დაგვიტოვა ჩვენ ქრისტე ღმერთმა. თუ ეს ეშმაკეული შენს ზურგს უკან, ან გვერდით იმყოფება, უნდა ილოცო „მამაო ჩვენო“. ეს ლოცვა, შენს ირგვლივ წრეზე, როგორც მაღალი ელექტრო–ძაბვა – ურტყამს ბოროტს!... და თუ ეს ბოროტი შენ წინ მოკალათდა და თვალებში მტაცებლურად გიყურებს, მაშინ იმეორე ლოცვა: „ქრისტე ღმერთს დიდება“ ან „ქრისტეს დიდება“ – ეს სიტყვები მოქმედებს სიგრძეზე, როგორც „ლაზერის“ სხივი. ბოროტი იმიტომ გირტყამს შიშს, რომ დაგიმორჩილოს, დაგიპყროს და მისი ძლიერება აღიარო. ბოროტი ხარობს, როცა ქრისტეს მორწმუნე მის წინ კანკალებს. იცის ღმერთმა, რომ ჩვენ უძლურნი ვართ და შეუწევნად არ დაგვტოვებს ბოროტის წინაშე, მაგრამ ქრისტე ღმერთს უნდა, ჩვენ თვითონაც ვიბრძოლოთ, არ დავემორჩილოთ და ქედი არ მოვუხაროთ ბოროტს. თავიდან შეიძლება, ძალიან შეგეშინდეთ, მაგრამ არ დანებდეთ, ბოროტი ცდილობს შიშით ღმერთი დაგავიწყოთ. თქვენ კი უნდა ივაჟკაცოთ, ძალა მოიკრიბოთ და განაგრძოთ ქრისტეს დიდება – შენ კი არა, შე ბოროტო, არამედ ჩემს ღმერთს დიდება! – „ქრისტეს დიდება!“ – ლოცვისას თვალებში ნუ უყურებთ, მაგრამ ნურც თავს ჩაქინდრავთ, არამედ უყურეთ სახის არეში. თავიდან ყველაფერი ერთად დაგატყდება: შიში, ეჭვი, უიმედობა, უძლურება, მაგრამ სცადეთ და ბრძოლა დაიწყეთ, ნახავთ, ღმერთი როგორ შეგეწევათა და ვინ უფრო ძლიერია!...

არ მოგეშვება ბოროტი და არც შენ მოეშვა ლოცვასა და ქრისტეს დიდებას. იბრძოლე და ღმერთი, რომელიც ამ ბრძოლაში უხილავად შენთან არის, გაგახარებს, დაგანახებს ქრისტეს სახელის ძლიერებას. ღმერთს კი არ უნდა შენი შეშინება, მაგრამ როცა თავად იგრძნობ ლოცვის ძალას, მეტად გიმტკიცდება რწმენა.

ქრისტეს მსახურებსა და მორწმუნეებს ლაჩრობა არ გვეკადრება. ქრისტიანი თავმდაბალი უნდა იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, მტერს თავი დაუხარო. ქრისტიანები სხვებზე კაცთმოყვარეები ვართ, მაგრამ ბრძოლაში ყველაზე მამაცებიც და სასტიკებიც.

შიში იძულებითი მორჩილებაა და ჩვენ არ შეგვფერის ბოროტის მორჩილება. ბოროტთან ბრძოლით ღმერთი ავაჟკაცებს სულს. ისიც იცოდეთ, ღმერთი მოწყალეა და თქვენზე აღმატებულ ძალას არ დაუშვებს. მას ყველაფერი განსაზღვრული აქვს. როგორც ისწავლება და იწრთობა სიყვარული, ისე იწრთობა და ისწავლება სიმამაცეც, გამბედაობაცა და ვაჟკაცობაც.

ნუ გეშინიათ ბოროტი სულის ძალის, გარეგნობის, თვალების, ხმის, რადგან იგი მას იყენებს ჩვენი შეშინებისა და დამცირებისათვის. როდესაც შიში მოდის, ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებასა და პანიკას. ამ დროს ღმერთის წინაშე უნდა აღიარო, რომ შენ არაფერი არ ხარ, რომ უძლური ხარ და არც არავინ არა ხარ ღმერთის გარეშე და იწყო ლოცვა. ღმერთი უხილავად თანდათან გაგაძლიერებთ და იმასაც დაგანახებთ, ეს „უშიშარი“ და „მაგარი ბიჭი“, როგორ აიძურწება და ლაჩრულად გაიპარება. დიდია და უძლეველი ქრისტე ღმერთი... ასე რომ, ეშინოდეთ ჩვენს მტრებს და არა ჩვენ. ჩვენ კი უნდა გვეშინოდეს ცოდვების.

კიდევ ერთი რჩევა: ყოველთვის, ასეთ ბოროტ ადამიანთან შეხვედრის შემდეგ, აუცილებლად მიდით წმიდა მღვდელთან, რადგან უხილავად ბოროტი მაინც აზიანებს სულს და გონებას. წმიდანმა იცის, რა სახის ზიანი მოგვაყენა ბოროტმა. ისიც უხილავად გაასწორებს და აღგიდგენთ ძალებს, გამოიტანს თქვენგან ბოროტის ისრებს და გაგაძლიერებთ შემდგომი ბრძოლებისათვის.

კითხვა: ***მამა გიორგი, რატომ არის, რომ ბაზარში სულიერად ვიფიტები, ვიღლები და ძალა მეცლება?***

პასუხი: ცნობილია, რომ ქაოსს, ხალხის სიმრავლეს და ხმაურს მიელტვის ბოროტი. ბაზარი ბოროტს თავისი ზემოქმედების დიდ შესაძლებლობებს აძლევს. ისინი იქ დაძრწიან, როგორც სულიერად, ასევე ხორციელადაც. რომ არა წმიდანები, ბოროტები ერთი ბაზრობითაც საშინლად დააზიანებდნენ ადამიანებს. სულიერ ბრძოლებში ჩაბმული მორწმუნე განსაკუთრებით გრძნობს ბაზრის სიმძიმეს. ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანი ისე იბნევა, ავიწყდება შეძენილი პროდუქტის წამოღება, ან დაბრუნებული ხურდის გამორთმევა, ან კიდევ, არ ახსოვს, რამდენი მიაწოდა გამყიდველს. ეს „სკლეროზის“ ამბავი არ არის, ეს ბოროტი ძალების მოქმედებაა გონებაზე. გაიხსენე, თუ გქონია ისეთი შემთხვევა, ვთქვათ, არ მოგწონს საქონელი და არ გინდა შეიძინო, მაგრამ, შენდაუნებურად, მაინც ყიდულობ, მერე კი გეუფლება ბრაზი. ეს არ ხდება შემთხვევით. ესეც ბოროტის ნებელობაში შემოჭრის შედეგად ხდება. ისინი უხილავად იმორჩილებენ ადამიანის გონებას, აწვდიან სხვადასხვა აზრებს და აიძულებენ ამ აზრების გატარებას ადამიანს. თუ გამყიდველში ბოროტი სული ზის, ის მართავს გამყიდველსაც და მისგან გამოსული აზრობრივი „სიგნალი“ იზიდავს ადამიანებსაც (მყიდველებსაც). ის ამ აზრობრივ სიგნალებს გაცილებით ადრე მოგაწვდის, სანამ შენ აღმოაჩენდი ასეთ გამყიდველს. ამიტომ, როცა ოდნავადაც იგრძნობ ნებაზე ზეწოლას – ესე იგი, როცა გულს არ უნდა და გონება კი გაურკვეველია, არ უნდა დათმოთ საკუთარი ნება. რადგან ბოროტი ტყუილად არ ცდილობს, გაყიდინოს საქონელი. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბაზრიდან მოტანილ ხილს ან „ჯანსაღ“ პროდუქტს მოუწამლავს ადამიანები. ეს სწორედ რომ ბოროტი სულების ნამოქმედარია. აი, მაგალითად, ვაშლის გამყიდველი, რომელშიც ზის ბოროტი სული – რამდენჯერ უწევს მას ხელისგულით ხილის შეხება? ჩაწყობა–ამოლაგებისას, დაწყობისას, ზეთიანი ნაჭრებითა და ცხვირსახოცებით „გაპრიალებისას“ – ყოველ შეხებაზე ხილზე გადადის მისი ბოროტი ენერგია! რაც ანგრევს ადამიანის ჯანმრთელობას და ასევე სულიერად ფიტავს. თუ წმიდანის მოწოდებული, ენერგიით გვავსებს ადამიანებს, არ უნდა იყოს თქვენთვის ძნელი წარმოსადგენი, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია იგივე ძალის ბოროტს. გაგახსენებთ: წმიდა იოანე კრონშტადტელმა აიღო ვაშლი, ჯვარი გამოსახა მას და მიაწოდა სნეულს, სნეული კი განიკურნება. მე გეკითხებით, იმავე ძალის ბოროტს შეუძლია თუ არა, ადამიანი დაასნეულოს?

შეიძლება, გამყიდველი სულაც არ არის ბოროტი, ვაშლიც კარგია, მაგრამ ბოროტი დაძრწის ბაზარში და შეგნებულად, თვალებიდან გამომავალი ბოროტი ძალით „მუხტავს“ ნებისმიერ საქონელს. ამიტომ, წმიდა მამები გვასწავლიან: ბაზრიდან მოტანილი ნებისმიერი პროდუქტი უნდა გაირეცხოს, შემდეგ, ჭამის წინ, იკითხება ლოცვები, მერე გამოისახება ჯვარი. ამის შემდეგ კი შეგიძლიათ, მიიღოთ. თუკი გული გეთანაღრებათ, რაღაც შინაგანი გეუბნებათ, რომ „საეჭვო“ ადამიანისგან გაქვთ შეძენილი, უნდა ასხუროთ ნაკურთხი წყალი. და კიდევ, შეგიძლიათ, გამოიყენოთ წმიდა ადგილებიდან მოტანილი ზეთი და ასევე მამა გაბრიელის წმიდა ზეთი. მე კი გირჩევდით მაინც, ყურადღებით იყოთ ყიდვისას. და თუ თქვენ მაინც თვალებით ვერ არჩევთ ბოროტი სულის გამყიდველს, ან კიდევ შეზღუდული ხართ გამყიდველის არჩევაში, მაშინ გამოვიყენოთ ზემოთ ხსენებული წესები. ისე, რომ ბაზარში უვნებლად მოივაჭროთ და ნებაში ჩაურევლად შეიძინოთ პროდუქტი, გირჩევთ, ბაზარში წახვიდეთ უჭმელი და იმეორეთ მოკლე ლოცვა: „ქრისტე ღმერთს დიდება“, რადგან ასეთ დროს ბოროტი ვერ იმორჩილებს ადამიანს. ბერები მკაცრ მარხვებსა და შიმშილობებს ლოცვასთან ერთად სწორედ იმიტომ მიმართავენ, რომ ბოროტი ვერ იმორჩილებს მაშინ მათ ნებას.

საერთოდ, ნებისმიერი ნივთის შეძენის დროს ეს ნივთი უნდა იკურთხოს. ამისთვის არსებობს სპეციალური ლოცვები. განსაკუთრებით, როცა იძენთ ტელეფონს, კომპიუტერს, სარკეს, ტელევიზორს, ან სხვა ელექტროტექნიკას, რადგან ბოროტ სულებს შეუძლიათ ამ ნივთებში შეღწევა და კაბელის გავლით დენურ სამყაროში არსებობა. და არა მარტო ბოროტ სულებს, არამედ გარდაცვლილთა სულებს, რომლებიც სასჯელს მიწის ზევით გადიან, ამიტომ აუცილებლად უნდა იკურთხოს და როდესაც წმიდა მოძღვარი აუკრძალავს ბოროტს ამ ნივთებში შეღწევას, ადამიანი დაცული იქნება.

ხომ გაგიგონიათ გამოთქმა, ადამიანი „ცუდი ფეხისაა“, ან „ავი თვალისო“. არც ფეხებია აქ რამე ბრალში და არც თვალები. ეს სულის ამბავია. ასეთი „ცუდი ფეხის“ ადამიანს ბოროტი სული ჰყავს და ამიტომ მოქმედებს იგი ასე უარყოფითად სხვებზე. გირჩევთ, ასეთი ადამიანების შეხვედრისას გულში იმეოროთ მოკლე ლოცვა: „ქრისტე ღმერთს დიდება!“.

სოფელში იციან ასევე გამოთქმა: ყველა კაცის დაყენებული ღვინო არ დაილევაო, და მე გეტყვით: არ დაილევა, არც არაყი და არც წყალი, რადგან სითხე განსაკუთრებულად ღებულობს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი სულის ენერგიებს – ასე ვთქვათ იმუხტება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბაზარში არა მარტო ბოროტი სულები არიან, არამედ არიან კეთილებიც, რომლებიც იცავენ ადამიანებს და აბათილებენ ბოროტის ზემოქმედებას.

მინდა, თემას გადავუხვიო და ერთი რამე გითხრათ: დღეს ბევრი ბოროტად იყენებს მაცხოვრის სიტყვებს – „არა წინააღმდეგომად ბოროტისა“, და უფრო მეტიც, დღეს თვით ბოროტები იყენებენ ამ სიტყვებს ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ უნდა იცოდეთ, მაცხოვრის შემდეგი სიტყვები „არა წინააღმდგომად ბოროტისა“ არის კონკრეტულ შემთხვევებზე ნათქვამი და არა ზოგადად ყველგან და ყველაფერზე. და ამას ადასტურებს თვით ბიბლიაც. ნახეთ, ღმერთმა დასაჯა ადამი სწორედ იმიტომ, რომ მან გაატარა ბოროტის ნება და არ აღუდგა წინ მას. გაბრიელ ბერს ხშირად უთქვამს: „როგორ, მე ვიცოდე, რომ ბოროტი მირტყამს მარცხენა ლოყაში და მე მას მარჯვენა მივუშვირო? მარჯვენას მივუშვერ კი არა, ისეთს ვგლიჯავ, რომ ყბას ჩამოვუღებ!“ ამიტომ, არ უნდა მივცეთ უფლება ბოროტს, გაატაროს ჩვენზე საკუთარი ნება.

ყურადღებით იყავით ასევე ბანკებში. დააკვირდით, როგორ იძახიან: „საბანკო სისტემა“: ეს მართლა სისტემაა და ადამიანისთვის, ძნელია ამ სისტემაში მუშაობა, ან კიდევ ბანკთან რამე ურთიერთობა. ბანკის სისტემა დიდი ხნის წინ დაიმორჩილა ბოროტმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მანდ ნამდვილი ადამიანები არ მუშაობდნენ. ჩვეულებრივი ადამიანები კი ადვილად ებმებიან ბანკის მახეში. დღეს ადამიანების ყოველი მეშვიდე თუ მეათე საუბრობს ბანკის ვალებზე. სესხები – ეს სისტემური მევახშეობაა. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ. ბანკში მომუშავე მორწმუნეს აუცილებლად უნდა ჰყავდეს წმიდა მოძღვარი.

წიგნიდან „თავნი და ბოლონი იტყვიან: გიორგი“

რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***